პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

საინფორმ...-განყოფილების
ბიბლიოთეკა

დღევანდელ [illegible] აქვს 6 გვერდი

დღიური

— გერმანიის პრეზიდენტი ებერტი ძლიერ ავად გახდა.

— ინგლისის მთავრობა თეირანში შოფერის მოკვლისათვის სპარსეთისგან 20.000 თუმანს მოითხოვს.

— ესპანელები დიდი შეტევისათვის ემზადებიან მაროკოში.

— გერმანიაში გაიფიცა 20.000 მეღვინე.

— საფრანგეთი წინააღმდეგია გერმანიის მონაწილეობის განიარაღების საკითხის განსახილველად მოსაწვევ კონფერენციაზე.

პარასკევი, 27 თებერვალი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 47 (1202)

იაპონიამ დაამტკიცა შეთანხმება საბჭოთა კავშირთან

უმუშევრობას ინგლისში შეანელებს მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან

ოსმალეთში სულთანის მომხრეებმა აჯანყება მოაწყვეს

გერმანიის „საგანგებო კომისიის" პროცესი მიატოვეს დამცველებმა. დამცველ როზენფელდის ბინაზე პოლიციამ თავდასხმა მოაწყო.—რურის ოლქში გადიდებული სამუშაო დღე პირველ ნოემბრამდი დარჩება.—პოლონეთის მიერ ამერიკაში აღებული სესხი უზრუნველყოფილია პოლონეთის მთელი სიმდიდრით.—ბულგარეთის მთავრობამ განსაკუთრებული წესები გამოაცხადა და გააძლიერა რეპრესიები მუშებისა და კომუნისტების მიმართ.—ჩინეთში განახლდა ბრძოლა გენერლებს შორის.

მოსამსახურეთა შრომის ხელფასის შეთანასწორება

შრომის ხელფასის რაოდენობის მოწესრიგება ამჟამად საბჭოთა რესპუბლიკებში არ ხდება კანონმდებლობითი წესით. კანონით წესდება მხოლოდ ხელფასის მინიმუმი. სავალდებულო მინიმუმზე ქვევით ხელფასის რაოდენობის განსაზღვრა მთლიანად აგებულია მხარეების შეთანხმების საფუძველზე.

როგორ ფორმებს ღებულობდა ხელფასის რაოდენობის განსაზღვრის საკითხი პრაქტიკაში? უმთავრესად კი სამი წლის განმავლობაში ეს საკითხი იჭრებოდა კოლექტიური ხელშეკრულებით. სათანადო პროფესიონალურ კავშირსა და ცალკე წარმოების შორის იდებოდა კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის მთავარ შინაარს შეადგენდენ შრომის ხელფასის საკითხები. კოლექტიური ხელშეკრულების პრაქტიკამ დადებით შედეგები მოიტანა. ხელშეკრულების წესით შრომის ხელფასის მოწესრიგება ფრიად მიზანშეწონილათ უნდა ჩაითვალოს. ამ წესით ხელფასის მოწესრიგებაზე კიდევ კარგი ხანს უარს ვერ ვიტყვით.

კოლექტიური ხელშეკრულებით ხელფასის მოწესრიგება ხდება თითქმის ყველა საწარმოვო დარგებში მხოლოდ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში ვერ მოიკიდა კოლექტიურმა ხელშეკრულებამ ფეხი. ეს აიხსნება მით, რომ ამ დაწესებულების მიმართ ხელფასის ფონდების რაოდენობას ყოველწლიურათ აწესებს სახელმწიფო. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ დაწესებულებათა ხელფასის ფონდები განსაზღვრულ ფარგლებს ვერ გასცილდება. ფონდების რაოდენობა დამოკიდებულია ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე. ჯერ-ჯერობით კი ეს უკანასკნელი არ იძლევა ფართო შესაძლებლობას ხსენებულ ფონდების გასადიდებლად.

ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში კოლექტიური ხელშეკრულებით ხელფასის მოწესრიგება არავითარ პრაქტიკულ შედეგს არ მოიტანს და უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან კოლექტიური ხელშეკრულება ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხელფასის მტკიცე ფონდს ვერ გაადიდებს. ამიტომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა მიმართ კოლექტიურ ხელშეკრულებით ხელფასის მოწესრიგებაზე. ამას გვიკარნახებს პრაქტიკული მოსაზრება.

მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება ჩავთვალოთ საკმარისათ ხელფასის მოწესრიგების ის წესი, რომელიც ახლა არსებობს საბჭოთა დაწესებულებებში.

რაში გამოიხატება ეს წესი? თვითეულ უწყებისათვის ბიუჯეტით წესდება ერთი წლის ხელფასის მტკიცე ფონდი. ამ ფონდის რაოდენობის განსაზღვრა სხვა და სხვა უწყებისათვის სხვადასხვა ნაირათ სწარმოებს. ერთი უწყებისათვის ფონდის გამოანგარიშების დროს იღებენ პირველ კატეგორიის ხელფასათ შვიდ მანეთს, მეორისათვის—რვა მანეთს, მესამისათვის—ათს, მეოთხისათვის—თორმეტს და ასე ამ რიგათ. მოსამსახურეთა ერთ და იგივე რიცხვზე ერთ უწყებას ხელფასის მეტი ფონდი აქვს, ვიდრე მეორეს. სხვა და სხვა უწყებებს შორის ხელფასის ფონდების მხრივ საგრძნობელი განსხვავება არის.

ამას კიდევ ემატება დაწესებულებებში სწორი ტარიფიკაციის დარღვევა. მოსამსახურეები უმეტეს ნაწილათ მიკუთვნებული არიან სატარიფო ცხრილის იმ კატეგორიაზე კი არა, რომელსაც ისინი თავის კვალიფიკაციით შეეფერებიან, არამედ გაცილებით უფრო მაღალზე. სწორი კვალიფიკაციის პრინციპი თითქმის არც ერთ დაწესებულებაში არ არის დაცული. ხშირათ შეხვდებით; რომ მეშვიდე ხარისხზე მისაკუთვნებელი მოსამსახურე მიკუთვნებულია ათსა, თორმეტსა და ხან მეტზეც. სხვა და სხვა დაწესებულებაში ერთი და იგივე კვალიფიკაციის მომუშავენი მიკუთვნებული არიან სხვა და სხვა ხარისხზე. მაგალითად, საქმის მწარმოებელი ერთ დაწესებულებაში მეშვიდე ხარისხით გადის, მეორეში მეათეთი, მესამეში მეთორმეტეთი და მეოთხეში მეთოთხმეტეთი. არავითარი მტკიცე წესი ამ მხრივ არ არსებობს. ამ უკანასკნელ დროს იყო მტკიცე კვალიფიკაციის დაცვის ცდა, მაგრამ ამ ცდამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი საგრძნობელი შედეგი ვერ მოიტანა.

არც თანამდებობათა სახელწოდების და მათი რიცხვის მხრივ არსებობს რაიმე წესი. სხვადასხვა უწყებებში სხვადასხვა თანამდებობა არის. ერთი და იგივე კვალიფიკაციის მუშაობა სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვა სახელწოდებას ატარებს. თანამდებობის სახელწოდების გამოგონების და მიკუთვნების საკითხს თვითეული უწყების ადმინისტრაცია თვითონ აწესრიგებს. თანამდებობის სახელწოდებაზე კი უმეტეს ნაწილათ დამოკიდებულია ხელფასის რაოდენობა.

ზევით ჩამოთვლილი მიზეზები შედეგათ იძლევა შრომის ხელფასის ფრიად დიდ სიჭრელეს საბჭოთა დაწესებულებებში, რაც ნორმალურ მოვლენათ არ შეიძლება ჩაითვალოს. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებებში მომუშავეთა ხელფასი ძალიან განსხვავდება ერთი-მეორისაგან. ამიტომ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა მიღებულ იქნას ზომები საბჭოთა მოსამსახურეების შრომის ხელფასის შეთანასწორებისათვის.

განზრახულია შემდეგში საბჭოთა მოსამსახურეების ხელფასის კანონმდებლობის წესით მოწესრიგება. დაწესებული იქნება ყველა უწყებისათვის თანამდებობათა განსაზღვრული რიცხვი—ერთნაირი სახელწოდებით. თვითეული თანამდებობის შრომის ხელფასის რაოდენობა დამტკიცებული იქნება კანონმდებლობის წესით. დაწესებულების ადმინისტრაციას კანონით ცალკე თანამდებობისათვის დაწესებული ხელფასის შეცვლის უფლება არ ექნება. არც თანამდებობის სახელწოდების და რიცხვის შეცვლა იქნება დაშვებული. თანამდებობის სახელწოდება შეიძლება შეცვლილი იქნას მხოლოდ კანონმდებლობის წესით. თანამდებობის მიხედვით კანონით დამტკიცებული ხელფასიც გამოიცვლება მხოლოდ ამავე გზით. კანონით ცალკე თანამდებობათა ხელფასის შეცვლა და გადიდება კი დამოკიდებული იქნება ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე. რამდენათ იგი გაუმჯობესდება, იმდენათ მომატებული იქნება ხელფასი მოსამსახურეთათვის. მაგრამ ეს მომატება მოხდება მხოლოდ კანონმდებლობის წესით.

მიზანშეწონილია ზევით მოყვანილი წესის შემოღება თუ არა? თუ მივიღებთ მხედველობაში ხელფასის რაოდენობის იმ სიჭრელეს, რომელიც ახლა არის, განზრახული წესის გატარება მიზანშეწონილათ უნდა ჩაითვალოს. ის ბოლოს მოუღებს იმ არევ-დარევას ხელფასის საკითხში, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს საბჭოთა დაწესებულებებში, და შეანელებს უთანასწორობას სხვადასხვა უწყებებს შორის.

საბჭოთა დაწესებულებაში შრომის ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგებაზე გადასვლა არ გამოიწვევს მოსამსახურეთა საერთო ხელფასის დონის შემცირებას. პირიქით, ის მაღლა ასწევს იმ კატეგორიების შრომის ხელფასს, რომელნიც ახლა ჩამორჩენილი არიან.

ტომელი.

კიდევ მენშევიკების ახალი ტაქტიკის შესახებ

I*)

თეთრგვარდიელთა გაზეთი „დნი", რომელიც ბერლინში გამოდის (№ 680—1925 წ. 1 თებერვალი), იტყობინება, რომ კარლ კაუცკიმ ყვითელი ინტერნაციონალის აღმასკომის ლონდონის სხდომაზე გაგზავნა მემორანდუმი (მოხსენება, რომელშიაც ეხება იმ მოზიცია), რომელიც უნდა დაიჭიროს ინტერნაციონალმა ბოლშევიკების მიმართ. ამ მემორანდუმში ქ. კაუცკი, თურმე, სხვათა შორის სწერს, რომ „ყველა ქვეყნების სოციალისტების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა ეხლა, როგორც ეს ცარიზმის დროს იყო, ბრძოლა დესპოტიზმის წინააღმდეგ, რომელიც სჩაგრავს და ახრჩობს რუსეთის ერებს". კაუცკი ამბობს: „ბოლშევიზმი საბოლოოთ და სამუდამოთ ჩამოშორდა სოციალისტურ მუშათა მოძრაობას და გადაიქცა ავანტიურისტ-დიქტატორების ჯგუფათ!.. ამიტომ კაუცკის „შესაძლებლათ არ მიაჩნია ბოლშევიკური წესწყობილების ევოლიუცია. დესპოტიური რეჟიმი, რომელიც დამყარებულია უხეშ ძალაზე და დიქტატურაზე; ნებაყოფლობით და მშვიდობიანათ ვერ გადაიქცევა დემოკრატიათ. ეკონომიურის მხრივ ბოლშევიკური სისტემა გაიყინება და გადაგვარდება". რას მოითხოვს კაუცკი?

„რუსეთის სოციალისტებმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყრონ პროპაგანდას და მასების დარაზმვას; ისინი მზად უნდა იყონ იმისათვის, **რომ სათავეში მოექცენ ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ სახალხო მოძრაობას, როდესაც ის დაიწყება**".

ქ. კაუცკი, რომელიც, როდესაც საქმე ეხება პროლეტარულ რევოლიუციას, ილაშქრებს „კომუნიზმი და ტერორიზმის" და აგრეთვე რევოლიუციის იძულებით მოხდენის მეთოდების წინააღმდეგ, ეხლა მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების იძულებით დამხობას, რადგან „ნებაყოფლობით" და „მშვიდობიანის გზით" არაფერი არ გამოვა. აი სანამდი მივიდა ბატონი კაუცკი.

მისი პოზიცია იმდენათ მემარჯვენე და მიუღებელი აღმოჩნდა, რომ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკმაც" კი **სასირცხვოთ დაინახა მისი მოხსენების დაბეჭდვა, რუსეთის მენშევიკებმა კი (და თვით ფ. დანმაც!) ბრიუსელის კონფერენციაზე განაცხადეს, რომ ისინი არ ეთანხმებიან კ. კაუცკის მოხსენებას და წარადგინეს თავისი კონტრ-მოხსენება.**

რას ამბობენ იქ რუსეთის სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც ბოლშევიზმის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის შვიდი წლის სტაჟი აქვთ?

მე-4 მუხლი რ. ს. დ. მ. პ. საზღვარ-გარეთელი დელეგაციის რეზოლიუციისა—რუსეთის სოციალისტური პარტიების ტაქტიკის შესახებ—ამბობს შემდეგს: **„თავის ბრძოლაში ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ რუსეთის სოციალისტებმა გადაჭრით უნდა უარყონ არა მარტო შეიარაღებული აჯანყების გამოწვევა შეთქმულებების გზით, არამედ ხალხის აღშფოთების და ნაწილობრივი აჯანყებების გაფართოვება და საერთო სახალხო აჯანყებათ გადაქცევა".**

ეს პოზიცია ეკუთვნის ფ. დანს, რომელსაც ჭკუა ასწავლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის გამოცდილებამ. ამ პოზიციას უახლოვდება პოზიცია გრ. ლორთქიფანიძისა, რომლის ნაწერების შესახებ ჩვენ შემდეგ მოვილაპარაკებთ. ჟორდანიას და კაუცკის პოზიცია კი—ეს არის პოზიცია მებრძოლი მენშევიზმისა, რომელსაც არ სურს რევიზიის (გადასინჯვა) მოხდენა. კაუცკი ამბობს: საჭიროა ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ,—მაშასადამე, საჭიროა საერთო სახალხო აჯანყების მოწყობა, რომლისათვისაც მზად უნდა ვიყოთ. ჟორდანია მას ბანს აძლევს: საჭიროა როგორმე (საუცხოვოთ არის ნათქვამი—როგორმე! მენშევიკური მორხცვობა გამოთქმებში!) თავი დავაღწიოთ საბჭოთა სისტემას და დაუბრუნდეთ ევროპიულ სისტემას. აი ასეთია მეორე ინტერნაციონალის ეს ორი უმწიკვლო რაინდი! მაგრამ მათ გამოუჩნდათ კიდევ მესამე მოკავშირე და ეს მოკავშირე აღმოჩნდა მშვენიერ საფრანგეთში. ეს არის ფრანგი სოციალისტი პიერ რენოდელი, რომელიც საკმაოთ ცნობილია თავისი გაიძვერობით. ისიც, როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, ბნელი საქმეების მოჭახრაკეა. ის მიწერ-მოწერას აწარმოებდა ქართველ მენშევიკებთან. რამოდენიმე ხნის წინათ, როგორც გადმოგვცემს მილიუკოვის გაზეთი „პოსლედნიე ნოვოსტი", რენოდელი დეპუტატთა პალატაში გამოვიდა აბრალმდებლო სიტყვით ბოლშევიკების წინააღმდეგ. მან დაიწყო იმით, რომ „საფრანგეთს არ შეუძლია დაივიწყოს თავისი ვალდებულებანი ზოგიერთ მცირე ერების, კერძოთ, საქართველოს მიმართ"... თავისი სიტყვა რენოდელმა დაამთავრა საკმაოთ არაორაზროვანი მუქარით ბოლშევიკების მიმართ: „ომმა მცირე ერებს დიდი იმედები აღუძრა, კერძოთ მათ დაებადათ თავისუფლების იმედი. ეს იმედები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. თუ ბოლშევიკები წინააღმდეგს ფიქრობენ—ისინი სცდებიან".

„თავისუფლების" რომელ იმედზე ლაპარაკობს საფრანგეთის ბურჟუაზიის ეს პატივცემული ლაქია?

რას ნიშნავს მისი სიტყვა, გასაგებ ენაზე რომ გადავთარგმნოთ?

ის ნიშნავს შემდეგს: „მცირე ერებს" უნდა ჰქონდეთ იმედი. ისინი უნდა აჯანყდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, ჩვენ კი—ევროპა—ვპირდებით მათ დახმარებას ჩვენი „ვალდებულებების" შესრულების საქმეში.

მაშასადამე, საქართველოს მიმართ ეს ნიშნავს იმას, რომ პიერ რენოდელი ამბობს: „თქვენ აჯანყდით და სისხლი ღვარეთ „თავისუფლებისათვის". თქვენ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გყავთ არამკითხე მხრუნველი და დამცველი პიერ რენოდელი, რომელიც წარმოსთქვამს თავის ჩვეულებრივ გაიძვერულ სიტყვას, პოლ ბონკური კი მორიგ პროტესტს განაცხადებს ერთა ლიგაში" (დაწესებულება, რომელიც რეზოლიუციებს ამზადებს). აი ლოღიკა გაიძვერა პიერ რენოდელისა, რომელიც უსინდისოთ დასცინის საქართველოს და „მცირე ერებს".

ამ საერთაშორისო მენშევიკური სამეულის—ნოე ჟორდანიას, კარლ კაუცკის და პიერ რენოდელის ახალი გამოსვლები მოწმობენ იმას, რომ შესაძლებელია მენშევიკების ახალი ხრიკები საბჭოთა საქართველოს და მისი მშრომელების წინააღმდეგ.

აი ამიტომ საჭიროა ფრთხილათ ვიყოთ და დაუნდობლათ გამოვამჟღავნოთ და ვამხილოთ ნოე ჟორდანიას ეს ძველი ტაქტიკა, რომელიც დამღუპველია ქართველი ხალხისათვის. ორიენტაცია ევროპაზე საბოლოოთ უკუგდებული უნდა იქნეს. თუ „ევროპიული სისტემა" ნოე ჟორდანიასათვის საჭიროა მისი პორტფელის აღსადგენათ,—დეე ის ნუ შეიწუხებს თავს და საბჭოთა საქართველოს მშრომელების ნებართვით დაკმაყოფილდეს იმით, რომ მომავალშიაც—საბჭოთა საქართველოს ოთხი წლის არსებობის შემდეგაც განაგრძოს საზღვარ-გარეთ „საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის" საპატიო სახელწოდების ტარება.

ნ. ჟორდანიას, რომელიც ვერ ამჩნევს თავის სასაცილო მდგომარეობას, მოკლავს...—არა, არ იფიქროთ, პატივცემულო ჟორდანია, რომ სისხლისმსმელ ბოლშევიკებს სურთ სიცოცხლეს გამოგასალმონ თქვენ, მოკლავს **სიცილი** ქართველი მშრომელი ხალხისა, რომელიც განაგრძობს თავისი ახალი ცხოვრების აღმშენებლობას.

მ. კახიანი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 46.

ვრესტ

ეკლესიის გამოყენება ელექტროსადგურად

სოფლის განათება ელექტრო-სინათლით და საზოგადოთ ელექტრონის ენერგიის გამოყენება სოფლის ცხოვრებაში, კერძოთ სასოფლო მეურნეობაში, ფართოთ იკიდებს ფეხს უკანასკნელ ხანებში რუსეთში. ზოგიერთ ალაგას გლეხობა აყენებს საკითხს ეკლესიების გამოყენების შესახებ ელექტროსადგურებათ. ერთი გლეხის საინტერესო წერილია მოთავსებული ამის შესახებ მოსკოვის „რაბოჩაია გაზეტა"-ში. მოგვყავს ის უმნიშვნელო შემოკლებით:

„ძვირფასო ამხანაგებო! გთხოვთ მოგვაწოდოთ ზოგიერთი ცნობა ჩვენი სოფლის ელექტროფიკაციის შესახებ და რაც უმთავრესია გაგვაგებინოთ რამდენი ფული დაგვჭირდება ამისთვის, როგორ უნდა დავიწყოთ ეს საქმე და ვის უნდა მივმართოთ ნებართვის ასაღებათ.

ჩვენი ელექტროფიკაციის გეგმა მდგომარეობს შემდეგში: **ამ პროექტის ცენტრს შეადგენს ეკლესია**, ორი სამრეკლოთი. ეკლესია დგას მაღლობ ადგილზე, არაფრით ის არ არის შეზღუდული, რომ ქარი ააცდინოს მას. და აი ამ ეკლესიაზე სურს სოფლელების უმრავლესობას მოაწყოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქარის სამოძრავებელი ტურბინა (მანქანა), რომ ამნაირათ იქნეს გამოყენებული ქარის ძალა. ხოლო თვით ეკლესიაში დაიდგმება დინამოს მანქანა, რომელიც მოგვცემს ელექტრონულ ენერგას. და ამნაირათ იბადება კითხვა, იქნება თუ არა საყოფი ეს ელექტრონული ენერგია ჩვენი სოფლის გასანათებლათ და რამოდენიმე სასოფლო-სამეურნეო მანქანის ასამოძრავებლათ.

სოფელში სცხოვრობს 60 მოსახლე, რომელთაც აქვთ 100 დესეტინა მიწა, ჩემი აზრით მთელ სოფელს ეყოფა 150 ლამფა და ელექტრომოტორი. გთხოვთ შეგვიდგინოთ და გამოგვიგზავნოთ ხარჯთაღრიცხვა, თუ რამდენი დაგვჭირდება ამ საქმისათვის".

გაზეთი სწერს ამ პროექტის შესახებ, რომ ეკლესიის სამრეკლოები ძალიან გამოსადეგი არიან ქარის სამოძრავებელის მოსაწყობათ, რადგან სამრეკლოები ყველაზე უფრო მაღლა არიან მოთავსებული სოფლებში და თავისუფალი ქარის მოძრაობისათვის. ამიტომ შესაძლებელია ეკლესიების და სამრეკლოების გამოყენება ელექტროფიკაციის მიზნით.

თავისთავათ ცხადია, რომ რამდენადაც ეკლესიების ასეთ გამოყენებას შედეგი ექნება, ეს საქმე მოეწყობა მხოლოთ იქ, სადაც ეკლესიების გაუქმებას თვით სოფლის მოსახლეები მოისურვებენ თავისი საკუთარი ნებაყოფლობით და გამოიტანენ შესაფერის დადგენილებას. კერძოთ ჩვენში ეს კითხვა, ესე იგი ეკლესიების გამოყენება ამ მიზნით არა სდგას, რამდენადაც **სოფლის** ელექტროფიკაცია არ სწარმოებს ისეთი ენერგიით, როგორც რუსეთის ზოგიერთ კუთხეებში, მაგრამ არაფერი მოულოდნელი არ იქნება, თუ მომავალში ჩვენშიც წამოაყენებენ თავისი სურვილით კითხავს გლეხები იქ, სადაც სასოფლო-მეურნეობაში ელექტრონის ძალის გამოყენებას ამჯობინებენ ეკლესიებს და სადაც ადგილ-მდებარეობაც ხელ უწყობს ქარის „ზუზუნს".

იაპონიამ დაამტკიცა ჩვენთან შეთანხმება

ტოკიო. 25 თებერვალი. 25 თებერვალს დილით, პრინც-რეგენტმა დაამტკიცა იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება. ამგვარად, შეთანხმება საბოლოოდ იქნა დამტკიცებული. 26 თებერვალს მოსალოდნელია ხელშეკრულების დამტკიცებული ტექსტის გაცვლა-გამოცვლა იოშიზავასა და კარახანს შორის. ამ მომენტიდან დიპლომატიური ურთიერთობა ორივე ქვეყნის შორის ფორმალურად იქნება აღდგენილი.

გერმანიის „საგანგებო კომისიის" საქმე

მარგისის დაკითხვა.

ლეიპციგი, 25 თებერვალი. როდესაც მარგისი სცდილობს უამბოს სასამართლოს, თუ როგორ აიძულებდა მას პოლიცია ჩამოერთმია მისთვის საჭირო ჩვენება, თავმჯდომარე ნიდნერი სიტყვას ართმევს მას. დამცველი ამის გამო აცხადებს პროტესტს, რასაც სასამართლო უყურადღებოთ სტოვებს.

სონის დაკითხვა.

სასამართლო იწყებს ბრალდებულის სონის დაკითხვას. უკანასკნელი აჩვენებს, რომ რამდენიმე წუთის წინ მის დაპატიმრებამდე შტუტჰარდტში პოლიციის ჯაშუშმა კენიგმა კადასცა მას რევოლვერი და საეჭვო დოკუმენტები, რომელიც ეხებოდა პოლიციას კომისარ ბლოტენზე თავდასხმის გეგმას. წინასწარ გამოძიებაზე გამომძიებელმა, სონის სიტყვით, ნეიმანის და ჰეგეს დახმარებით გამოსტყუა მას აღიარება იმისი თითქოს ის იცნობს გელმუტს და იცის გელმუტის მამხილებელი ჩვენებანი, ნამდვილათ კი ის გელმუტს სრულიადაც არ იცნობს.

შეჯახება სასამართლოს და დამცველებს შორის.

ლეიპციგი, 24 თებერვალი. 24 თებერვლის დილის სხდომაზე ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეჯახებას სასამართლოსა და დამცველებს შორის.

დამცველი ზომტური სცდილობს დაამტკიცოს, თუ როგორი საშუალებით იყო მიღწეული ფელიქსის, ნეიმანის და სონის ერთგვარი ჩვენებანი წინასწარ გამოძიებაზე. თავმჯდომარე უყურადღებოთ სტოვებს დამცველთა მოთხოვნას სასამართლოს დადგენილების ძალით.

საერთოდ ნიდნერის მიერ წარმოებულ პროცესში აშკარად სჩანს ტენდენცია არ შეუზღუდონ ჩვენება მხოლოდ ფელიქსს და ნეიმანს. დამცველებს ფრენკელს და ზომტურს, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ამის წინააღმდეგ, ნიდნერი ართმევს სიტყვას. თავმჯდომარე ნიდნერი, ემყარება რა თავის უფლებებს, მოითხოვს რათა ზომტურმა დასტოვოს სხდომის დარბაზი. ზომტური უარს ამბობს და ნიდნერი იძლევა განკარგულებას პოლიციის საშუალებით იქნას ის გაყვანილი სხდომის დარბაზიდან.

დამცველი სოციალ-დემოკრატი როზენფელდი ყველა დამცველების სახელით აქვეყნებს განცხადებას, რომელშიაც აღნიშნულია; „სხდომის დარბაზიდან ვექილების გაძევება არ შეეფერება ბრალდებულთა ინტერესებს და ეწინააღმდეგება კანონს" დამცველებს შეაქვთ წინადადება ხუთშაბათამდის იქნას გადადებული სასამართლოს სხდომა, რომ საშუალება მოგვეცეს მივმართოთ კომპეტენტურ ინსტანციებს (იუსტიციის საიმპერიო სამინისტრო) იმისათვის, რათა დაცული იქნას ვექილების უფლებანი".

2 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ უარყო დამცველთა მოთხოვნილება.

ამის საპასუხოთ ყველა 11 დამცველი, რომლებიც არჩეული არიან ბრალდებულებთან შეთანხმებით და არა დანიშვნით, აცხადებენ, რომ ისინი ხუთშაბათამდე არ მიიღებენ მონაწილეობას სხდომებზე. სასამართლომ დაადგინა დანიშნოს ოფიციალური დამცველები, რომლებიც ხვალიდანვე შეუდგებიან თავიანთ მოვალეობის ასრულებას.

ბრალდებული მაიერი ბრალდებულთა სახელით აცხადებს, რომ ისინი უარს ამბობენ დანიშნულ დამცველებთან რაიმე ურთიერთობის დაჭერაზე და არ უპასუხებენ სასამართლოს შეკითხვებზე. მიუხედავათ ამისა, სასამართლოს სხდომა დანიშნული იქნა მეორე დღისათვის.

თავდასხმა დამცველის ბინაზე

ლეიპციგი, 25 თებერვალი. **როზენფელდის ბინას ბერლინში ღამით თავს დაესხნენ უცნობი პირები. გარემოებათა მიხედვით, ადვილი დასაშვებია, რომ თავდასხმა მოხდა დოკუმენტების გატაცების მიზნით.**

ინგლისის მთავრობის „მტკიცე" პოლიტიკა

რა მოსპობს უმუშევრობას ინგლისში

ლონდონი, 25 თებ. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა ტეილორმა შეიტანა შეკითხვა: განზრახულია თუ არა საბჭოთა კავშირს მიეცეს საკრედიტო შეღავათები იმავე პირობებში, როგორც სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის დროს. ტეილორი მოითხოვდა საკრედიტო შეღავათების შემოღებას საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის დროს, ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების მიზნით, თუმცა ინგლისის მთავრობის საერთო პოლიტიკა, მისი სიტყვით, ისეთია, რომ საჭიროა მან მხარი დაუჭიროს წინადადებას, რომლის მიზანია—ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარება. შემდეგ ტეილორმა სთქვა: **„თუ ჩვენ გვსურს თავიდან ავიშოროთ უმუშევრობა, უნდა განვავითაროთ რუსეთის ბაზარი".**

ტეილორს პასუხი გასცა ფინანსთა მინისტრის ამხ. სამუელმა, რომელმაც სთქვა: „ტეილორი ფიქრობს, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ შეღავათებისა, რომელსაც გვთხოვენ რუსეთი და სხვა ქვეყნები, რომელთა პოლიტიკურ წესწყობილებას ინგლისის მთავრობა არ იწონებს. ძალიან საინტერესოა ამის საპასუხოდ აღვნიშნოთ, რომ რუსეთიდან მივიღეთ მხოლოდ ორი თხოვნა შეღავათების მინიჭების შესახებ, სახელდობრ: ერთი—„არკოსი"-დან და მეორე „ცენტროკავშირისაგან". ორივე თხოვნა მიღებული იყო არა ეხლანდელ ანტისოციალისტურ მთავრობის, არამედ წინამორბედ მუშათა მთავრობის დროს. უკანასკნელმა უარი განაცხადა ამ თხოვნებზე".

საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა საჭიროა ინგლისისათვის

ლონდონი, 25 თებ. დეპუტატთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა მაკ-კანდერმა შეიტანა შეკითხვა, თუ რატომ გადასწყვიტა მთავრობამ არ განაახლოს „არკოსთან" დადებული ხელშეკრულება, რომელშიაც გათვალისწინებულია ოფიციალურ გამოცემებში რუსეთის ნედლი მასალის შესახებ განცხადებების მოთავსება. მაკ-კინდერმა ხასი გაუსვა, რომ ინგლისის მრეწველობას ესაჭიროება ეს მასალა.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა სამუელმა უპასუხა, რომ მთავრობას არ სურს, რათა ოფიციალურ გამოცემებმა მოათავსონ ამ ფირმის განცხადებანი, რადგან იგი წარმოადგენს იმ მთავრობის სავაჭრო აგენტს, რომელმაც არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი ინგლისის ქვეშევრდომებისადმი.

მაკ-კინდერმა მაშინ მისცა შეკითხვა, ფიქრობს თუ არა სამუელი, რომ მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს მეფის სიტყვაში გამოთქმულ იმედის განხორციელებას, რომ ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებული იქნება მეგობრული ურთიერთობა.

ამაზე სამუელმა უპასუხა, რომ ინგლისის ბევრმა მოქალაქემ დაჰკარგა თავისი ქონება იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა მათ კუთვნილი წარმოებანი. ინგლისმა რომ ნება დართოს მთავრობის ორგანოებს მოათავსონ „არკოსის" განცხადებანი, მაშინ წვრილი მრეწველები განაახლებენ სავაჭრო ურთიერთობას რუსეთთან და შემდეგ კი, როდესაც დაჰკარგავენ თავიანთ ფულებს, გაჰკიცხავენ მთავრობას ასეთ განცხადებების ნებადართვისათვის.

სამუელის განცხადებას კონსერვატორები შეხვდენ ტაშით, ხოლო მუშათა პარტიის დეპუტატები—პროტესტით.

მაკ-კინდერმა ხელახლა მისცა შეკითხვა: იცის თუ არა სამუელმა, რომ „არკოსი" აცხადებდა იმ საქონელზე, რომელიც კონკურენციას არ უწევდა ინგლისის ვაჭრობას, მაგრამ საჭირო იყო ინგლისის მრეწველობისათვის და რომ „არკოსის" მიერ ინგლისში შეძენილ საქონლის ფასი გადახდილი იყო უკანასკნელ კაპეიკამდე. მაკ-კინდერმა ამაზე პასუხი ვერ მიიღო, ვინაიდან პალატას თავმჯდომარემ შესწყვიტა ამ საკითხის განხილვა.

სპეკულიანტის მიერ მოსყიდული მენშევიკები

ჩვენ მკითხველებს ემახსოვრებათ ის სამარცხვინო ამბავი, რომელიც გამოაშკარავდა გერმანიის მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის ბელადების მოსყიდვის შესახებ ერთი სპეკულიანტის, ბარმატის მიერ. ეს საქმე ჯერეც არ გათავებულა, მაგრამ მაინც საკმაოა მენშევიკების ბელადების რიცხვი, რომლებიც სარგებლობდენ სპეკულიანტის ჯიბით. იქ არის ებერტი, ბაუერი, ჰაილმანი, ველსი, გეფლე, შეიდემანი, რიხტერი და სხვ.

ვინ არის ეს, ამიერიდან საქვეყნოთ ცნობილი, ბარმატი? ერთ დროს მცხოვრები პოლონეთში, ის გადასახლდა ჰოლანდიაში და მოჰკიდა ვაჭრობას ხელი და დიდძალი ფული იშოვნა სასურსათო საგნების ვაჭრობით გერმანიასთან. ის შეიქნა პირადი მეგობარი მეორე ინტერნაციონალის ბელადების: ვანდერველდესი, ჰიუისმანსის, ჰაილმანის და სხვების. მათი დახმარებით მან მოახერხა გაცნობოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადებს, რომელთა დახმარებით ისესხა გერმანიის სახელმწიფო ბანკიდან რამოდენიმე ათეული მილიონი მარკა და შექმნა მთელი რიგი დიდ საწარმოო და სავაჭრო საზოგადოებათა. ხელი ხელს ჰბანოს. და ბარმატმაც არ დაივიწყა თავისი მეგობრები, მენშევიკები. გამოირკვა, რომ ის ეხმარებოდა მეორე ინტერნაციონალის ბიუროს. მისი ხარჯით დადიოდნენ საავგარაკოთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადები, რომლებიც ძალიან ფართოდ სცხოვრობდენ.

ბარმატის ერთი მოსამსახურის საშუალებით ამ ამბავს ყური მოჰკრა კომუნისტური გაზეთის „როტე ფანე"-ს („წითელი დროშა") ერთმა თანამშრომელმა და წარსული წლის ნოემბრის ერთ ნომერში დაიბეჭდა პირველი წერილი, რომელიც ამჟღავნებდა მენშევიკების მოსყიდვას სპეკულიანტ ბარმატის მიერ. მენშევიკების გაზეთმა „ფორვერტსმა" სასაცილოდ აიგდო კომუნისტები: ჰპორიკანები ხართო. გაიარა მას შემდეგ სამმა თვემ და მთელი ეს ამბავი მენშევიკების გახრწნის მოედო მსოფლიოს. და როდესაც ამ დღეებში „როტე ფანე"-მ გაახსენა „ფორვერტს", რომ ამ უკანასკნელს პასუხის გაცემა არ უნდოდა მის მიერ წამოყენებულ ბრალდებაზე, მენშევიკების გაზეთმა პირში წყალი დაიგუბა და „გადავიდა მორიგ საქმეებზე".

ვინ არიან მოსყიდულები?

პირველ ყოვლისა **რიხტერი** ბერლინის პოლიცმეისტერი—სოციალ-დემოკრატი. ის „სესხულობდა" ფულს ბარმატისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ უბრუნებდა პატრონს.

გუსტავ ბაუერ—ყოფილი რეიხსკანცლერი, ერთ-ერთი ბელადი სოციალ-დემოკრატიისა, მეორე (ლეგინის შემდეგ) თავმჯდომარე გერმანიის ეგრედწოდებული თავისუფალი (სოციალ-დემოკრატიული) კავშირებისა. ბარმატისაგან მან მიიღო პატარა საჩუქარი, ორ მილიონ ნახევარი ოქროს მარკა. ამას წინათ მას უარი ათქმევინეს, აშ გამომჟღავნების გამო, დეპუტატობაზე. ხოლო სულ უკანასკნელ დღეებში, როგორც „როტე ფანე" მოგვითხრობს, ბერლინის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ აღძრა საკითხი მისი გამორიცხვისა პარტიიდან. „ფორვერტსში" დაბეჭდილია სოციალ-დემოკრატების ფორშტანდის (ცეკა) წერილი, სადაც ის ამშვიდებს აღშფოთებულ მუშებს და ჰპირდება მათ, რომ დამნაშავე დასჯილი იქნება (ალბათ პარტიიდა გამორიცხვით).

ჰუგო ჰაილმან პრუსიის ლანდტაგის სოც.-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე და ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული პრესის, ერთი ბელადთაგანი [illegible]



ბარმატ



ებერტ. ველს. ბაუერ. შოულ. ჰაილმან.

[illegible]

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. ისიც იყო ერთი მეგობართაგანი ბარმატის. როდესაც მაკდონალდი ინგლისის მთავრობას მოექცა სათავეში, ბარმატმა იფიქრა: ეს წყალი ჩემ წისქვილს მიმატებაო და ველსის „სარეკომენდაციო [illegible]

ბ.

იმპერიალისტების ინტრიგები ოსმალეთში

ანგორა. 25 თებ. აჯანყებებს, რომლებიც დაიწყო გენჯში (ოსმალეთის ერთ-ერთ აღმოსავლეთ პროვინციაში) მეტად სერიოზული ხასიათი ეძლევა. გამოირკვა, რომ აჯანყებულთა ბელადი შეიხ საიდი და მისი მომხრეები ჩამოვიდნენ უცხოეთიდან. გაზეთები ამტკიცებენ, რომ აჯანყების ორგანიზატორებს შორის არიან სულთანის მომხრეები.

შეიხ საიდმა უმნიშვნელო ძალებით უეცრად დაიკავა დრანჯენი, გენჯის ვილაიეთის მთავარი ქალაქი. აჯანყებულთა ერთი ნაწილი მიემართება ქალაქ დიარბექირისაკენ, მეორე—არხანის მიმართულებით.

მთავრობამ მეჯლისში განაცხადა შემდეგი: **შეიარაღებული აჯანყება, რომელიც დაიწყო არხანის ვილაიეთში მთავრობის ძალების წინაღმდეგ, გავრცელდა დიარბექირის, ხარპუტის, გენჯის ვილაიეთებში და შესაძლებელია სხვა ვილაიეთებსაც მოედოს.**

მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა აჯანყებულ ვილაიეთებში და მოითხოვს ეს მიღებული ზომა დამტკიცებული იქნეს მეჯლისის მიერ.

მღელვარება რურის მუშებს შორის

ბერლინი. 25 თებ. მომრიგებელ კამერის გადაწყვეტილება ზედმეტ სამუშაოების გაგრძელების შესახებ გამოცხადებულია სავალდებულოდ რურის სამთო-მადნო მუშებისათვის. გადაწყვეტილების თანახმად, ამჟამად არსებული შეთანხმების ვადა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ გაგრძელებულია 1 ნოემბრამდე.

სოციალ-დემოკრატიულ წრეებში შეშინებული არიან სამთო-მადნო მუშებს შორის დაწყებული მღელვარებით და რეფორმისტულ პროფკავშირებთან ერთად სცდილობენ თავი შეაკავებინონ მუშებს ბრძოლისაგან და აშინებენ მათ იმით, რომ ეხლანდელი პირობები არ არის ხელსაყრელი, რადგან ნახშირის ბაზარზე სუფევს გასაღების დიდი კრიზისი, ნამდვილად კი, არავითარ გასაღების კრიზისს ადგილი არ აქვს, მაგრამ მწარმოებლები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსალოდნელ ბრძოლას, ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე შეუდგენ ნახშირის მარაგის დაგროვებას.

უმუშევართა მდგომარეობა ინგლისში

ხარჯების შემცირება მუშების ხარჯზე

ლონდონი. 25 თებ. დეპუტაცია, რომელშიაც შედიოდენ უმუშევართა კავშირის ლიდერები—ხოლტი, ლანინგსტონი, ანდარიუსი, მუშათა პარტიის წევრები—ლანსბერი და ტერტი და კომუნისტი საკლატვალა, მივიდა შრომის სამინისტროში, რათა უმუშევართა სახელით პროტესტი განეცხადებია იმ მდგომარეობის წინაალმდეგ, რომელიც შეიქმნა უმუშევართა დახმარების რაოდენობის შემცირების გამო. **დეპუტაცია სამინისტრომდე მიაცილა 6,000 უმუშევარმა.**

„დეილი მეილ"-ის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ლანსბერიმ განაცხადა, რომ საეჭვოა მოლაპარაკება ნაყოფიერად დამთავრდესო.

ამერიკის კაპიტალის ბრჭყალებში

პოლონეთის კონცესიები

ვარშავა, 25 თებერვალი. ამ დღეებში სეიმში განხილული იქნება მთავრობის პროექტი კონცესიების შესახებ. საკითხი იქნება გადასინჯული იმ მხრივ, რომ მრეწველობის ნაწარმოებებით სავაჭრო კონცესიები უნდა ჩამოერთვას კონცესიონერებს და გადაეცეს ომის ინვალიდთა ოჯახებს.

კონცესიების ჩამორთმევა პირველყოვლისა მიმართულია ებრაელ ვაჭრების წინააღმდეგ. სეიმის ებრაელთა ფრაქციის გამოანგარიშებით, განზრახულ ღონისძიების წყალობით 30.000 ებრაელთა ოჯახი დარჩება უსაღსროთ.

პოლონეთი ამერიკის ბრჭყალებში

ვარშავა, 25 თებერვალი. პრესა იუწყება, რომ 35 მილიონიდან, რომელსაც ამერიკა აძლევს პოლონეთს სესხის პირველი ნაწილის სახით, **პოლონეთი მიიღებს მხოლოდ 30 მილიონს, ხოლო დანარჩენი 5 მილიონი მოხმარდება პროცენტების გადახდას.**

„ფრანკფურტერ ცეიტუნგის" ვარშავის კორესპონდენტი იუწყება, რომ **ამერიკაში აღებული სესხი უზრუნველყოფილია არა მარტო რკინისგზების შემოსავლით, არამედ ქონებით და მოწყობილობით.** იმ შემთხვევაში, თუ დარღვეული იქნა სესხის **პირობები, კრედიტორებს უფლება აქვთ დააწესონ კონტროლი პოლონეთის რკინისგზებზე.**

მღელვარება ლოძში.

ვარშავა. 25 თებერვალი. ლოძის შაიბლერის ფაბრიკაში მუშების შტატის შემცირების გამო, ფაბრიკაში ადგილი აქვს დიდ მღელვარებას. **მუშები თავიანთი ცოლებით შეცვივდნენ ფაბრიკაში, სცემეს და დასჭრეს ადმინისტრაციის რამოდენიმე წევრი, მათ შორის ფაბრიკის დირექტორიც.**

ბრანტინგის გარდაცვალება

ბრანტინგის ბიოგრაფია

სტოკჰოლმი, 25 თებერვალი. იალმარ ბრანტინგი წარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს ფიგურას შვეციის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში.

ბრანტინგი დაიბადა სტოკჰოლმში 1860 წელს. 1886 წლიდან 1917 წლამდე ის იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ ორგანოს „სოციალ-დემოკრატენის" რედაქტორი.

1897 წ. ბრანტინგი იყო ქვედა პალატის წევრად. 1917—18 წლებში ბრანტინგი იყო ფინანსთა მინისტრად ედენის კაბინეტში, ხოლო შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ 1920, 21, 23 და 24 წლებში.

გარდა ამისა, ბრანტინგი იყო შვეციის დელეგატი ერთა ლიგის საბჭოში. 1925 წლის იანვარში ბრანტინგმა უარი განაცხადა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ავადმყოფობის გამო, მაგრამ დარჩა კაბინეტში უპორტფელოდ.



ი. ბრანტინგი

ბრანტინგი იყო მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი.

სამძიმარი ბრანტინგის ქვრივს.

სტოკჰოლმი. 25 თებერვალი. შვეციის მეფემ, დიპლომატებმა, ყველა ბურჟუაზიულ პარტიების ლიდერებმა, მეორე ინტერნაციონალის და ერთა ლიგის მოღვაწეებმა, მთელ რიგ უცხოეთის მთავრობების მეთაურებმა სამძიმრის დეპეშები გამოუგზავნეს ბრანტინგის ოჯახს.

შვეციის პრესის გამოძახილი

სტოკჰოლმი. 25 თებერვალი. ბრანტინგის გარდაცვალების გამო, პარლამენტის ორივე პალატის თავმჯდომარეებმა წარმოსთქვეს სიტყვა მისი ხსოვნის აღსანიშნავად. სიტყვები ფეხზე დგომით იქნა მოსმენილი. გლოვის ნიშნად, სახალხო სახლზე, პარლამენტის და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობებზე დაშვებული იყო დროშები.

საღამოს გაზეთები, მათ შორის ხეგლუნდის ორგანოც, აკრიტიკებდენ ბრანტინგის პოლიტიკას, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ის იყო შვეციის მუშათა მოძრაობის „განსახიერება"—შვეციის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მეორე ინტერნაციონალის ერთი მთავარი მოღვაწეთაგანი.

ამერიკა საბჭოთა კავშირის ცნობის წინ

ნიუ-იორკი, 25 თებერვალი. „როსტა"-ს კორესპონდენტის ცნობით, კულიჯი და ამერიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები ამჟამად სერიოზულად არჩევენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების აუცილებლობის საკითხს, მაგრამ ჯერ კიდევ გამოურკვეველია, როდის და რა გზით დაიწყება მოლაპარაკება.

ოფიციალურ წრეებში უფრო მიზანშეწონილად მიაჩნიათ მოლაპარაკება ამერიკის და საბჭოთა კავშირის კომისიების საშუალებით, როგორც ეს იყო ამერიკის და მექსიკის მოლაპარაკების დროს; ამ გაერთიანებულმა კომისიებმა შეთანხმებულად უნდა შეიმუშაონ სხვადასხვა ოქმები და ჩამოაყალიბონ თავ-თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც შემდეგში საფუძვლად უნდა დაედოს ცნობას.

ეხლა ოფიციალური წრეები ცდილობენ გამოარკვიონ ამერიკის კომისიის შემადგენლობა (ალბად, კომისიაში შევა სამი წევრი); ფიქრობენ, რომ ამ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული იქნება ბორა.

მაგრამ საეჭვოა, რომ ბორა დათანხმდეს კომისიის თავმჯდომარეობაზე, თუ კომისიის დანარჩენი წევრები მისთვის მიუღებელი იქნებიან.

ფაშისტების დიქტატურა

ბულგარეთის მთავრობის „ღონისძიებები"

ვენა. 25 თებერ. ამას წინად ბულგარეთის პრესაში გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის შესახებ, თითქოს აღმოჩენილ იქნა „კომუნისტურ საგანგებო კომისიის" ორგანიზაცია. ამის გამო ბულგარეთის მთავრობა განაგრძობს მასიურ დაპატიმრებას სოფიაში. დაპატიმრებული არიან კომპარტიის და გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთის ყველა გამოჩენილი მოღვაწეები. შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსევმა განაცხადა, რომ ორი თვის განმავლობაში მოსპობს ყველა კომუნისტურ ორგანიზაციებს.

მთავრობამ დაადგინა შემოიღოს სამხედრო-საველე სასამართლოები და გამოაცხადოს საგანგებო წესები.

ჩინეთის ამბები

ჩინეთის ყოფილი იმპერატორი იაპონიაში მიემგზავრება.

პეკინი, 25 თებერვალი. ჩინეთის ყოფილი იმპერატორი, რომელიც პეკინში იაპონიის მისიის ბინაზე სცხოვრობდა, ჩავიდა იაპონიის კონცესიის ტერიტორიაზე, საიდანაც იაპონიაში მიემგზავრება.

ჩინეთის გაზეთები ირწმუნებიან, რომ იაპონიას სურს ისარგებლოს იმპერატორის ჩასვლით ჩინეთის წინააღმდეგ ინტრიგების მოსაწყობათ.

„განსახიერებული ბუდდა".

პეკინი, 25 თებერვალი. პან-შან-პეკინ-ლაბა, რომელიც ტიბეტში ცნობილია, როგორც „განსახიერებული ბუდდა", ჩამოვიდა პეკინში.—მას დიდი ზეიმით შეხვდენ მთავრობის საზოგადოებრივ ორგანიზაციების, ვაჭრების და საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები. ფიქრობენ, რომ „განსახიერებული ბუდდა" დაესწრება კონფერენციას ჩინეთის სახელმწიფოს რეორგანიზაციის შესახებ.

ჩინეთის გენერლების ბრძოლა.

პეკინი. 25 თებ. ხონანში დაიწყო სამხედრო მოქმედება სუ-ჩის-ვისა და კან-იუ-კუნს შორის. კან-იუ-კუნი აწარმოებს შეტევას ჩან-აროუს წინაალმდეგ.

რა ხდება იაპონიაში

„იაპონიის ხალხი ჯერ არ მომწიფებულა"

ტოკიო. 25 თებერვალი. ქვედა პალატის კომისიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების კანონპროექტის განხილვის დროს სეიუხონტის პარტიის წევრებმა სთქვეს რომ **იაპონიის ხალხი საკმაოდ არ მომწიფდა პოლიტიკურად, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლებით ისარგებლოს** პარტია გამოსთქვამს შიშს, რომ ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა რიცხვის უეცრად გაზრდა არასასურველ გავლენას მოახდენს კონსტიტუციონურ მთავრობის მუშაობაზე; გარდა ამისა, „იაპონიისათვის ამ უცხო სისტემის განხორციელება, რომელიც დამყარებულია ინდივიდუალიზმის პრინციპებზე, გამოიწვევს იმ ოჯახურ წყობილების მოშლას, რომელიც შეადგენს იაპონიის იმპერიის ეროვნულ კონსტიტუციის საფუძველს.

იუწყებიან აგრეთვე, რომ კოალიციონურ მთავრობის წევრთა შორის არსებობს უთანხმოება, ვინაიდან სეიუკაის პარტიის წევრები მოითხოვენ, რათა შემცირებული იქნას ჰასაკის სტაჟი ქვედა პალატაში არჩევისათვის 30—25 წლამდე და აგრეთვე კანონპროექტიდან ამოშლილი იქნას საყოველთაო ხმის მიცემის შემზღუდავი მუხლები, რომელიც საიდუმლო საბჭომ შეიტანა.

საქართველოს გასაბჭოების 4 წ. თავზე

საქართველოს ოთხი წლის თავის ზეიმი მოსკოვში

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი. 25 თებერვალი. მოსკოვში მყოფმა ქართველმა მოქალაქეებმა და სტუდენტებმა ამიერ-კავკასიის სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად დიდის ზეიმით იდღესასწაულეს საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავი.

დღეს გაიმართა მრავალრიცხოვანი საზეიმო სხდომა. „ქართული კულტურის სახლი"-ს დარბაზი და სცენა მორთული იყო ლოზუნგებით და საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეების — ცხაკაიას, მახარაძის, ორახელაშვილის, ორჯონიკიძის და სტალინის — პორტრეტებით.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ლომინაძემ. დასასრულ არტისტიული ძალების მიერ გამართული იყო შინაარსიანი კონცერტი.

დღესასწაული ჩატარდა დიდის აღფრთოვანებით და ამიერ-კავკასიის ერების განუყრელი მეგობრობის ნიშნის ქვეშ.

მყონია.

„ხორჰურდაინ აისტანი"-ს წერილი

ერივანი, 25 თებერვალი. საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავის გამო გაზეთი „ხორჰურდაინ აისტან"-ი სწერს:

„საბჭოთა საქართველოს ოთხი წლის არსებობამ ბევრი რამ დაამტკიცა და უპირველეს ყოვლისა ის, რომ მუშათა კლასის და გლეხობის კულტურული, სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების განვითარების საწინდარია საბჭოთა ხელისუფლება. 4 წლის განმავლობაში მოძმე საქართველო სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა წინ. მას აქვს შემოქმედებითი მუშაობის ისეთი ნიმუშები, როგორიც არის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, სკოლების ფართოთ გაშლილი ქსელი, აღდგენილი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სომხეთის მუშები და გლეხები დღეს გულწრფელათ გახარებული არიან, ისინი დღესასწაულობენ მოძმე საქართველოს დიდ საზეიმო დღეს და წრფელის გულით იძახიან: „**გაუმარჯოს წითელ საბჭოთა საქართველოს**".

მისალმებანი საქართველოს კომპარტიის ცეკას

აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკასაგან

სალამი საქართველოს მუშებს და გლეხებს საქართველოს გასაბჭოების მეოთხე წლისათვის შესრულების დღეს! აზერბეიჯანის მშრომელები აღტაცებით თვალყურს ადევნებდენ იმ დიდ მუშაობას, რომელსაც ისინი ამ ოთხი წლის განმავლობაში ეწეოდენ კომუნისტურ პარტიასთან ერთად, რათა საქართველო ექციათ ჩვენი კავშირის ერთ ერთ სამაგალითო რესპუბლიკად.

ამ ოთხმა წელმა თვალსაჩინოთ დაგვანახვა, რომ მხოლოდ მშრომელებს, რომელთაც ხელში უპყრიათ ძალა-უფლება, შეუძლიათ გამოიყვანონ ქვეყანა განვითარების ფართო გზაზე, აქციონ ის ნამდვილად დამოუკიდებლად და დაამყარონ ერთა შორის სრული მშვიდობიანობა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, რომელიც შევიდა თავისი სახელოვანი არსებობის მეხუთე წელში.

აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკა.

ჩრდილოეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტისაგან

— ჩრდილოეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტი გიძღვნით ძმურ სალამს საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავის შესრულების გამო.

საოლქო კომიტეტის
მდივანი: ტამოლოვი.

სომხეთის კომპარტიის ცეკასაგან

მუშათა და გლეხთა რევოლიუციის ოთხი წლის თავზე მხურვალე ძმურ სალამს უძღვნით საქართველოს მშრომელებს და კომპარტიას, რომელიც სათავეში ჩაუდგა აჯანყებულ მუშებს და გლეხებს და დაამხო მენშევიკების ბატონობა და ურყევი საძირკველი ჩაუყარა ქვეყანაში კომუნიზმს.

ღრმად გვრწამს, რომ კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველო გამარჯვებული გამოვა კონტრ-რევოლიუციის ყოველგვარი თავდასხმის ცდებთან ბრძოლაში და მომავალშიც რკინისებური ნაბიჯით გასწევს ილიჩის მიერ დასახული გზით ამიერ-კავკასიასა და მთელი მსოფლიოში კომუნიზმის გასამარჯვებლად. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და მის წინამძღოლს კომუნისტურ პარტიას.

სომხეთის კომპარტიის ცეკას
მდივანი: იოანისიანი.

აზერბეიჯანის მიწა-ტყის მუშაკთა კავშირისაგან

აზერბეიჯანის მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში ახლად გაერთიანებულ 20,000 მოჯამაგირის („ბატრაკი"-ს) სახელით თავის გულითად სალამს უძღვნის საქართველოს კომუნისტურ პარტიას. აზერბეიჯანის მოჯამაგირეებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ კომუნისტური პარტიის გარეშე ვერ დამყარდებოდა მშვიდობიანობა და ძმობა ამიერ-კავკასიის ერებს შორის. ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველოს მოჯამაგირეები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წავლენ იმ გზით, რომელიც დაგვისახა მუშათა კლასის ბელადმა ილიჩმა.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს შეკავშირებულ მოჯამაგირეებს!

გაზ. „წითელი ვარსკლავი"-ს კორესპონდენტებისაგან

ქუთაისის გაზეთ „წითელი ვარსკლავი"-ს მუშკორების, გლეხკორების სამხედრო და ახალგაზრდა კორესპონდენტების პირველი კონფერენცია მხურვალეთ ესალმება საქართველოს მშრომელი ხალხის ერთგულ დამცველს და მოამაგეს—საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელ ორგანოს—ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენი კორესპონდენტები, მოწოდებული ვართ ფხიზლათ ვიდგეთ მშრომელთა სადარაჯოზე, ვამხილოთ მუშაობის ყოველივე ნაკლი და მივუთითოთ მის გამოსწორებაზე. ჩვენ ვეცდებით შევასრულოთ ჩვენი დანიშნულება და ამით გავამართლოთ იმედები, რომლებსაც ჩვენზე ამყარებს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია. ჩვენ გვესაჭიროება თქვენი ხელმძღვანელობა. გვიხელმძღვანელეთ და ჩვენ არასოდეს არ გადაუხვევთ იმ სწორი გზიდან, რომელზედაც უნდა იდგეს მუშურ-გლეხური პრესის კორესპონდენტი.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ამიერ-კავკასიის სტუდენტობისაგან

ამიერ-კავკასიის სტუდენტთა საერთო კრება სალამს გიძღვნით თქვენ საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

პრეზიდიუმი.

— საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავზე ამიერ-კავკასიის პროლეტარული სტუდენტობა თავის მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მუშებს და გლეხებს, რომლებიც განთავისუფლდენ თავად-აზნაურულ-მენშევიკური მთავრობის უღლისაგან.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს!

პრეზიდიუმი.

რამ დაგვღუპა და რა გვიხსნის

IV *)

ვფიქრობდით, რომ ნამდვილს დემოკრატიულს, ხალხურ წყობილებას ვქმნიდით. ლიდერები გვარწმუნებდენ, რომ ისინი აშენებდენ ისეთ უმაგალითო სახელმწიფოს, რომლის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას და ვერ მოეწყო ვერც ერთ დაწინაურებულ ერს. ეს მართალი აღმოჩნდა. უმაგალითო იყო ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ არა თავის დემოკრატიზმით, ხალხოსნობით, მშრომელთა ინტერესების დაკმაყოფილებით, არამედ თავის ძალმომრეობით, უპასუხისმგებლობით, ხალხის და მუშათა კლასის რეალური ინტერესების აბუჩათ აგდებით, დემოკრატიზმის სახელით საშინელი დესპოტიზმის დამყარებით და სოციალიზმის სახელით სახალხო ქონების მოურიდებელი გაფლანგვა-განიავების დაკანონებით.

თუ უმაგალითო არ ყოფილიყო ჩვენი წესები, აბა რომელ სახელმწიფოში, ჩვენ მიერ დაწუნებულ წესწყობილებაში შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, რომ სხვადასხვა ძალა-მოსილ პირებს თვალის სეირისათვის, უმიზეზოდ კაცები მოეკლათ და ამის სამდენნი არამც თუ დაესაჯათ, არამედ კიდეც დაეწინაურებიათ.

აბა სად გაგონილა, რომ მთავრობის მეთაურების მახლობელი პირები საქვეყნოთ უმტკიცებდენ, რომ ისინი სხვადასხვა ბოროტ კომბინაციებს აკეთებენ, მთავრობის დადგენილებებს აცვლევინებენ, ბოროტმომქმედთ ანთავისუფლებინებენ აშკარათ, მოურიდებლათ. განა შესაძლებელია, რომ ასეთი მცირე რამ გამომჟღავნდეს სადმე და არამც თუ ერთი მინისტრი, არამედ მთელი მთავრობა არ დაემხოს, არ გადადგეს.

აბა რომელ სახელმწიფოში შეიძლებოდა, რომ მინისტრების შესახებ პარლამენტში და პრესაში განგაში ატეხილიყოს—ამა და იმ მინისტრმა ხელი დააფარა თავის მოხელეს, რომელმაც დამშეულებისთვის მოგროვილი პური მოიპარა და დაჰყიდა და ნაწილი ამ პურისა მასვე აღმოაჩნდაო ამა და ამ მინისტრის ნათესავმა ეს და ეს ქონება მიითვისა და მინისტრის ბინაზე შეინახაო და სხვაც — და ასეთი ამბების შესახებ საგანგებო მკაცრი გამოძიება არ დანიშნულიყოს, და უკეთუ მსგავსი რამ დამტკიცებულიყო, მაშინვე მთელი მთავრობა არ გადამდგარიყოს.

სად გაგონილა, რომ გატაცებული ქონების კვალი რომელიმე დიდი მოხელის კარზე მისულიყოს, ეს გამომჟღავნებულიყოს და ამას მაინც არაფერი შედეგი მოჰყოლოდეს.

სად გაგონილა, რომ გამომჟღავნებულიყოს, რომ დიდ მოხელეებს ყალბი ფულების საბეჭდავი მოეწყოთ, ეს მათ უფროსებს სცნობოდეს, და საქმე მიჩქმალულიყოს და ყველანი თავის ადგილზე დარჩენილიყვნენ.

ყველას ახსოვს რა აღფრთოვანება და იმედოვნება იყო ქართველ ერში რევოლიუციის პირველ ხანებში. თუმცა ჩვენი პარტიის გაბატონებულ წრეებში მაშინ წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა, მაგრამ ერმა ინსტიქტიურად იგრძნო, რომ რუსეთის დაშლა მას თავისუფლებას მიანიჭებდა. ქართველ ხალხში არავინ გადაგვღობებია წინ, არავის გამოუცხადებია ბრძოლა ჩვენთვის, როდესაც რევოლიუციონური მუშებით და ჯარებით ზურგგამაგრებულებმა ძალაუფლება ჩავიგდეთ ხელში. ამის შემდეგ ოთხი წელიწადი ეპყრა ჩვენს პარტიას ძალაუფლება. სხვა პარტიები და ჯგუფები იდეური კამათით კმაყოფილდებოდენ, ბრძოლას არ გვიცხადებდენ, და ყოველს გასაჭირში მხარს გვიჭერდენ. გავატარეთ რევოლიუციონური რეფორმები, მემამულეთ მიწები ჩამოვართვით. ვაჭარ-მრეწველთა კლასი და ქალაქის ბურჟუაზია საკმაოდ შევიწროვებული იყო ჩვენი რევოლიუციონური პოლიტიკით. ეკლესია და სამღვდელოებაც ვერ იქნებოდა, რასაკვირველია, კმაყოფილი ჩვენი რეფორმებით. მიუხედავათ ამისა, ჩვენთვის ბრძოლა არავის გამოუცხადებია, სამოქალაქო ომი არავის დაუწყია, გარდა ბოლშევიკებისა, ვისაც ჩვენ სხვებზე უფრო ლმობიერად ვეკიდებოდით. მთელი ხალხი იმედით შემოგვყურებდა ჩვენ. ყველას იმედი ჰქონდა, რომ იმ ხელსაყრელ პირობებში, რომელნიც ჩვენ გვქონდა, ჩვენ მოვახერხებდით სახელმწიფოს მოწყობას. ევროპაც ჩვენ თანაგვიგრძნობდა, ბოლშევიკური რუსეთიც დასუსტებული იყო მუდმივი სამოქალაქო ომით და ოსმალეთიც ჩვენს დამოუკიდებლობას თანაუგრძნობდა. გვყავდა დიდძალი ჯარში ნამსახური ჯარის კაცები, მრავალრიცხოვანი ოფიცრობა და გენერლობა მრავალ ომებში გაწვრთნილნი, დახელოვნებული. გვქონდა თბილისის, გორის, სამტრედიის, ბათომის და ქუთაისის საწყობებში აურაცხელი ქონება, სამხედრო მასალა, სამხედრო მოწყობილობა და სურსათი. ჩვენი კომისიის გამოანგარიშებით ეს ქონება და სამხედრო მასალა ეყოფოდა სამ წელიწადზე მეტს 80000 კაციდან შემდგარ ჯარს და გვარდიას ჩვეულებრივ დროს, ხოლო ომის დროს კი 200000 კაცს, მუშებს და სახელმწიფო მოსამსახურეებს მანუფაქტურა, შაქარი და სხვა კიდევ რამოდენიმე წელს.

ასე ფართოთ გაერთიანებული არასოდეს არ ყოფილა ჩვენი სამშობლო. ასე ერთსულოვანი და კულტურულად მომზადებული არასოდეს არ ყოფილა ქართველი ხალხი. ასე დასუსტებულნი არასოდეს არ ყოფილან მისი მტრები და ასე დაახლოვებული კიდევ არასოდეს არ ყოფილა ჩვენთან ევროპა, რომელიც ჩვენ სავსებით თანაგვიგრძნობდა. მაშ რა მოგვივიდა. რამ დაღუპა ჩვენი დამოუკიდებლობა, რამ დააქცია აღდგენილი სახელმწიფო? ჩვენმა უგუნურობამ, ჩვენმა თავგასულობამ, პარტიულმა ქინიანობამ, კინკლაობამ, უთვალავ დანაშაულობამ და ბოროტებამ. ჩვენ თვითონ ჩამოვიშორეთ და მტრათ გავიხადეთ ყველა ისინი, ვინც ჩვენ მოგვყვებოდა და დახმარებას გვიწევდა. ჩვენ თვითონ ვალიზიანებდით ყველას, ვინც ჩვენ პარტიაში არ იყო, ვსახავდით მათ ქვეყნის მტრებათ, სამშობლოს მოღალატეთ, თუმცა კარგათ ვიცოდით, რომ ამათი დიდი ნაწილი ჩვენზე ნაკლებათ გულწრფელი არ იყო თავისი ერის.

ჩვენ თვითონ ვამხედრებდით ერთ ჯგუფს მეორეს წინააღმდეგ, თუმცა ამის სოციალური საფუძველი არ იყო და სახელმწიფოს აშენებისათვის კი საჭირო იყო ეროვნული ერთობა და მთლიანობა. რად ვშვრებოდით ამას?

ჩვენი ლიდერების აზრით ამას მოითხოვდა ჩვენი დოგმა, ჩვენი პროგრამა: რატომ, რისთვის? ამას ვერავინ აგვიხსნის, ვერავინ დაგვისაბუთებს. აურაცხელი ქონება სად წავიდა, რად არ შეგვიმოსავს მუშები, სახელმწიფო მოსამსახურენი, სად დაიკარგა მრავალი ასი და ათასი ფუთი შაქარი, მანუფაქტურა, მედიკამენტები? რად აკლდა მუდამ ჩვენ ჯარს და გვარდიას სამხედრო მოწყობილობა და იარაღი, როდესაც ხუთჯერ მეტი ჯარის საყოფი გვქონდა სამი ოთხი წლის განმავლობაში. საწყობები ჩვენს ამხანაგების ხელში იყო. ძველი დახელოვნებული მოხელეები ამ საწყობებიდან დავითხოვეთ, მინისტრიდან დაწყებული დარაჯამდე და ჩვენი ხალხი ჩავაყენეთ. სამი წლის განმავლობაში კონტროლი და რევიზია არ გავაკარეთ, სანამ ეს საწყობები სრულიად არ დაიცალა.

საზოგადოება და სხვა პარტიები ამ ქონების მითვისებას მუშათა პარტიას აბრალებენ, საქვეყნოდ სდებენ მათ ბრალს. თქვენმა პარტიამ გაჰყიდა ჩუმად, ნელ-ნელა და ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე მილიონი ლირა გექნებათ გადანახული ამ ქონების საფასურიო. როგორ და რა გზით შეგვიძლია ჩვენ ამ ბრალდების გაბათილება. ყოველი საბუთი და მოსაზრება ჩვენ წინააღმდეგ ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენ ლიდერებს ალბათ სრულიად არ აწუხებთ საზოგადოების და ერის ასეთი ბრალდებანი.

საგარეო მუშაობაში განა მეტი სიფრთხილე და გონიერება გამოიჩინეს ჩვენმა მეთაურებმა? მეზობლებთან გადაკიდებული ვიყავით და ვერ მოვნახეთ მათთან საერთო ენა, თუმცა ეს არც ისე ძნელი იყო. ოსმალეთი აბუჩათ გვყავდა აგდებული და რუსეთიც. ევროპასთან დაახლოვებაც გვინდოდა თითქოს, და ამავე დროს ჩვენი სახელოვანი გიორგი ერაძის შემწეობით ინგლისსაც ვამხედრებდით ჩვენს წინააღმდეგ, საფრანგეთსაც და იტალიასაც. ამავე დროს მათ დახმარებას ვთხოვდით, მათი იმედიც გვქონდა. მაგრამ ესეც სანახევროთ. მეორე მხრივ ბოლშევიკურ რუსეთს ვეარშიყებოდით და ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე ლენინს სწერდა: მე და შენ ერთად უნდა წავიდეთ ხელი-ხელ ჩაკიდებული სოციალიზმის დასამყარებლადო. თან იკვეხიდენ ჩვენი მეთაურები: ერთად ერთი სწორი პოლიტიკა,—ჩვენი პოლიტიკაა: არც იქით, არც აქეთ, არც ბურჟუაზიული ევროპა და არც ბოლშევიკური რუსეთიო. ინგლისი და საფრანგეთი ვერ ახერხებდენ სხვასთან შეუკავშირებლად დარჩენას, პატარა საქართველოს კი არ სჭირია მოკავშირიო, მეგობარიო.

ჩვენ მდგომარეობაში ჩვენ ორი გზა გვქონდა ასარჩევი და რომელიმეს უნდა დავდგომოდით: ჩვენი მთავრობა, როგორც სოციალისტური მთავრობა, უნდა შეკავშირებოდა ბოლშევიკებს და მასთან ერთად ევროპას შებრძოლებოდა. და თუ ეს მას მიუღებლად და დამღუპველად მიაჩნდა ქვეყნისათვის, ის მტკიცედ და გაბედულად უნდა დაკავშირებოდა ბურჟუაზიულ ევროპას. ნუ თუ ამის შემდეგ შესაძლოა, რომ არ ვაღიაროთ გულწრფელად სინიდისის წინაშე, რომ ჩვენ, მხოლოდ ჩვენ დავღუპეთ ჩვენივე ხელით ჩვენი ქვეყნის თავისუფლება. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს პარტიას ეკისრება ეს ბრალი და სანამ ჩვენი პარტია ყველა სახელმწიფო დამნაშავეთ, ჩვენი დაქცევის და დაღუპვის მომწყობთ პარტიიდან არ გამოყოფს და საქვეყნოთ პასუხისგებაში არ მისცემს, მანამდის მთელი ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტია იქნება დამნაშავის სკამზე საქართველოს ისტორიისა და ერის წინაშე!

V

საშინელი უბედურება გვეწვია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ჩვენვე დავიტეხეთ თავზე. უცხოეთში გადმოვეხვეწეთ მაწანწალებივით, სხვისი იმედის შემყურე, სხვისი წყალობის მაძიებელი. განა ვფიქრობდით, რომ ამის შემდეგ მაინც არ განიკურნებოდენ ჩვენი მმართველი წრეები იმ საშინელი სენისაგან, რომელმაც შეიპყრო ისინი საქართველოში გაბატონების შემდეგ. განა ვფიქრებდით, რომ ისინი კიდევ ვერ მოიშლიდენ თავხედობას და ქედმაღლობას, კიდევ ვერ შეიგნებდენ თავის სამარცხვინო როლს და მშობელი ქვეყნის უდიდეს ტრაღედიას? მაგრამ არა. განაგრძობენ ძველი გზით სვლას, სრული უპასუხისმგებლობის, ვიწრო თავმოყვარეობის და ეგოიზმის გზით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და თავის ბატონობის ტახტი მათ მხოლოდ თბილისის ერთი უბნიდან მეორე უბანში გადაეტანოსთ.

მთავრობა და პარტიის მეთაურები მსოფლიო დედა-ქალაქ პარიზში გაეშურნენ. მათი ბრძანებით სტამბოლში ჩამოყვანილი ჯარისა და გვარდიის ნაწილები კი ოსმალეთში, სტამბოლის ქუჩებში უფლება აყრილი დაყარა, დაუბინავებლად, უპატრონოდ, სადაც მათ დასცინოდენ რუსეთიდან გამოქცეული ჩვენი მტრები და შურის საძიებლად აბეზღებდენ, აპერინებდენ, ამცირებდენ, და მათი მოსარჩლე კი არავინ იყო.

ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში, ვიმყოფებოდით, როცა კონსტანტინოპოლის მომქმედმა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ გაიგო და დაინახა, რომ პარიზში მყოფმა ჩვენმა მთავრობამ თავის წევრებსა და მახლობელ პირებს დაუნიშნა ისეთი დიდი ჯამაგირი. რომ ასეთს ჯამაგირებს თვით ევროპის სახელმწიფოების ზოგიერთი მეთაურებიც კი არ ღებულობდენ.

ევროპაში გადმოხიზნული ქართველი ხალხის საგრძნობი ნაწილი, რამოდენიმე პირთა უკულმართი შეთანხმებით, დაყვეს ოთხ უცნაურ კატეგორიებათ და თავიანთი სურვილის თანახმად დაუნიშნეს ზოგიერთს ისეთი დიდი ჯამაგირი, რომ მისი მეხუთედი ეყოფოდა საცხოვრებლად, ზოგს ისეთი მცირე ჯამაგირი, რომ მითი არსებობა არ შეეძლო და ზოგიერთი კი სრულიად უპატრონოდ დასტოვეს ქუჩაში.

ჩვენ შორის ასეთი აზრი იყო: ჯამაგირი უნდა მისცემოდა მხოლოდ ევროპაში მყოფ საქართველოს წარმომადგენლებს და ნოე ჟორდანიას მეთაურობით იმ მინისტრებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ევროპაში დიპლომატიური მუშაობა. დანარჩენი ემიგრანტები უნდა გაეყოთ სამ ნაწილათ: ემიგრაციის ერთი ნაწილი ახალგაზრდა მხედრობა და სტუდენტები გაეგზავნათ ევროპაში სასწავლებლად. მეორე ნაწილისათვის, საქმის გართულების გამო, ებრძანებიათ სამშობლოში დაბრუნება და თავისი ხარჯით ჩაესხათ გემებში და გაეგზავნათ საქართველოში; მესამე ნაწილს, რომელსაც არ შეეძლო საქართველოში წასვლა, მიეცემოდა ერთდროული დახმარება, ვიდრე სამუშაოს იშოვნიდა. სუსტებსა და ავადმყოფებისათვის უნდა ეშოვნათ ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის წითელი ჯვრების დახმარებით საჭმელი და თავშესაფარი ბინები. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობას იმოდენა თანხა ჰქონდა, რომ ჯამაგირების მიცემა შესაძლებელი იქნებოდა, ევროპაში ყველა ჩამოყვანილ ემიგრანტებს და საქართველოში სხვადასხვა ციხეებში დაპატიმრებულ მოღვაწეებს და ამხანაგებს უნდა მისცემოდა თანასწორათ თვიური დახმარება აუცილებელ პირველ მოთხოვნილებათა ნახევრად მაინც დასაკმაყოფილებლად. ჩვენ მთავრობასა და მის წარმომადგენლებს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში მეტად დიდი შტატები აქვთ. წარმომადგენლებს დიდი ჯამაგირები აქვთ და ამათ შორის ზოგიერთების ხელგაშლილი ფართე ცხოვრება აუტანელია ჩვენთვის მატერიალურად. საჭირო იყო შტატების შემცირება, მათი გაიაფება; ამის ნაცვლად კი სულ სხვა ხდება.

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის დამარცხების უკანასკნელი სამარცხვინო შავი დღეების დროს, ბათომში, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, რომელიც გამოტანილი იქნა მას შემდეგ, რაც ყველა სხვა პარტიებმა მთავრობაში შესვლაზე უარი განაცხადეს და მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს, ევროპაში გაზიდულ ქონების მოვლა-პატრონობა და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა მინდობილი სამს მინისტრს.

მართალია, როდესაც მთავრობა უკვე გემებზე ჯდებოდა, ჩვენმა მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რომლის ძალით შინაგან საქმეთა მინისტრს მეორე ამხანაგი დაენიშნა, მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმით არ იყო გამოწვეული, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს ერთი ამხანაგი არ ყოფნიდა გაფართოებული ტერიტორიის მოსავლელად, არამედ ეს იყო სამარცხვინო „ფოკუსი": თავის მეგობარს მინისტრის ტიტული მიანიჭეს ევროპის სხვადასხვა ქალაქების ბაზრებში, ქუჩებში და ყავახანებში სატრაბახოდ, მაგრამ ესეც არ იკმარეს. ჩამოვედით კონსტანტინოპოლში და მოულოდნელად მოგვევლინა კიდევ ერთი ახალი, გზაში გამინისტრებული, თავისებური ტონით და კაპრიზებით აღჭურვილი მინისტრი ერაძე, რომლის ხელში აღმოჩნდა ბათომიდან წამოღებული აურაცხელი სახალხო ქონება. ლპებოდა და ფუჭდებოდა ხალიჩები, მედიკამენტები და სხვა ძვირფასი საქონელი; იფლანგებოდა, იქურდებოდა და რაღაც ბნელი კომბინაციებით მცირე ფასებში უვარდებოდა სხვადასხვა მავნე სპეკულიანტებს ის უკანასკნელი სალსარი, რომელიც დაგვრჩა საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის შემდეგ, ერის ხელახალი განთავისუფლებისათვის სამოქმედოთ დასარაზმავად.

სტამბოლის ჩვენმა ორგანიზაციამ გემზე გამინისტრებულ გიორგი ერაძეს მოსთხოვა პასუხი მის მოულოდნელად მინისტრად მოვლინებისა და აგრეთვე ზემოთაღნიშნულ ქონების გაოხრების, იაფ ფასებში გაყიდვისა და გაფლანგვის შესახებ. საერთოდ ორგანიზაციამ მოსთხოვა მას მისი მოქმედობის და ქონების ანგარიშების შესახებ საბუთების წარდგენა, მაგრამ გიორგი ერაძემ და მისმა თანაშემწემ, გოლდმანმა, კარგად იცოდნენ, რომ სტამბოლში მყოფ პარტიის წევრებს და ქართველ მოქალაქეებს ხელში ჰქონდათ მათი ბნელი კომბინაციების მამხილებელი მრავალი საბუთები. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის ქონების კომბინაციებში გამოჭრილმა მინისტრმა ერაძემ და მისმა მარჯვენა ხელმა გოლდმანმა მალე ალღო აუღეს თავიანთ მდგომარეობას და გიორგი ერაძემ მოულოდნელად შემდეგი შინაარსის განცხადება გამოგზავნა ჩვენს ორგანიზაციაში: „ვინაიდან მე კონსტანტინოპოლის ორგანიზაციიდან გავდივარ, არ ვცნობ ჩემს თავს მოვალედ თქვენს წინაშე პასუხი ვაგო და ანგარიშები ჩაგაბაროთ; მე თქვენ არ გცნობთ და ჩემს ანგარიშებს გაუგზავნი პარიზში კოწია კანდელაკსო" რასაკვირველია აქ მას ერთი მოსაზრება ჰქონდა—საკითხის მიჩქმალვა, გაჭიანურება. პარიზში მყოფმა კოწია კანდელაკმა აბა რა იცოდა, თუ როგორ იფლანგებოდა, ფუჭდებოდა და ნიავდებოდა მილიონებად ღირებული სტამბოლში დატოვებული ქართველი ხალხის ქონება. ამ ქონების განიავების საბუთები, რასაკვირველია, ეხლა უფრო ძნელი შესაკრებია, ვინემ რამდენიმე თვის წინედ; რაც დრო გავა, მით უფრო შემცირდება და მივიწყებას მიეცემა ამ ბოროტ-მოქმედებათა ნიშნები. აი, ამის იმედი აქვს ერაძეს, გოლდმანს; აი, ამიტომ გაურბიან ისინი კონტროლს და პარიზზე გვითითებენ.

მე აქ ბევრს არაფერს ვიტყვი იმ კრების შესახებ, სადაც დიდს კამათისა და სასტიკს კრიტიკაში მონაწილეობას ღებულობდენ: ნოე ხომერიკი, ნიკო ელიავა, კოწია გვარჯალაძე, კოლია ჭუმბურიძე, ვლადიმერ და მურზაყან ემუხვარები, მელიტონ რუსია, ვასო წულაძე, ემელიანე ლომთათიძე, სოსო გაბუნია, ექიმი კობერიძე, ისიდორე მალანია, საშა ჯაფარიძე, სოსო გოგინაშვილი, კოლია ბარნოვი, ვასო მგელაძე, ხარფუხელი, იაკინთე რუხაძე, ლორია, ვალოდია გოგვაძე, რუბენ აუშტროვი, ამხ. ჩიტო, რუბენ ყიფიანი, სარქისა გლოხოიანი, ვლასა იმნაძე, სანდრო კორძაია, კოლია ნიჟარაძე, სოსო გეგელაშვილი და სხვ.

აღნიშნულ კრებაზე პარტიულმა ორგანიზაციამ და ინტერპარტიულმა პოლიტიკური კომისიის წევრებმა მიიღეს მხედველობაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უწესოებათა დამღუპველ ხასიათი, გაითვალისწინეს ჩვენი მძიმე გამოურკვეველი პოლიტიკური მდგომარეობა და ეკონომიური კრიზისი, რის შემდეგ კრებამ გამოსთქვა თავისი უკიდურესი გაკვირვება, რომ ამ უწესოებებს ბოლო არ ელებოდა და მთავრობას პარიზში გაუგზავნა ცხარე გულისწყრომა და პროტესტი. რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ მთავრობამ პარიზიდან ერთი მინისტრის პირით დაახლოვებით ასე უპასუხა კრებას: „რა თქვენი საქმეა, თქვენ ვინა გკითხავთ. ეს მთავრობის საქმეაო". აი როგორ ესმის მთავრობას და მის წევრებს თავისი უფლებები, ხალხისა და თავის შორის დამოკიდებულება, თავისი და სხვა პარტიების წინაშე პასუხისმგებლობა!

ყველა ამის შემდეგ, ადამიანი ურცხვი, ბოროტი, უსინდისო და ხალხისა და პარტიის მტერი უნდა იყოს, რომ ყველაფერს ამას ნათლად ხედავდეს, თქმა შეეძლოს და პირადი მოსაზრებით მუნჯათ იქცეს, კრინტი არ დასძრას.

ვანო ალიხანიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 45.

საინფორმაციო-განყოფილების

უკანასკნელი ცნობები

კარახანის ნოტა თეთრგვარდიელთა ბანდის შესახებ ჩინეთში

პეკინი. 25 თებერვალი. კარახანმა წარუდგინა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ენერგიული საპროტესტო ნოტა ჩინეთის ტერიტორიაზე თეთრგვარდიელთა რაზმის ყოფნის გამო, სახელწოდებით „რუსეთის პირველი შეერთებული ბრიგადას", რომელიც მოქმედებს შანხაისა და ნანკინის შუა რუსეთის ყოფილ ოფიცერ ივანოვის უფროსობის ქვეშ.

ნოტაში ნათქვამია: „ჩინეთის მთავრობამ ვალდებულად სცნო თავის თავი უარი ეთქვა სამსახურზე ყოფილ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომთათვის, რომლებიც მსახურობდენ ჯარში და პოლიციაში. თეთრგვარდიელთა სამხედრო ორგანიზაცია სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს და აიძულებს საბჭოთა კავშირის მთავრობას, პროტესტი განაცხადოს ამის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის შორის აღდგენილია მეგობრული ურთიერთობა, მეტად გასაკვირია, რომ ჩინეთის მთავრობა კავშირს არ სწყვეტს საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ორგანიზაციებთან. ჩინეთის მოსახლეობა, რომელსაც სძარცვავს და არბევს ეს რაზმი, ამის პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა კავშირის მთავრობას. ამის გარდა ასეთი რაზმის ყოფნა ჩინეთის ტერიტორიაზე ცუდ გავლენას ახდენს ამ ორი ქვეყნის მეგობრულ დამოკიდებულებაზე. თვითონ ჩინეთის ხალხი იგრძნობს მოსვენებას ამ რაზმის დაშლის შემდეგ, რომელიც მხოლოდ აჭიანურებს შინაურ ომს ჩინეთში.

დასასრულ ნოტა მოითხოვს თეთრგვარდიელთა დაუყოვნებლივ განიარაღებას და დაშლას.

დიდი ცვლილებები ჩვენთან განწყობილებაში

ნიუ-იორკი. 25 თებერვალი. გაზეთებში თუმცა იბეჭდება ცნობები რომლებიც წინასწარმეტყველებენ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შეცვლას, მაგრამ მოწინავე წერილებში ამის შესახებ არაფერს ამბობენ. საბჭოთა კავშირის დიდი მოწინააღმდეგე ორგანოებიც კი არ აცხადებენ არავითარ პროტესტს ცნობის წინააღმდეგ. ცხადია, რომ დიდი ცვლილებები მოხდა საქმიან წრეებში და ფინანსისტებშიც. ერთერთი ბანკის დირექტორი, რომელიც წინათ დიდი მოწინააღმდეგე იყო საბჭოთა კავშირის, ეხლა მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების აღდგენას.

„ფორვერტსი" ჭკუას კარგავს

ბერლინი. 25 თებერვალი. „ფორვერტს" აღშფოთებულია იმის გამო, რომ კომინტერნი და პროფინტერნი მოუწოდებენ ბრძოლისაკენ სამთო-სადნო მრეწველობაში 7 საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის და ამ მოწოდებას უწოდებს „მოსკოველ ავანტიურისტების უსირცხვილო ჩარევას".

კულიჯი თავს იკავებს

ნიუ-იორკი, 25 თებერვალი. კულიჯმა 17 თებერვალს პრესის წარმომადგენლებთა შეკითხვაზე საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ განაცხადა რომ ახლო მომავალში ამ მხრივ ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც პრესა ამტკიცებდა რომ მოლაპარაკება ახლო მომავალში დაიწყება, კულიჯმა თავი შეიკავა ყოველგვარი განმარტებისაგან.

გერმანიის პრესა საბჭოთა კავშირის და ამერიკის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი. 25 თებერვალი. შტრეზემანის ორგანო „ცეიტ" და „ფოსიშე ცეიტუნგ" გაცხარებით არჩევენ საბჭოთა კავშირის და ამერიკის ურთიერთობის საკითხს. ორივე გაზეთი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა ამერიკის მიერ მოხდება ახლო მომავალში.

საბჭოთა კავშირის და იაპონიის დამოკიდებულება

ჩიჩერინის დეპეშა 20 თებერვალს.

საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცა კონვენცია [illegible] და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების ძირითადი პრინციპების შესახებ. გაცნობებთ რა ამას ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვსთქვამ რწმენას, რომ ამ ორი ხალხის მეგობრობა ამ ხელშეკრულებით განმტკიცებული, მომავალშიც განვითარდება და გაღრმავდება ხელშეკრულებაში გამოთქმულ პრინციპების საფუძველზე.

შიდეხარის დეპეშა 25 თებერვალს

მომეცით ნება გაცნობოთ, რომ ძირითადი კონვენცია რომელსაც ხელი მოაწერეს ამას წინად იაპონიამ და საბჭოთა კავშირმა პეკინში, დღეს დამტკიცებულია იაპონიის მიერ. არაფერი ასე სასიამოვნო არ არის, როგორც ფიქრი იმის შესახებ, რომ მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა ორ ხალხთა შორის კვლავ აღდგენილია ოფიციალურათ და ამჟამათ ურყევათ განმტკიცებულია.

შიდეხარის დეპეშა 23 თებერვალს

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა სასიამოვნო ცნობისთვის, რომელიც გადმოცემულია თქვენს დეპეშაში. სრულებით გიზიარებ თქვენს რწმენას, რომ ამ ორი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა მომავალშიც განმტკიცდება და გაღრმავდება ამას წინეთ პეკინში მიღებულ ხელშეკრულების პრინციპების საფუძველზე.

ჩიჩერინის პასუხი 25 თებერვლის თარიღით

„თქვენმა დეპეშამ იმის შესახებ, რომ იაპონიამ დაამტკიცა ძირითადი კონვენცია ორთავე სახელმწიფოს შორის, უკვე დამტკიცებული ჩვენი მთავრობის მიერ, დიდი კმაყოფილება გამოიწვია ჩემში. მერწმუნეთ, რომ ეს ცნობა გულწრფელად იქნება დაფასებული ჩვენი ხალხის მიერ, რომ თქვენს კმაყოფილებას ორთავე ხალხს შორის მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარების გამო სავსებით იზიარებენ აქ".

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ერმიტაჟის და საზამთრო სასახლის რემონტი.

ლენინგრადი, 26 თებერვალი. სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს კომისიამ დაათვალიერა ერმიტაჟი და ყოფ. საზამთრო სასახლე. დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ ერმიტაჟის და სასახლის რემონტისათვის საჭირო იქნება 800.000 მან.

საზამთრო სასახლის ქვემო სართული შესამჩნევათ დააზიანა წყალდიდობამ. სასახლისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს მისი კედლების გაყინვა, რადგან უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში სასახლეს არ ათბობდენ. ამ ჟამათ სასახლეში ტემპერატურა—ნულის ქვევითაა.

ბელგიელ მკერავთა დელეგაცია.

ლენინგრადი, 26 თებერვალი. ბელგიელ მკერავთა კავშირის დელეგაციამ, რომელიც ლენინგრადში იმყოფება, დაათვალიერა საკერავი ფაბრიკები და მუზეუმები. დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში.

მუშების საჩუქარი გლეხებს.

ნიკოლაევი, 26 თებერვალი. მარტის სახელობის ქარხნის მუშებმა შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლების გლეხებისათვის იყიდეს 4 ტრაქტორი. ტრაქტორების ასამუშავებლათ მათ თავისი წრიდან გამოყვეს ოთხი ამხანაგი. ტრაქტორებთან ერთად შეძენილია საჭირო მასალები, რომლებიც საკმარისი იქნება მთელი საგაზაფხულო სეზონის განმავლობაში.

მფრინავის დაღუპვა.

ოდესა, 25 თებერვალი. დღეს სასროლ მოედანზე საჩვენებელი ფრენის დროს ჩამოვარდა და დაიღუპა ძველი გამცდილი მოფრინავი შვედკევიჩი. ჰაეროპლანი მთლიანად დაიმსხვრა.

სახელმწიფო მოსამსახურეების შრომის ხელფასის მოწესრიგება

მოსკოვი. 26 თებერვალი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიიღო დადგენილება სახელმწიფო მოსამსახურეების შრომის ხელფასის მოწესრიგების შესახებ; დადგენილებაში ნათქვამია:

საჭიროა მინიმუმამდი დაყვანილი იქნეს თანამდებობათა სახელწოდების რიცხვი; ერთნაირი შინაარსის სამუშაობები გაერთიანებული უნდა იქნეს ერთ სახელწოდებაში, ამასთანავე საჭიროა თვითეული თანამდებობის მოვალეობათა სისწორით განსაზღვრა.

ჯამაგირის დანიშვნა გამოწვეული უნდა იყოს მუშაობის ნამდვილი შინაარსით; ამასთანავე ჯამაგირი თვითეულ დაწესებულებაში ანდა უწყებაში დაწესებული უნდა იქნეს დამტკიცებული შტატების და თანამდებობათა ნომენკლატურის თანახმად.

ჯამაგირის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ფაქტიური შრომის ხელფასი, თუნდაც ამისათვის საჭირო დარჩეს შრომის ხელფასის შემცირება ერთ დაწესებულებაში და გადიდება—მეორეში.

დატვირთვა გაუქმებული უნდა იქნეს. სპეციალისტების შრომის ხელფასი შეტანილია საერთო სისტემაში. საჭიროა შტატების გადასინჯვა და ახალი შტატების შემუშავება ნამდვილ საჭიროებებთან და თანამდებობათა ახალ ნომენკლატურასთან შეფარდებით. დაუშვებელია ჯამაგირების გადიდება ცენტრალურ დაწესებულებებში იმ თანხების ხარჯზე, რომლებიც ადგილობრივი ფონდებიდან ცენტრალური დაწესებულებების ფონდში იქნება გადაგზავნილი.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება უნდა მოხდეს საერთო საკავშირო მასშტაბით, ამასთანავე ცალკე საკავშირო რესპუბლიკების მიერ დაწესებული დებულებები დაკავშირებული უნდა იქნეს საერთო სისტემასთან.

შრომის ხელფასის გასტუმრების ახალი სისტემის განხორციელებამდი, სახელმწიფო დაწესებულებებში უნდა დარჩეს შრომის ხელფასის წესრიგების არსებული სისტემა.

ამხ. პუგაჩოვის დაჯილდოვება წითელი დროშის ორდენით

ბაქო. 25 თებერვალი. წითელი არმიის შტაბის უფროსის თანაშემწეთ დანიშნული ამხ. პუგაჩოვი (კავკასიის წითელდროშოვან არმიის ყოფილი სარდალი) ჩავიდა ბაქოში, სადაც გამოვიდა მეთაურთა და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა საერთო-საგარნიზონო კრებაზე, შემდეგ კი აზერბეიჯანის მთავრობის სხდომაზე. აზერბეიჯანის მთავრობამ პუგაჩოვი დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით.

პუგაჩოვის ჩამოსვლის გამო, „26 კომუნარის" სახელობის წითელ ასკერთა პოლკში [illegible] ასკერთა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. პუგაჩოვი [illegible] იქნა საპატიო წითელ ასკერად.



ამხ. პუგაჩოვი

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

ნარინჯის გასაღება

ბათუმი, 26 თებერვალი. საზოგადოება „ტრანსპორტ"-მა 3 თვის განმავლობაში გაგზავნა რუსეთში 61 რონოდა მანდარინები.

აზერბეიჯანი

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა.

ბაქო. 26 თებერვალი. აზერბეიჯანის მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობის პირველ სხდომაზე კავშირის ცეკას წარმომადგენელმა კეტერმა აღნიშნა კავშირის ზრდა და სამეცნიერო-ტექნიკურ მუშაკთა სექციის როლი მასში.

ყრილობას მიესალმენ აზერბეიჯანის მთავრობის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა აზერბეიჯანისათვის.

ბაქოს საბჭოსთან.

ბაქო. 26 თებერვალი, ბაქოს საბჭოსთან ეწყობა გლეხთა საზოგადოებრივ დახმარების კომიტეტი.

პარტიული ცხოვრება

რუსეთის კომპარტიის ც. კ. დადგენილება

დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ ცეკას გადაწყვეტილების განხორციელებას სოფლად მუშაობის გაძლიერების შესახებ

რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა ცეკას მდივანი ამხ. ანდრეევი ციმბირში, ზაბაიკალის და ურალის მხარეებში საგუბერნიო, სასოფლო და საქარხნო პარტორგანიზაციების მუშაობის გასაცნობად. ამხ. ანდრეევმა, რომელმაც ამ ადგილებში დაჰყო ექვსი კვირა, წარუდგინა ცეკას დაწვრილებითი მოხსენება სოფლების მდგომარეობის, სოფლად პარტიული მუშაობის, კოოპერაციის განვითარების, მრეწველობის, მუშების მდგომარეობის და სხვ. შესახებ.

ამხ. ანდრეევის მოხსენების გამო ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც ცეკა განსაკუთრებით ხაზს უსვამს, იმას, რომ **აუცილებელია დაუყოვნებლივ შეუდგეთ ცეკას გადაწყვეტილებების საქმით განხორციელებას სოფლად მუშაობის გაძლიერების შესახებ.**

ცეკას სამდივნოს წინადადება ეძლევა თუნდაც უახლოესი დროისათვის დააწესოს სოფლად მუშაობის ადგილობრივ ორგანიზაციების სპეციალური გასინჯვა სპეციალურ კომისიას დაევალა შეიმუშაოს საკითხები ახალი აგრონომების და მიწისმზომელების მომზადების და აგრეთვე უკვე არსებულ მუშაკების მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ; ამასთან ერთად აუცილებლად არის ცნობილი მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აგრეთვე გამოტანილია დადგენილება იმის შესახებ, რომ პარტიის აქტიური მუშაკები აუცილებლივ გაეცნონ საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ღონისძიებებს და საკანონმდებლო მუშაობას სასოფლო-სამეურნეო დარგში.

სოფლად უნდა იგზავნებოდენ მხოლოდ ისეთი მუშაკები, რომლებიც იქ მართლაც სარგებლობას მოიტანენ. განსაკუთრებულ კომისიას დაევალა განიხილოს სოფლის მუშაკთა ეხლანდელი ნივთიერი მდგომარეობის საკითხი და შესაძლებლობანიც ამ ნივთიერი მდგომარეობის მომავალი გაუმჯობესებისათვის.

ახლო მომავალში საორგანიზაციო ბიუროში **დასმული იქნება საკითხი სოფლის უჯრედების გასინჯვის შესახებ, რათა იქიდან განდევნილი იქნენ არა პარტიული და პარტიის საქმისათვის მავნე ელემენტები**, და ამასთან დაკავშირებით დასმული იქნება საკითხი იმის შესახებაც, თუ **რამდენად შეიძლება გაუადვილოთ პარტიაში შესვლა საუკეთესო უპარტიო გლეხებს.** ცნობილია, როგორც აუცილებელი ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრების პერიოდიული მოგზაურობა მუშაობის მსვლელობის და მდგომარეობის გასაცნობად ადგილებზე.

ამას გარდა ცეკამ დაავალა კოოპერატიულ თათბირს დაამუშაოს ამხ. ანდრეევის წინადადებები მისი მოხსენების გამო კოოპერაციის შესახებ, ხოლო სამუშაო ხელფასის კომისიას—განიხილოს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ურალის ქარხნებში ნახევრად-ნატურალური ხელფასიდან ფულად სამუშაო ხელფასზე დაუყოვნებლივ გადასვლა. შემდეგ ცნობილია, როგორც აუცილებელი, რომ **შემცირებული იქნეს სხვადასხვაგვარ ნებაყოფლობითი ორგანიზაციების რაოდენობა** და აგრეთვე ანარიცხების პროცენტი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება მუშების ბიუჯეტს. ცეკას აუცილებლათ მიაჩნია, რომ სისწორით შესრულებული იქნეს ცეკას წინანდელი დირექტივები იმის შესახებ, რომ არავითარ შემთხვევაში ნებაყოფლობითი ანარიცხები არ უნდა აღემატებოდეს 4 პროცენტს უპარტიოებისაგან, ხოლო 6 პროცენტს—პარტიის წევრებისაგან. ცეკას სამდივნოს ევალება განიხილოს აქტიურ მუშაკების ზედმეტი მუშაობისაგან განტვირთვის საკითხი და საზოგადოთ მოაგვაროს მუშაკების დატვირთვა იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცდენილი უდროოდ ფიზიკური მოქანცულობა და შესაძლებელი გახდეს კულტურული მუშაობა თავის თავზე.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის ქალთა განყოფილებაში

მუშაობა დიასახლისებს შორის

ქალთა განყოფილების უმთავრეს მუშაობას უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში წარმოადგენდა მუშების ცოლების ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში. პირველად დიასახლისთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის საქმე მოისუსტებდა, მაგრამ შემდეგი თანდათანობით ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობით და ქალთა ორგანიზატორების აქტიური მუშაობის შემწეობით წარმოებებში გამოცოცხლდა მუშაობა და ფაბრიკებში და ქარხნებში მოეწყო დიასახლისების, მუშების ცოლების წრეები.

ამჟამად ქალთა განყოფილებას მუშაობაში ჩაბმული და ორგანიზაციულად შეკავშირებული ჰყავს 2,200-ზე მეტი დიასახლისი. ამ შეკავშირებულ დიასახლისთა რიცხვიდან 1,350 ჩაბმულია წრეების მუშაობაში. სულ ქალთა განყოფილებამ მოაწყო 52 სხვადასხვაგვარი წრე, მაგალითად: პროფესიონალური, დრამატიული, ჭრა-კერვის, წიგნთსაცავების, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და პოლიტწრეები. წრეების მუშაობას დიასახლისები არ აკლდებიან, წრეები უმთავრესად თავმოყრილია მუშათა ცენტრალურ კლუბში, სადაც მოიპოვება მუშა-ქალის სპეციალური კუთხე. ზოგიერთი ქალები სამეცადინოთ მიდიან ბავშვებით, რომელთაც მეცადინეობის დროს ათავსებენ ბავშვის კუთხეში, სადაც მორიგეობენ ყველა დიასახლისები რიგ-რიგობით, მუშათა ცენტრალურ კლუბთან იკითხება სპეციალური ლექციები დიასახლისებისათვის.

ამას გარდა ქალთა განყოფილებამ გააფართოვა თავისი მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც მუშათა ცოლები უშუალოდ ებმებიან ადგილობრივ წრეების მუშაობაში. მუშათა ცენტრალურ კლუბის გარშემო გაერთიანებული დიასახლისები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კლუბის ცოცხალ გაზეთში და სხვადასხვაგვარ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში. გარდა ზემოდ აღნიშნული მუშაობისა, ქალთა განყოფილებამ გააძლიერა მუშაობა 25 მუშათა სახლში, სადაც რეგულიარულად იმართება იმ დიასახლისთა კრებები, რომელთაც არ შეუძლიათ მუშათა ცენტრალურ კლუბში მუშაობა. 7 მუშათა სახლში გახსნილია მუშა ქალის კუთხე, სადაც თავმოყრილია მთელი მუშაობა. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის რიგებში მიღებულია 3 ქალი, აქედან 1 აისორი, 1 სომეხი და 1 ქართველი.

ამჟამად გაცხოველებული მზადებაა 8 მარტის დღესასწაულისათვის. დიასახლისები თავიანთი ძალებით ამზადებენ ამ დღისათვის „ინსცენიროვკას"—ქალის განვითარება 1905 წლიდან 1925 წლამდე. მზადდება გამოსაცემად კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, მიძღვნილი მუშა-ქალის დღისადმი. ქალთა განყოფილებამ თავისი მუშაობით დიასახლისები დაუკავშირა საბავშვო სახლებს. მიღებულია შეფობა ერთ საბავშვო სახლზე, რომელსაც დიასახლისები ყოველგვარ ნივთიერ და სხვაგვარ დახმარებას უწევენ. დიასახლისები ფართო დახმარებას უწევენ აგრეთვე პიონერთა კოლექტივებს, ამზადებენ მათთვის ტანისამოსს. 70 დიასახლისი მიმაგრებულია სხვადასხვაგვარ უჯრედებზე სხდომებზე დასასწრებლად. 200 დიასახლისი ჩარიცხულია მუშათა ცენტრალური კლუბის წევრად.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ დიასახლისები დიდ ენერგიულობას იჩენენ საზოგადოებრივ მუშაობაში. ამას გარდა დიასახლისებს ემჩნევათ ლტოლვა კომპარტიისაკენაც.

როტინოვი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

იუსტიციის სახალხო კომისარიატის კომკავშირის უჯრედში

ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა ზემოხსენებულ კომკავშირის უჯრედის მორიგი სხდომა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეს უჯრედი ახლად დაარსებულია, ის ჯერჯერობით იმყოფება ორგანიზაციულ პერიოდში. მაგრამ მიუხედავად ამისა, უჯრედს მაინც ეტყობა ერთგვარი ცხოველმყოფელობა.

უჯრედის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ბიუროს მუშაობის ანგარიში და ბიუროს ხელახალი არჩევნები, აგიტპროპის ადგილკომში უჯრედის წარმომადგენლის ინფორმაციული მოხსენება.

როგორც გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, დისციპლინა ამხანაგებს შორის ვერ არის დაყენებული სათანადო ნიადაგზე, კავშირი კომუჯრედთან მჭიდროა. გასულ სამშაბათს კომუჯრედის წარმომადგენელმა გააკეთა ჩვენს უჯრედზე მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და სხვა.

რაც შეეხება აგიტპროპის მუშაობას, ყველა კამპანიებში ჩვენი უჯრედიც ღებულობდა სათანადო მონაწილეობას. ჩვენი წარმომადგენელი ადგილკომში მტკიცედ იცავს ჩვენი უჯრედის წევრების და საერთოდ ახალგაზრდების ინტერესებს.

შემდეგ მოხდა ბიუროს შემადგენლობის ხელახალი გადარჩევა, რომელშიაც წევრებად შევიდნენ: ამხ. ამხ. მგელაძე, გოგოსაშვილი და ანდღულაძე, კანდიდატებად: ნიკოლაიშვილი და ზაქარაია.

უსურვებ ახლად არჩეულ ბიუროს მომავალში უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

ახკორი ყოფ-ტანჯი.

აჭარისტანის კომკავშირი

ამას წინად დამთავრდა ს. ა. ლ. კ. კ. აჭარისტანის მე-8 კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 188 დელეგატი. შედარებით სხვა წინანდელ კონფერენციებთან უკანასკნელი კონფერენცია ხასიათდება დელეგატების მიერ არაჩვეულებრივი აქტივობის გამოჩენით.

აჭარისტანის ორგანიზაციას ჯერ არ ახსოვს ასეთი კონფერენცია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აქტივობას იჩენდნენ არა მარტო ქალაქის ორგანიზაციის წევრები, არამედ სოფლებიდან ჩამოსული აჭარელი წევრებიც. აქტივობა საქმიანი და სერიოზული იყო.



ამხ. ხუსეინ ზოიძე

აჭარისტანის კომკავშირის ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელია. 1921 წლიდან ის დაუღალავ მუშაობას აწარმოებს ამ ორგანიზაციაში. როგორც პარტიის წევრი, ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე პარტიის და საბჭოების მუშაობაშიც. კომკავშირის უკანასკნელ ყრილობაზედ ამხ. ზოიძე არჩეულია საქ. ახ. ლენ. კ. კ. ცეკას წევრად და ასრულებს აჭარის კომიტეტის მდივნის მოადგილის თანამდებობას.

აჭარული კომკავშირელი დღითიდღე იჭრება საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგებში და თუ ყველგან არ არის ამ საქმის ინიციატორი, ყოველ შემთხვევაში არც ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი სოფლად არ სწყდება მის დაუხმარებლად. ეს ფაქტი ბევრის მთქმელია, თუ მხედველობაში მივიღებთ საერთოდ აჭარის სოფლების კულტურულ ჩამორჩენილობას.

კომკავშირის დაუღალავ მუშაობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ აჭარელი ქალები თავს აღწევენ კარჩაკეტილ და მონურ ცხოვრებას და ებმებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დელეგატებში სოფლად მუშაობის საკითხმა. არც ერთი დელეგატი არ დარჩენილა, რომ მას თავისი ფრთხილი და საქმიანი შენიშვნა არ შეეტანოს ამ საკითხის გარჩევის დროს. ეს მომენტი საუკეთესო დამამტკიცებელია იმის რომ აჭარელ კომკავშირელს მთელი თავისი არსებით აქვს შეგნებული სოფლად მუშაობის საკითხის უდიდესი მნიშვნელობა.

არა ნაკლებ აქტივობას იჩენდნენ დელეგატები სხვა საჭირბოროტო საკითხების გარჩევის დროსაც. კონფერენცია ერთსულოვნად ჩატარდა. უსაქმო გამოსვლებს და კინკლაობას ადგილი არ ჰქონია. დასასრულ მოხდა კომიტეტის არჩევნები. სულ არჩეული იქნა 29 წევრი და 13 კანდიდატი, ამათში 12 აჭარელია.

და ბოლოს ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა ამოცანები დაისახა კონფერენციამ სოფლად მუშაობის გაცხოველებისათვის.

კონფერენციამ აღიარა, რომ საჭიროა გაღრმავებული იქნას კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა, რომ საჭიროა კომკავშირელებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ საბჭოების არჩევნების ჩატარებაში და ყოველგვარი ღონისძიება მიღებული იქნას იმისათვის, რათა საბჭოებში აირჩიონ გლეხობის უღარიბესი ნაწილი, საჭიროა მომავლისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქოხ-სამკითხველოებში მუშაობას, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნეს ფართე მშრომელი მასსები, და რომ კომკავშირმა უნდა აიღოს ინიციატივა სკოლების დაარსების, გზებისა და ხიდების შეკეთების, ქვრივობოლთა დახმარებისა და სხვა.

აჭარისტანის ხელისუფლებას აქ მართებს სათანადო დახმარება გაუწიოს კომკავშირს ამ მუშაობაში. აუცილებლივ საჭიროებას წარმოადგენს, რომ საქართველოს კომ. პარტიის ცეკამაც კიდევ მეტი ყურადღება მიაქციოს სალთა ძილისაგან გაღვიძებულ აჭარის სოფლებს და საშუალება მისცეს კომკავშირს, რათა იგი უფრო ფართედ ჩაებას ახალი სოფლის შენებაში.

ხუსეინ ზოიძე

რკ. გზ. მუშფაკის კომკავშირის უჯრედში

ამას წინად რკ. გზის მუშფაკში შესდგა ადგილობრივი კომკავშირის უჯრედის მორიგი სხდომა, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება ფიზკულტურის მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელნი ამხ. ამხ. რომანოვსკი და ხელიძე ვრცლად შეეხენ ფიზკულტურის როლს ახალგაზრდათა ჯანმრთელობის საერთო საქმეში, აღნიშნეს თუ როგორი დიდი განსხვავებაა დღევანდელი ფიზკულტურის და მენშევიკების დროს არსებულ „შევარდენს" შორის და დასასრულ მოუწოდეს ამხანაგებს რომ მთავარი ყურადღება მიაქციონ გლეხური ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმას ფიზკულტურის ორგანიზაციებში.

მოხსენების გამო სათანადო რეზოლიუციის მიღების შემდეგ კავშირში მიღებული იქნა ერთი უპარტიო ამხანაგი და ერთი კომკავშირელიც გადარიცხული იქნა პარტიის კანდიდატად.

სხდომა დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ახკორი ქვენობნელი.

ქუთაისის კომკავშირის ორგანიზაციის მე-6 ცხრაწლედის სკოლის „ა" უჯრედის ცხოვრებიდან

აღნიშნული უჯრედი დაარსდა 1923 წ.

უჯრედის მთავარ ამოცანას შეადგენდა უპარტიო მოწაფეთა შორის მუშაობის გაცხოველება და მით მათი დაპყრობა. ამ მხრივ წარმოებულმა მუშაობამ გამოიღო თავისი ნაყოფი. მოწაფეთა პროლეტარულ ნაწილში დღეს ჩვენ ვამჩნევთ დიდ ლტოლვას კომკავშირისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უჯრედის თაოსნობით გამოდის კედლის გაზეთი „მოწაფეთა ხმა", რომელშიაც კავშირის, ისე კავშირის გარეშე მდგომი ამხანაგები ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას.

ერთი ნაკლი, რომელიც ახასიათებს ჩვენს უჯრედს—ეს ის არის, რომ უპარტიო მოწაფეებს არ ვასწრებთ უჯრედის სხდომებზე, არ ვაწყობთ ღია კრებებს, ხოლო მეორე მხრივ საგრძნობლად მოისუსტებს ქალიშვილთა შორის მუშაობა. შემდეგისათვის საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება.

ასევე ითქმის ბავშვთა ორგანიზაციების შესახებაც, რომლის მუშაობა მეტად სუსტადაა დაყენებული.

ჩვენს უჯრედს აღებული აქვს საშეფოთ სოფ. კურსები, რომელსაც უწევთ ყოველგვარ დახმარებას, კერძოდ: უგზავნით გაზეთებს, ვგზავნით მომხსენებლებსაც, რომლებიც აკეთებენ მოხსენებებს სადღეისო საკითხებზე და სხვ. საერთოდ საშეფო ფრონტზე მუშაობა კარგადაა დაყენებული.

გრ. მხეიძე.

გზადაგზა

VI

ქუთაისის მაზრა

(სპეციალური კორესპონდენტისაგან)

შორაპანსა და რიონს შუა თოვლი ისევ მკვიდრათა ძევს.

დღე საკმაოთ თბილია და ნებივრია, მზე თითქოს მოძრულ ძვლებსაც სწვდება სიამოვნებით.

რიონის სადგურზე ქუთაისის მატარებელს აგვიანდება. მანძილი რაღაც შვიდი ვერსია.

თევზობასა და ტყეში ხეტიალით, ან დიდ ქალაქებში ფრატუნით რამდენჯერ გამიქელია შეუმჩნევლათ ასეთი მანძილი. მაშ სადგურზე ხალმაურულმა ტრიალს ისევ გაკრული სიარული სჯობია ქუთაისისკენ.

მიყვარს ფეხით სიარული. აქ ხშირათ შეხვდები გზა და გზა გულწრფელ მობაასეს. გაიცნობ რაღაც უმნიშვნელო სავანს ან ცხოვრების მიჩქმალულ კუთხეს, შეხსნი საკინძეს და ამგვარათ შეიძენ რაღაც საპოვნელას, რასაც ჩვეულებრივათ გვერდს აუხვევს ხოლმე კაცი ცხოვრებაში.

რიონიდან ქუთაისამდის კაცმა რა თვალ-მარგალიტი უნდა იპოვნოს, მაგრამ მაინც მივდიოდი ფეხით!

ფოთში დაბერებულმა რიონმა თავი შემოძულა ამღვრეული სიდინჯით, ის იქ სრულიადაც არ მოაგონებს ადამიანს საქართველოს მთა-კლდიან მკერდზე გადმოვლებულ სიგიჟეს.

აქ კი რიონი ისევ ჩვენი უსწორმასწორო ქვეყნის ღვიძლი შვილია. თავაგდებულათ მოარღვევს სიპი ლოდებით დაუტყვილ რიყეს და მის ამღვრეულ გუნებას რამდენი განუხორციელებელი მუქარა ჩაუხვევია გულში, ამას გამოიცნობს მხოლოდ მისი უძლები სავანე—შავი ზღვა.

რაც უნდა მარტოობის მოყვარული ადამიანი იყვეს, გზაში მაინც ესიამოვნება ვინმე ამყოლი. ვისაც არ გამოუცდია, იმან არც იცის ფასი ამგვარი მტკიცებისა.

წინ გავხედე, არავინა სჩანს. უკან გამოვხედე, ვიღაცა მომდევს შორიდან.

ფეხი შევანელე. მომიახლოვდა. ახალგაზრდა მღვდელი გამოდგა.

მე მეგონა ყველა მღვდლები ან გაიკრიჭენ, ან დაბერდენ მეთქი. თურმე ახალგაზრდებიც ყოფილან.

მე ფეხი შევანელე. ცოტაც მხარ და მხარ გამისწორდა, დაინტერესებით გამოველაპარაკე.

ამ დროებაში თუ ერთგვარ გამბედაობათ არა, ერთგვარ სულგრძელობათ მაინც ჩაითვლება მღვდელთან შორა გზაზედ ბაასი და ისიც მთელი შვიდი ვერსის მანძილზე.

მე კი ძალიან მეინტერესება, რომ იმის ენა-პირიდანაც გავიგო ამ ცხოვრების ზოგიერთი ავ-კარგი.

ჩვეულებრივ სალამ-ქალამის შემდეგ, მე პირდაპირ მივმართე საიერიოშო კითხვებით.

— საიდან ბძანდებით, მამაო?

მღვდელს თითქოს უკვირს ასეთი თავაზიანობა თანამედროვე ადამიანისაგან. მაგრამ რაკილა ჩემს სახეში დაცინვას ვერ ამჩნევს, ამიტომ ისიც განსაკუთრებულის ზრდილობით მიპასუხებს ყველაფერზე.

— მე ცხრაწყაროდან გახლავართ.

— როგორ? სოფელში მსახურობთ?

— დიაღ. ზესტაფონის მახლობლათ.

— მაშ ეკლესიები ისევ დახსნეს სოფელში თავისუფლად?

— დიაღ! ორი თვეა, რაც გავხსენით და ვაწარმოებთ ღვთისმსახურებას.

— ადგილობრივი მთავრობის ხალხი ხომ ხელს არ გიშლიან, გულახდით აღიარეთ?

— არა. აღარავითარი დაბრკოლება არა გვაქვს მათგან.

— ხალხი ბევრი დაიარება ეკლესიაში?

— დედიან ქალები და მოხუცები.

— ნათლობა, ქორწინება ისევ სწარმოებს ეკლესიურის წესით?

— დიაღ, სწარმოებს. ჩვენი ხალხი, როგორც მოგეხსენებათ, ადვილად არ გადეჩვევა ამ წესებს. ეკლესიები დაკეტილი იყო, მაგრამ იმერეთის ჩვენ მხარეში მაინც ასრულებდნენ ნათლობასა და ქორწინებას. გასვენებითაც უღვდლოთ იშვიათად გაუსვენებიათ ვინმე.

— როგორა გგონიათ? ეს უფრო ღრმა სარწმუნოებას მიეწერება, თუ უბრალოთ მამა-პაპურ ჩვეულებას?

— რა მოგახსენოთ! მაგრამ როგორც ჩვეულება, მაინც დიდ რამეს ნიშნავს.

— მაშ ეხლა ხომ აღარ ემდურით ხელისუფლებას რამე შევიწროებაზე?

— არას გზით, ჩემო კარგო! მხოლოთ ამ ერთი კვირის წინეთ ეკლესია დაგვიწვეს ვიღაცებმა და აქნობამდის დამნაშავე ვერ გვიპოვნია. [illegible] ანდა ვსთქვა, მთავრობა [illegible]

შემდეგ [illegible] სარწმუნოებასა და თანამედროვე ხანაზე. ჩემი თანამგზავრი მოძღვარი საკმაოთ თავისუფალი მოაზროვნე გამოდგა, რომელიც სცდილობს სარწმუნოებრივი კეთილშობილობა მოათავსოს როგორმე თანამედროვე ცხოვრების ფარგლებში და სულ ერთიან არ ჩამორჩეს უკან ახალ ცხოვრებას.

ასე ვიარეთ ქუთაისამდის. გზაზედ გვხვდებოდენ ბევრი მუშები ჩვეულებრივი ჩვენებური სალამით, ის რომ მღვდელი იყო, ამას ყველა ჰხედავდა ანაფორაში, მაგრამ მეც ალბად ყველას დიაკვნათ ვეჩვენებოდი. მერე ჩემ მხარზედ გადაკიდებული ხურჯინიც ხელს უმართავდა ასეთ რწმენას.

ირგვლივ თოვლი ნახევარ არშინზე მეტათ ძევს კიდევ. დღე ნელ-ნელა დნება, ღამე კი ისევ ყინავს. ეს კი [illegible] თოვლის [illegible] წყალდიდობის თავიდან აცილებას.

ყველგან მზის გულზე გამოურეკიათ ზამთრისაგან დაკრუნჩხული და გაძვალტყავებული საქონელი, სიმშილისაგან სულ [illegible] გაუდით და თითო-ოროლა ტალახში ამოსვრილ სიმინდის კლერტებს [illegible] ღეჭავენ ის საბრალონი.

დღეს პარასკევობაა. ქუთაისის ბაზარზეც ბლომათ გამოუყვანიათ გასასყიდათ ღორები, თხები, ძროხები და სხვა საქონელი.

უმეტეს ნაწილს აშკარათ ამჩნევია სიმშილის განვლილი მწარე დღეები.

ახალ ღელი ძროხა თავისი ხბოთი ფასობს 40—50 მანეთამდე. ღორებიც თბილისთან შედარებით იაფია.

შეშაც ბლომათ იყიდება, მაგრამ ფასი არ აქვს. გამყიდველი ბევრია, მყიდველი—ცოტა. კარგა დადებულ ურემში ორ მანეთს აძლევენ. აქ ცოტა არ იყოს ჩემი თბილისური სინიდისი შესწუხდა.

არა, გლეხის შრომას ჯერ კიდევ არა აქვს როგორც საჭიროა დაფასება.

ეს არის დღევანდელი საჭირბოროტო საკითხი მთელ საბჭოთა წყობილებისთვის, რომელიც უნდა რამოდენიმეთ მაინც მოაგვარდეს აუცილებლათ.

⁂

ბათუმისებურათ ქუთაისის ქუჩებშიც ჯერ ისევ ბევრგან არის დაგროვილი თოვლის ზვინები ორი არშინის სიმაღლეზე.

ჩვეულებრივი ცხოვრება შედარებით აქ უფრო სავსებით არის დაცული.

შუაგულ მოედანზე დანგრეულ სობოროს ქვები არის დახროვილი.

⁂

ქუთაისის სამაზრო აღმასკომს ყველაზე ვრცელი ცნობები შეუკრებია თოვლისა და ყინვისაგან დაზარალებულთა შესახებ და საკმაო ნედლი სტატისტიკური ცნობებია მოცემული.

ამ ცნობების მიხედულობით ზარალის საერთო ჯამი წარმოადგენს 35.274 მანეთს.

დაზარალებულია 27 თემი. ეს ზარალი გამოიხატება უმეტეს ნაწილათ სახლების დანგრევაში, ძარებისა და სიმინდის დაღუპვაში, პირუტყვის დახოცვაში, კიდევ სხვადასხვა შენობებისა და ავეჯეულობის განადგურებაში.

ობჩის თემში დანგრეულია ხის სკოლა.

რიონის თემში—სახალხო სახლი.

ოფურჩის თემში სოფ. ნამახოვანში—სკოლა.

ყველაზე დიდი ზარალი მისდგომია უხუთის თემს. აქ დაზარალებულია 137 ოჯახი, რომელთაც დანგრევიათ სახლები, წისქვილები, მარნები, ძარები სიმინდით და შენობები. პირუტყვიც ბლომად დაღლეტიათ.

უკანასკნელ დრომდის ამ რაიონთან კიდევ ვერ ყოფილა აღდგენილი წესიერი მიმოსვლა, რადგან ორ ადლზე მეტი თოვლი ძევს ეხლაც მის არე-მარეში.

საქონელს მისდგომია თურმე იქ ყველაზე მნიშვნელოვანი ზარალი. ლამის მთელი ჯოგობით დაღლეტილან სიცივისა და სიმშილისაგან.

ერთ მეჯოგეს შიგ ქუთაისში ჩამოურეკია ოთხასი სული საქონელი სიმშილისაგან გადასარჩენათ. აქ სამაზრო აღმასკომს უსესხებია 400 ფ. თივა და ამგვარად დაუხსნიათ იგი დაღუპვისაგან.

სასწრაფო დახმარებათ მოთხოვნილია ცენტრიდან 88 რონოდა თივა და 7 რონ. სიმინდი.

აქნობამდის ჯერ არაფერი არ მიუღიათ.

გლეხ-კაცობას ჯერ არავისაგან არ მიუღია რაიმე დახმარება. ადგილობრივი ძალები ზოგ-ზოგან გზების გაწმენდას აწარმოებენ და ეს არის ჯერჯერობით მთელი დახმარება.

უხუთის თემში საჭიროა სასწრაფოდ წისქვილების აღდგენა და საქონლის საკვების მიწოდება, უიმისოთ ზარალი ერთი-ათად უფრო საგრძნობი გახდება.

წყალთა საოლქო სამმართველოშიც შევეკითხე წყალდიდობის შესახებ რა ცნობები აქვთ და რა ზომებს ღებულობენ.

გამგისაგან შემდეგი პასუხი მივიღე.

— დღე თბილა. ღამე კი ისევ ყინავს და ამგვარათ თოვლის დნობა ნელა-ნელა სწარმოებს. თუ ასე გაგრძელდა, წრეულს ჩვენ გვექნება სულ ჩვეულებრივი წყალდიდობა და არა ისეთი, როგორც ლაპარაკობდენ. რიონის დონე მთელი თვის განმავლობაში იცვლება 64—75 სანტიმეტრამდის. მეტი არა. ამასთან ყოველ შემთხვევისათვის ჩვენ ჩავკეტეთ ყველა არხები, ან ძალიან შევამცირეთ მათში წყალის დენა, რომ თოვლის დნობის დროს მათი კალაპოტი არ გაივსოს და არ გადმოხეთქოს. აგრეთვე რკინის გზის სამმართველოს თხოვნით დაკეტილია მუხიანის არხიც, რომლის გადიდებაც ემუქრება მთავარ ლიანდაგს.

ცხენის წყალზედ დაკეტილია ბომბეას ხიდთან არხები.

ფოთშიც ყოველდღე აწვდიან ცნობებს წყლის დონის შესახებ.

აი ყველა ის ცნობები, რომლების შეკრებაც კი მოვასწარი პირველივე დღეს.

ფუხარა.

ქუთაისი, 20 თებერ.

კომუნისტი
მიიღება ხელის მოწერა მარტისათვის
თვიური ხელისმომწერლები უფასოთ მიიღებენ „ჩირაღდანს“ „მეცნიერება და ტეხნიკა“-ს
გაზეთი დამატებით თვიურათ [illegible]
მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელების, [illegible]
და მასწავლებლებისათვის—75 კაპ.
დანარჩენებისათვის თბილისში—1 მ., თბილისს გარეთ—1 მ. 20 კაპ.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

თბილისში

არსენალის რაიონი

არსენალის რაიონის საარჩევნო კომისია იტყობინება, რომ არსენალის რაიონში გრძელდება დეპუტატების არჩევა თბილისის ქალაქის საბჭოში შემდეგი წარმოებების მუშებისა, მოსამსახურეებისა და დიასახლისებისაგან:

1. გემო-კვების კავშირის საქარხნო კომიტეტი № 5, მუშკოოპის გალეტების და კონფექტების ფაბრიკა—მე-5 საქარხნო კომიტეტის კლუბში (19 თებერვლის ქუჩა), 27 თებერვალს, საღამოს 5 საათზე.
2. არსენალის და სანიტარულ-ტეხნიკური განყოფილების დიასახლისები და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის ჯარების წითელარმიელთა ცოლები, განმეორებითი კურსები, საალმშენებლო დარგის მუშები, წყალსადენის სახელოსნოები, მეტყავეები, ღვინის სახელმწიფო ტრესტი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ქიმიური ქარხნები, მკერავები და საავადმყოფოები —მუშათა ცენტრალურ კლუბში, 28 თებერვალს, საღამოს 5 საათზე.
3. მეეზოვეების დიასახლისები—მეეზოვეთა კლუბში (პლეხანოვის პრ.), 28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე.
4. მედსანშრომის მუშაკები—სახალხო სახლი, 28 თებერვალს, დღის 4 საათზე.
5. ელექტრონზე და ხეზე მომუშავეთა დიასახლისები—მაჩაიძის სახელობის კლუბში (ყოფ. „ბო-მონდ“-ი), 1 მარტს, დღის 4 საათზე.

არსენალის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **მელაძე**.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

ა | წ. 27 თებერვალს საღამოს 4 ნახ. საათზე შესდება სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასთან არსებულ მუშფაკის მსმენელთა საზოგადო კრება (უნივერსიტეტის შენობაში). დღის წესრიგში: 1) მოხსენება ქალაქის საბჭოს მუშაობის შესახებ, 2) ქალ. საბჭოში დეპუტატების არჩევა.

პროლეტარულ სტუდენტთა და მუშფაკელთა შორის

გუშინ, 26 იანვარს, ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა კლუბში შეიკრიბენ მედიკ. ტეხნიკუმის, პედაგოგიური ტეხნიკუმის, სახელმწიფო კონსერვატორიის, ჰინეკოლოგიური ინსტიტუტის მოწაფენი და სომხური მუშფაკის მსმენელნი. დამსწრე ამრჩევლებმა მოისმინეს მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ,მოხსენება გააკეთა ამხ. ივანიანმა, რომელმაც ვრცლად დაახასიათა მეოთხე მოწვევის საბჭოს მოღვაწეობა ყველა დარგებში.

ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს თბილისის საბჭოს მიერ გასულ წელს წარმოებულ მუშაობას.

კრებამ მიიღო აგრეთვე მის მიერ არჩეულ დეპუტატთა სახელმძღვანელოდ ს. კ. პ. თბილისის საბჭოსგან გამომუშავებული „ნაკაზი“.

დასასრულ მოხდა დეპუტატთა არჩევა. არჩეულ იქნენ მედიკურ და პედაგოგიური ტეხნიკუმიდან — ამხ. ილენკო (კომუნისტი), სომხური მუშფაკიდან—შაუმიანი (კომ.), გინეკოლოგიური ინსტიტუტიდან ამხ. ბოჭორიშვილი (კომ.), რუსული მუშფაკიდან 4 კაცი, მათში ერთი უპარტიო, სახელ. კონსერვატორიიდან 1 კომუნისტი და 1 კომკავშირელი. სულ არჩეულ იქნა 13 დეპუტატები.

მიწა-ტყის მუშაკთა შორის

პროფსაბჭოს დიდი დარბაზი სავსეა მიწა-ტყის მუშაკებით კრებაზე გამოცხადებულია ამრჩეველთა თითქმის 100 პროცენტი. თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებას კითხულობს ამხ. **მამულია**. იგი დაწვრილებით აცნობს ამრჩევლებს ქალაქის მეურნეობის ასაღორძინებლად წარმოებულ მუშაობას. აღნიშნავს, რა გაკეთდა და რა დარჩა გასაკეთებელი.

კრებას მოხსენების მოსმენის შემდეგ გამოაქვს რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მეოთხე მოწვევის თბილისის საბჭოს საქმიანობას და გამოსთქვამს სურვილს. რომ მეხუთე მოწვევის საბჭოსაც იმავე ენერგიით განეგრძოს მოღვაწეობა. კრება ერთხმად იღებს აგრეთვე ს. კ. ბ. თბ. კომიტეტის მიერ დეპუტატების სახელმძღვანელოთ გამომუშავებულ ნაკაზს.

დასასრულ კრების მიერ არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. **ლადო დუმბაძე** (კომუნისტი), ალ. **გეგეჭკორი** (კომუნისტი), **ფანცხავა** (კომუნისტი). **ათიკაშვილი** (კომ.) და **კარბელაშვილი** (უპარტიო).

კანდიდატებად: **ამხ. წივწივაძე** (უპარტიო), **პაპაზიანი** (კომ.) და **შევარდნაძე** (უპარტიო).

განათლების მუშაკებში

გუშინ, 26 თებერვალს წითელარმიელთა კლუბ „კატორ“-ში შეიკრიბენ საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის თანამშრომელნი, მესამე და მეოთხე რაიონის განათლების მუშაკნი და ბეჭვდითი სიტყვის სექციის წევრები—სულ დაახლოვებით 500 კაცი.

დამსწრე ამრჩეველებმა მოისმინეს ამხ. **კორნელი ქაცარავას** მოხსენება თბილისის მეოთხე მოწვევის საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება იწონებს საბჭოს მუშაობას და გამოსთქვამს სურვილს, რომ მომავალ საბჭოს იმავე ენერგიით განეგრძოს თავისი საქმიანობა, როგორც გასულ წელში.

შემდეგ კრება ირჩევს თავის დეპუტატებით თბილისის საბჭოს შემდეგ 4 ამხანაგს: **მიასნიკოვს, ლ. ქართველიშვილს, ხალათიანს და გ. მალაშხიას.**

მასწავლებელთა შორის

გუშინ, 26 თებერვალს 12 საათზე ოპერის თეატრში თავი მოიყარა თბილისის გასული წლის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენების მოსასმენად და ახალ დეპუტატების ასარჩევათ მე-14-15-16 და 17 რაიონის განათლების მუშაკებმა. კრება გახსნა რაიონის საარჩევნო კომისიის სახელით ამხ. გიორგი სტურუამ. ამხ. ქაცარავა ეხება თბილისის საბჭოს გასული წლის მოღვაწეობას. ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოს აღმშენებლობით მუშაობას. მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს. კრებას მოხსენების ირგვლივ გამოაქვს რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საბჭოს მუშაობას. საბჭოს ახალ დელეგატებათ ირჩევენ: 1. ამხ. **მარიამ ორახელაშვილს** (კომ.) სარაჯიშვილს (უპარტიო). 3. ფანცულაიას, (კომ.) 4. ზაგნიძეს, (უპარტიოს), 5. გეგეწავას (კომ.), 6, აგაჯანოვს (უპარტიოს), 7. მეძმარიაშვილს (კომუნისტს), 8. გ. ნუცუბიძეს (კომუნისტს), 9. ზებურიშვილს (უპარტიოს), 10. ქართველიშვილს (უპარტიო), 11. სუროვი (კომუნ.), დაბოლოს კრება ახალ დეპუტატებს აძლევს თბილისის კომიტეტის მიერ წამოყენებულ ნაკაზს.

კინო.

მეოჯახე ქალთა კრება

ქალაქის საარჩევნო კომისია იტყობინება, რომ დღეს, 27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოხდება მეოჯახე ქალთა კრება დეპუტატების ასარჩევათ ქალაქის საბჭოში.

ყველა დიასახლისების დასწრება სავალდებულოა.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

სტურუა.

ღვინის ტრესტის მუშებში

საქართველოს ღვინის ტრესტში საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. მაჩაიძემ და როტინოვმა. შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც მუშები წარსულ თბილისის საბჭოს მუშაობას სცნობენ სავსებით დამაკმაყოფილებლად. შემდეგ არჩეული იქნა საბჭოს დეპუტატათ ამხ. გულისაშვილი. საპატიო დეპუტატებათ: მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე.

გემო-კვების კავშირის წევრებში

გუშინ შესდგა გემო-კვების კავშირის წევრთა საერთო კრება. საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ასტვასატუროვმა. რეზოლიუციაში მუშები აღნიშნავდნენ, რომ ახალმა საბჭომ უნდა იმუშაოს ისეთივე ენერგიით როგორც ძველი საბჭო, რათა შესაძლებელი გახდეს დასახულ ამოცანების განხორციელება. შემდეგ მოხდა დეპუტატების არჩევნები, არჩეული იქნენ: ამხ. ამხ. ელოშვილი (უპარტიო) და შახნაზაროვი (კომუნისტი).

სენაკის მაზრაში

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან

ნოსირის თემის საბჭოში არჩეულია 41 დეპუტატი. მათგან 14 კომუნისტია, 1 კომკავშირელი და 26 უპარტიო. 5 ქალი და 2 მასწავლებელი.

ჯოლო-აბედათის თემსაბჭოში არჩეულია 45 დეპუტატი. მათგან 15 კომუნისტია, 3 კომკავშირელი და 27 უპარტიო. 3 ქალი და 3 მასწავლებელი.

ონტოფოს თემის საბჭოში არჩეულია 35 დეპუტატი. მათში 16 კომუნისტი, 1 კომკავშირელი და 18 უპარტიო. 2 მასწავლებელი, 1 კოოპერატორი და 3 ქალი.

ახალი აბაშის თემში არჩეულია 83 დეპ. მათ შორის 45 უპარტიო, 2 კომკავშირელი და 36 კომუნისტი. ქალი 4 მასწავლებელი 8, ექიმი 1.

ბ. უჩანეიშვილი.

კოოპერაცია

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილების მუშაობა

(1924—25 საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში)

ახალი საოპერაციო წელი დაიწყო შედარებით ხელსაყრელ პირობებში. საქონლის საერთო ბრუნვა სამი თვის განმავლობაში გამოიხატა 33.249.000 მან., რაც აღემატება 1923 | 24 საოპერაციო წლის საქონლის საერთო ბრუნვას. სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობა საერთო ბრუნვაში გამოიხატება 22.259,1 ათას მან., რაც შეადგენს მთელი ბრუნვის 66,8 პროც.; კოოპერაციის მონაწილეობა გამოიხატა 8939,6 ათას მან ანდა 26,7 პროც. და კერძო პირების მონაწილეობა—1844,9 ათას მან., რაც შეადგენს 5,9 პროც. დანარჩენ ორგანიზაციებზე მოდის საქონლის მთელი ბრუნვის 0,6 პროცენტის.

სამომხმარებლო კოოპერაცია 1924 | 25 საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში.

პირველი საფეხურის სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმატებით ასრულებდენ დასახულ ამოცანებს, რომლებიც გამოიხატებოდა მოსახლეობისათვის ქალაქის მრეწველობის ფაბრიკატების მიწოდებაში და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებაში, რამაც შესამჩნევათ ხელი შეუწყო კერძო ვაჭრების განდევნას ბაზრიდან.

ოქტომბერში ცეკავშირის კოოპერატიული ქსელი შემდეგ სურათს წარმოადგენდა. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩართვით (ამ ქსელში არ შედის აფხაზეთი და მუშათა და სამხედრო პირთა ორგანიზაციები) ითვლებოდა სულ 132 კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელთა დუქნების რაოდენობა უდრიდა 700; ამ დუქნებით სარგებლობდა სულ 106,077 კაცი.

მუშათა კოოპერაცია.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საბოლოოთ დაეთავრდა ერთიანი სამომხმარებლო კოოპერტივების გადაკეთება საქართველოს სამრეწველო ცენტრებში მუშკოოპებით.

მუშათა კოოპერატიულ ქსელში—თბილისის მუშკოოპის ჩათვლით—ირიცხება 205 სავაჭრო პუნქტი და 88 დუქანი, რომლებიც საქართველოს პროვინციალურ სამრეწველო ცენტრებშია მოთავსებული; ისინი დახმარებას უწევენ 13.163 კაცს, ამას გარდა თბილისის მუშკოოპის წევრებათ ითვლება 21.035 კაცი,—სულ კი მუშათა კოოპერაცია დახმარებას უწევს 34.198 კაცს.

სამხედრო კოოპერაცია.

სამხედრო კოოპერაციის შესახებ განყოფილებას არ აქვს სრული ცნობები მაგრამ არსებული მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთლიანი სამხედრო კოოპერაცია ემსახურება 9.000 წითელარმიელს, „ბოეც კკა“ კი, რომელსაც აქვს 56 სავაჭრო პუნქტი—5.500 წევრს.

სავაჭრო ოპერაციები

რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ოპერაციებს აღნიშნული პერიოდის განმავლობაში,—უნდა ითქვას, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ცეკავშირის სახით საქონლის დიდ რაოდენობას და განსაკუთრებით მანუფაქტურას იღებდა უშუალოდ მოსკოვიდან. აღნიშნული დროის განმავლობაში შეძენილია სულ 1.380.533 მან. 84 კაპ. საქონელი.

საწარმოო ოპერაციები

საანგარიშო პერიოდი ხასიათდება შრომის ნაყოფიერების გადიდებით წარმოებებში, რაც ნაწილობრივ აიხსნება სანარდო მუშაობის შემოღებით. შედარებით მეტი ნაყოფიერება გამოიჩინა კონსერვების ფაბრიკამ გორში, სადაც სამი თვის განმავლობაში დამზადებულია 175.000 კილო სხვადასხვა ფაბრიკატები, რომლებიც უკვე განაღდებულია. დამთავრებულია ბამბის საწმენდი ქარხნის აგება ყარაიაში. შეგროვებულია 35.400 ფუთი ბამბა, ე. ი. მოსავლის 80 პროც., დამზადებულია 7.500 ფუთი ბამბის ძაფები. დამზადებულია 18.000 ფუთი იმერული ბამბა. ამას გარდა ცეკავშირმა არმიისათვის დაამზადა 222.000 ფუთი თივა.

ეკონომიური ცხოვრება

საგარეო ვაჭრობა

სამკურნალო მცენარეების დამზადება

ა. კ. საგარეო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ გადასწყვიტა მიმდინარე წელს გაფართოებული მასშტაბით შეუდგეს საზღვარგარეთ გასატანი სამკურნალო მცენარეების შეგროვებას და დამზადებას ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში.

ა. კ. საგარეო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას განზრახვა აქვს დაამზადოს წითელი გვირილის ფურცლები, კატაბალახა, გვიმბრა, ევკალიპტი და სხვა სამკურნალო ბალახები.

აბრეშუმის თესლის დამზადება ჩრდილოეთ კავკასიისათვის.

ა. კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ დონის-როსტოვის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობიდან მიიღო შეკვეთა 3 ათასი კილოგი აბრეშუმის თესლის დამზადების შესახებ სახელმწიფო ვაჭრობის დონის როსტოვის განყოფილებას განზრახვა აქვს წრეულს სანიმუშოდ დაურიგოს ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას აბრეშუმის თესლი.

აბრეშუმის თესლის დარიგება ჩრდილოეთ კავკასიაში პირველი ცდა არის შემოიღონ საბჭოთა კავშირის ამ კუთხეში აბრეშუმის მეურნეობა.

ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის მიერ შეკვეთა უკვე მიღებულია და ამ დღეებში იქნება შესრულებული.

ბამბის გასაღების საქმე

მიღებულია შეთანხმება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა („წარმოკავშირისა“) და საზოგადოება „მატყლის“ ახალ გამგეობას შორის 1925 წ. მთელი საქართველოს მატყლის (არა ნაკლებ 70,000 ფუთი) შესაძენად. დამზადებისათვის ფინანსიურ საშუალებებს იძლევა საზოგადოება „მატყლი“ და იგი ტარდება კოოპერაციის საშუალებით. დასამზადებელ ოპერაციებისათვის მიღებულია ხუთ-ხუთი მანეთი ფუთში. მეცხვარეებს ეძლევათ არა ნაკლებ 10 მანეთისა გაზაფხულის და 11 მანეთისა შემოდგომის ნაკრეჭზე. ფინანსიური დახმარების პირობები ისეთია, რომ კოოპერაციას საშუალება აქვს სასურველად ჩაატაროს მომავალი კამპანია.

საზოგადოება „მატყლის“ მიერ წარშანდელ პოლიტიკაზე უარის თქმის გამო ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომ. საბჭომ ნება დართო ამ კანტორას განაახლოს თავისი მოქმედება.

დახმარება სოფლის მეურნეებს

ღვინის გადასამუშავებლად

ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დააკმაყოფილა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის შუამდგომლობა იმერეთის კოოპერატიულ ორგანიზაციებისთვის 50 ათასი მანეთის სესხის მიცემის შესახებ იმერული ღვინოების გადასამუშავებლად.

საბჭოთა მეურნეობისათვის

ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა 21 ათასი მანეთი სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკს სომხეთის საბჭოთა მეურნეობის საწარმოო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

საკრედიტო ამხანაგობანი

ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა წინადადება შეიტანა აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოში ნახჩევანის მხარეში სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მოწყობის შესახებ. წინადადების თანახმად ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ მოწყობილი ამხანაგობანი გაერთიანებული იქნებიან უშუალოდ. ა | კ. სას.-სამ. ბანკის ამხანაგობათა ძირითადი კაპიტალი იქნება 200 ათასი მანეთი.

ფილოქსერასთან საბრძოლველად

ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა აუცილებლად სცნო ეხლავე მისცეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს 40 ათასი მანეთი კახეთში ფილოქსერის საწინააღმდეგო ბრძოლის დასაწყებად. ეს ფული ნაწილია იმ თანხისა (375.000 მანეთი), რომელიც ცენტრმა გადასდო მიმდინარე საბიუჯეტო წელში სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის.

საქართველოს საგეგმო კომისიაში

სანადირო გამოსაღები

ქუთაისის სამაზრო აღმასკომს ნება მიეცა სანადირო გამოსაღებზე დააწესოს 10 პროცენტიანი ზედნართი.

სარწყავი არხების შეკეთება

საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი სარწყავი არხების შეკეთების შესახებ და დაადგინა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სამელიორაციო განყოფილებას დაევალოს წარმოადგინოს დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა სარწყავი არხების შესაკეთებლად.

ადგილობრივი საგეგმო კომისიები

საგეგმო კომისიამ მიიღო სტატისტიკურ ეკონომიური სექციის მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი სამაზრო და საქალაქო აღმასკომებთან არსებულ საგეგმო კომისიათა შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიურ საბჭოს.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

რ. კ. პ. ყველა ცენტრალურ დედა-ქალაქების და საოლქო კომიტეტებს ამიერ-კავკასიაში

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს კომპარტიების ყველა ორგანიზაციებს მიმდინარე 1925 წელში ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე—8 მარტი—ჩაატარონ, როგორც საერთო - პროლეტარული და გლეხური პოლიტიკური კამპანია, რომლის მიზანი უნდა იყოს მშრომელ ქალთა ფართო მასების გაერთიანება კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო; აღნიშნულ კამპანიას საფუძვლად უნდა დაედვას ლოზუნგი: „ამიერ-კავკასიის მუშა ქალო და მშრომელო გლეხ-ქალო, გახსოვდეს მშრომელთა ბელადის ანდერძი, გაჰყევი ლენინიზმის გზას, შედი ლენინის პარტიაში, მჭიდროთ შეაკავშირე შენი რიგები საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, გაგზავნე შენი ბავშვები პიონერთა ორგანიზაციაში“.

საგიტაციო კამპანიის ჩატარების დროს სათანადო ორგანოებმა მშრომელთა ფართო მასებს გასაგები და მდაბიო ენით უნდა განუმარტონ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ქალების ფაქტიური განთავისუფლების—ეკონომიური და უფლებრივი განთავისუფლების—სფეროში; ამასთანავე გაშუქებული უნდა იქნეს ყველა მიღწევები ისეთი კულტურულ-განმანათლებელი და საწარმოო ორგანიზაციების მოწყობისა და გავრცელების საქმეში, როგორიც არის „გლეხ-ქალების კუთხე“, კლუბები, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, სახელოსნოები, არტელები, კოოპერატიული სასადილოები, სამრეცხველოები, საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები, ბაგეები და სხვა; ამასთან ერთად ფართოდ გაშუქებული უნდა იქნეს ის რეალური შედეგები, რომლებიც მიღწეული იქნა წინა წლებში სადელეგატო კრებების, პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების (საბჭოები და აღმასკომები), პროფესიონალური გაერთიანებების, კოოპერაციის, გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტების, სკოლების საბჭოების, „რემედასს“-ის, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების, „ბავშვების მეგობართა საზოგადოების“ და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში მუშა-ქალების და გლეხ-ქალების ჩაბმის სფეროში.

აღნიშნული უნდა იქნეს აგრეთვე, რომ აუცილებელია უფრო ფართო დახმარების გაწევა გლეხ-ქალებისათვის იმ მიზნით, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა რესპუბლიკების აღმშენებლობაში; ამასთანავე გაშუქებული უნდა იქნეს მათი როლი ყველა საფეხურის საბჭოთა აპარატის განმტკიცების საქმეში.

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის გაშუქება და საბჭოთა კავშირის და ამიერ-კავკასიის მუშა-ქალების და გლეხ-ქალების რეალური მიღწევები უფლებრივი და ეკონომიური განთავისუფლების და საბჭოთა აღმშენებლობის და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმის საქმეში დაკავშირებული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის შინაურ და საგარეო მდგომარეობასთან; ამასთანავე საჭიროა აღნიშვნა იმისა, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან მუშათა კლასი და მშრომელი მასები (მათ რიცხვში მუშა-ქალები და გლეხ-ქალები) კაპიტალისტურ ქვეყნებში, და აგრეთვე იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიებში და ნახევრათ კოლონიებში.

გაშუქებული უნდა იქნეს რევოლიუციონური განწყობილების ზრდა მუშათა და გლეხთა მასებში და დევნა-შევიწროება ბურჟუაზიის და მეორე ინტერნაციონალის მხრიდან; ამასთანავე დასავლეთის და აღმოსავლეთის მუშა-ქალებს და გლეხ-ქალებს უნდა მოუწოდოთ გაერთიანებისაკენ კომპარტიისა და კომინტერნის გარშემო.

იმ მიზნით, რომ ამ დღესასწაულში ჩაბმული იქნენ გლეხთა ფართო მასები, საჭიროა რაიონულ და სამაზრო ცენტრებში და დიდ სოფლებში, სადაც მუშაობენ მუდმივი სადელეგატო კრებები, მოწვეული იქნეს დელეგატთა საზეიმო კრებები ახლო-მახლო სოფლებში გლეხების და გლეხთა ახალგაზრდობის მონაწილეობით. კლუბებში, „გლეხ-ქალთა კუთხეებში“ და სხვა დაწესებულებებში მოწვეული უნდა იქნეს საზეიმო კრებები უპარტიო მასების მონაწილეობით.

მიზანშეწონილად არის ცნობილი სამაზრო და რაიონული კონფერენციების მოწვევა, სადაც ეს შესაძლებელია; საერთოდ მიმდინარე წელში დღესასწაული ფართოდ ჩატარებული უნდა იქნეს პროვინციაში; ამ დღესასწაულში რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმული უნდა იქნენ სამაზრო ცენტრები, რაიონული ცენტრები და დიდი სოფლები.

მოხსენებები 8 მარტის შესახებ წაკითხული უნდა იქნეს საერთო—პარტიულ დღეს კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების სხდომებზე, საერთო-პარტიულ კრებებზე, წარმოებებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, პროფკავშირების საერთო კრებებზე და სხვა; მოხსენებების წასაკითხავად მობილიზაციის წესით მოწვეულნი უნდა იქნენ საუკეთესო პარტიული ძალები, ამასთანავე გამოყენებული უნდა იქნენ მომზადებული დელეგატები—მუშა-ქალები და გლეხ-ქალები და ქალთა განყოფილების მთელი აქტივი.

საზეიმო სადელეგატო კრებებზე ქალაქებში და სოფლებში, და აგრეთვე კონფერენციებზე წაკითხული უნდა იქნეს მოხსენებები ქალთა საერთაშორისო დღის საერთო ამოცანების და საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ, ქალთა განთავისუფლების და მათი—პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმის საქმეში; ამასთანავე გაშუქებული უნდა იქნეს მშრომელი ქალის მდგომარეობა დასავლეთის ქვეყნებში და აღმოსავლეთში—საბჭოთა ტერიტორიის საზღვრებს იქით. მოხსენებებში აგრეთვე გაშუქებული უნდა იქნეს პარტიის მორიგი ამოცანები მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის სფეროში, თანახმად რ. კ. პ. ცეკას დირექტივებისა 1924 წლის 18 დეკემბრის თარიღით.

გარდა საერთო მასალებისა, რომლებიც ასურათებენ საბჭოთა კავშირის და ამიერ-კავკასიის ცხოვრებას, მოხსენებებში შეტანილი უნდა იქნეს ადგილობრივი ხასიათის მასალები და ციფრები. მოხსენებების გათავების შემდეგ კლუბებში, „გლეხ ქალთა კუთხეებში“, მუშათა კლუბებში და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში მოწყობილი უნდა იქნეს საღამოები, წარმოდგენები, კინო და სხვა; ამასთანავე ქალები ჩაბმული უნდა იქნენ არსებულ დრამატიულ და მუსიკალურ წრეებში და გუნდებში.

ამას გარდა, ქალაქების და სოფლების კლუბებში და „კუთხეებში“ ამ დღეებში მოწყობილი უნდა იქნეს კომუნისტური ნათლა და წითელი ქორწილი, რომლებსაც საზეიმო ხასიათი უნდა მიეცეს; ამასთანავე საჭიროა მათში სათანადო რევოლიუციონური შინაარსის შეტანა.

ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო და იმის გამო, რომ პარტიულ ორგანიზაციების მიერ მიღებულია მთელი რიგი დადგენილებები პარტიაში მუშა-ქალების და გლეხ-ქალების რიცხვის გადიდების შესახებ (ამიერ-კავკასიაში ქალების რიცხვი პარტიაში შეადგენს წევრების საერთო რაოდენობის 4,4 პროც.)—ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა 8 მარტს მიღებული იქნენ პარტიის წევრებად და კანდიდატებად მუშა-ქალები, გლეხ-ქალები და მოჯამაგირე ქალები უმთავრესად ძველი და ახალი მოწვევის დელეგატებიდან, სოფლის ორგანიზატორებიდან, უჯრედების ორგანიზატორებიდან, საბჭოების და გლეხკომების წევრებიდან, კლუბებში მომუშავე ქალებიდან და სოფლის მასწავლებელ ქალებიდან, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი კლასიური შეგნება და ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

პარტიაში მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიაში მოჯამაგირე ქალების მიღებას. ამავე დღეს უნდა მოხდეს ახალგაზრდა ქალების მიღება კომკავშირში და პიონერთა ორგანიზაციებში.

პარტიაში და აგრეთვე კომკავშირში და პიონერთა ორგანიზაციებში ახალი წევრების მიღება წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნეს პარტიის, კომკავშირის და პიონერების სათანადო ორგანიზაციებთან, კანდიდატების წამოყენების და მათი რაოდენობის განსაზღვრის მხრივ. აღნიშნულ ორგანოებში ახალი წევრების მიღება ქალაქებში და სოფლებში უნდა მოხდეს საზეიმო პირობებში—სადელეგატო კრებებზე, კლუბებში, საბჭოების სხდომებზე—მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მონაწილეობით.

იმის გამო, რომ მოჯამაგირე ქალები სისწორით ვერ არიან აღრიცხული და მათი მეტათ უმნიშვნელო პროცენტი ითვლება მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში,—ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა 8 მარტს მოხდეს მოჯამაგირე ქალების აღრიცხვა მაზრებში და მათი მიღება კავშირის წევრებათ, რისთვისაც წინასწარ საჭიროა შეთანხმება კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან და სათანადო სამაზრო ორგანიზაციებთან. კავშირში მიღება უნდა მოხდეს კავშირის წევრების საერთო კრებებზე ანდა კავშირის სამაზრო განყოფილებების პლენუმზე.

სასურველია საქალაქო, სამაზროს, რაიონული და სოფლის საბჭოების სხდომების მოწყობა, რომლებიც მიძღვნილი უნდა იქნეს 8 მარტისათვის; ამ სხდომაზე მოწვეული უნდა იქნენ გლეხთა კომიტეტების, საბჭოთა ორგანოების, კოოპერაციის, პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობის, სახალხო განათლების განყოფილების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გამოცემული უნდა იქნეს სათანადო ლიტერატურა, ფურცლები, პლაკატები, ბროშიურები და ცენტრალური ორგანოს ჟურნალის მორიგი ნომერი, ამასთანავე უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივი ხასიათის მასალებს, მუშა-ქალთა, გლეხქალთა და ქალთა განყოფილების მუშაკების კორესპონდენციებს.

ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა და ლოზუნგები წინასწარ გაშუქებული უნდა იქნეს ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში. ამ დღეს, როგორც საერთო-პროლეტარულ დღესასწაულს, დიდი ადგილი უნდა დაეთმოს პრესაში, ამ საკითხზე უნდა დაიწეროს მეთაურები, ამას გარდა მას წერილები და მისალმებანი უნდა უძღვნან პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში და აგრეთვე სამაზრო ცენტრებში, სადაც არის „ბავშვების მეგობართა საზოგადოების“ განყოფილებები, 8 მარტს მოწყობილი უნდა იქნეს საზეიმო კრებები, რომლებზედაც წაკითხული უნდა იქნეს მოხსენებები წარსული და მომავალი მუშაობის შესახებ, ამასთანავე საჭიროა საზოგადოებაში იმ მოქალაქეების, ახალგაზრდების და პიონერების მიღება, რომლებიც ამას მოისურვებენ.

8 მარტის კამპანიის ჩატარების დროს ფართოდ გაშუქებული უნდა იქნეს პრაქტიკული ღონისძიებები მუშა-ქალების და გლეხ-ქალების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების სფეროში, რისთვისაც საჭიროა:

1) ფონდის შექმნა სახელმწიფო საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ანარიცხებიდან იმ მიზნით, რომ გახსნილი და გაფართოებული იქნეს ქალების განმანთავისუფლებელი დაწესებულებების ქსელი. რესპუბლიკანურ ცენტრებში ფონდები უნდა შეიქმნეს ცაკთან არსებულ ქალების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიებთან, ადგილებზე კი—იმ სამაზრო ცენტრებში, სადაც ასეთი კომისიები არ არის მოწყობილი, ფონდები უნდა შეიქმნეს ქალთა განყოფილებების მიერ გამოყოფილ სპეციალურ კომისიებთან (სამეულებთან).

2) ადგილობრივმა საბჭოებმა, აღმასკომებმა და კოოპერატიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები საბავშვო სახლების,ბაღების, ბაგეების,საკონსულტაციო მაგიდების, სასადილოების, სამრეცხველოების და არტელების ქსელის გასაფართოებლათ; აღნიშნული დაწესებულებების გახსნა უნდა მოხდეს 8 მარტს.

3) განათლების სახალხო კომისარიატში, სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებებში და აგრეთვე „ბავშვების მეგობართა საზოგადოების“ ცენტრალურ და ადგილობრივ განყოფილებებში შეტანილი უნდა იქნეს კონკრეტიული წინადადება და გეგმა უკვე არსებულ საბავშვო სახლების, ბაღების და ბაგეების ქსელის გაფართოვებისა და ახალი საბავშვო ორგანიზაციების გახსნის შესახებ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში და ჯანმრთელობის განყოფილებებში შეტანილი უნდა იქნეს ასეთივე წინადადებები და გეგმა იმის შესახებ, რომ გაფართოვებული იქნეს ქსელი უკვე არსებულ საექიმო კონსულტაციებისა ქალების და ბავშვების სნეულებათა შესახებ და გახსნილი იქნეს ახალი საექიმო კონსულტაციები და სამშობიარო პუნქტები გლეხ-ქალებისათვის.

4) არსებული ფონდებით და ანარიცხებით მუშათა კომისიებმა 8 მარტისათვის უნდა გააფართოვონ ქსელი კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებისა, როგორიც არის „გლეხ-ქალთა კუთხეები“, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, „მუშა-ქალთა და მშრომელ ქალთა კუთხეები“ მუშათა კლუბებში, და მოაწყონ შრომის კოლექტივების არტელები და ყოველგვარი სხვა დაწესებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა განთავისუფლებას.

5) რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებთან და კერძოთ „კოლექტივების ბიუროსთან“ შეთანხმების შემდეგ საჭიროა მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რომ 8 მარტს მოხდეს მუშაობის დაწყება კოლექტივებში და არტელებში იმ თანხებით, რომლებიც გადადებულია უმუშევრობის წინაამდეგ საბრძოლველათ.

6) პროცესიები და დემონსტრაციები მოწყობილი უნდა იქნეს მხოლოდ იმ დიდ ქალაქებში, რომლებსაც აირჩევენ რესპუბლიკანური ცენტრალური კომიტეტები. 8 მარტის კამპანიის მოწყობასა და ჩატარებაში—ქალაქებში და სოფლებში—ჩაბმული უნდა იქნენ სოფლის და ქალაქის მასწავლებლობა და სოფლის ინტელიგენცია.

მთელი ეს კამპანია პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ პროფკავშირებთან და ა. ლ. კ. კ-თად; ამასთანავე ამ კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნენ შეფები, პიონერთა ორგანიზაციები, სოფლის ინტელიგენცია და პირველ რიგში მასწავლებლობა. მოხსენებების შესამუშავებლათ და საგიტაციო კამპანიის მოსამზადებლათ საჭიროა საინსტრუქციო მოხსენებების წაკითხვა; ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ აგიტატორები და დელეგატ-ქალები და ქალთა განყოფილებების აქტივი.

კამპანიაში მშრომელთა რაც შეიძლება ფართო მასების ჩაბმის მიზნით, პარტკომებთან ქალთა განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით უნდა მოეწყოს კომისია, რომელშიაც უნდა შევიდენ საგ.-საპროპ. განყოფილების, პრესის განყოფილების, კომკავშირის, პროფკავშირების, კოოპერაციის და აღმასკომის წარმომადგენლები. კომპარტიის უჯრედებში—კომისიაში, გარდა უჯრედის ორგანიზატორისა (თავმჯდომარე), შედიან აგიტაცია-პროპაგანდის ორგანიზატორი, კედლის გაზეთის რედაქტორი, კომკავშირის უჯრედის, ადგილკომის, საქარხნო კომიტეტის ანდა საფაბრიკო კომიტეტის, კოოპერატივის და კლუბის გამგეობის წარმომადგენლები, თუ ასეთი ორგანიზაციები არსებობს. ასეთივე წესით უნდა მოეწყოს კომისიები სოფლის უჯრედებთან. კომისიაში წევრების სახით ჩაბმული უნდა იქნენ აქტიური დელეგატ-ქალები, მუშა-ქალები და გლეხ-ქალები.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი

ა. მიასნიკოვი.

რ. კ. პ. ა | კ. საოლქო კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგის მოადგილე

ზავარიანი.

საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი 5

სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა

1925 წ. იანვრის მიმოხილვა

(ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მასალებიდან)

ქუთაისის მაზრა

იანვრის განმავლობაში მაზრაში დროგამოშვებით მოდიოდა თოვლი. მოსული თოვლის სიღრმე საშუალოდ უდრიდა 2 არშინს. იანვრის განმავლობაში საშუალო თვიური ჰაერის ტემპერატურა იყო—5.

ნათესები დაიფარა თოვლით ყინვების დაწყებამდე. მსჯელობა ნათესების მდგომარეობის შესახებ ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ შეგვიძლიან დავუშვათ, რომ იგი სრულიად არ დაზიანებულა. ნიაღვრები იანვარში არ ყოფილა. დასაშვებია ხეხილის და ვენახის დაზიანება, რომელიც შეიძლება დაწვრილებით გამოირკვეს მხოლოდ გაზაფხულზე. მანდარინის ფოთლები გაყვითლებულია; უნდა ვიგულისხმოთ, რომ მანდარინები საკმაოდ დაზიანებულია.

საქონელი საკვებით არ იყო უზრუნველყოფილი, რადგან გასულ წელს ჩალის მოუსავლობას ჰქონდა ადგილი. სამაზრო საძოვრები დაფარული იყო თოვლით. იყო შემთხვევები მოზარდი საქონლის დაღუპვისა საკვების უქონლობის გამო. ეპიზოოტიას ადგილი არ ჰქონია.

ხორბლეულობის ნაკლებობა არ ყოფილა შემჩნეული, მაგრამ წისქვილების გაყინვის გამო იანვარში ფქვილის მწვავე კრიზისს განიცდიდა მაზრა. თოვლის და ქარბუქის გამო მიმოსვლა შეჩერებული იყო და ბაზარზე ძალიან ცოტა საქონელი შემოდიოდა. ამან გამოიწვია ფასების აწევა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მიმდინარეობს სუსტად. პირველ თებერვლისთვის შეტანილი იყო სახელმწიფო სალაროში მხოლოდ 29 პროც. სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამზადებას აწარმოებს მხოლოდ სამტრედიის ცეკავშირის განყოფილება.

ლეჩხუმის მაზრა.

საანგარიშო თვეში იყო არეული ამინდი: ხან მშრალი ყინვა, ხან ღრუბლიანი დღეები და თოვლი. თოვლის სიღრმე მაზრაში არ აღემატებოდა 4-6 ვერშ. დროგამოშვებით იყო ქარიც.

ნათესები არ დაზიანებულა ცუდი ამინდებისა გამო, რადგან ნიადაგი თოვლით იყო დაფარული.

იანვარში დაზიანდა მხოლოდ გასხლული ვენახები. ზარალის რაოდენობა გამოურკვეველია. ჩაის და მანდარინის კულტურა მაზრაში არ არსებობს. საქონელი უზრუნველყოფილია საკვებით. ეპიზოოტია და სხვა ავადმყოფობა საქონელზე არ ყოფილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლორის ჭირს, რომლისაგან მიყენებული ზარალი ძლიერ უმნიშვნელოა.

ხორბლეულობის და სხვა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა საანგარიშო თვის განმავლობაში მაზრას არ ემჩნეოდა. სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია არ იყო დამაკმაყოფილებელი. გლეხი ვერ ასაღებდა თავის პროდუქტებს, რადგან ადგილობრივ ბაზარზე სუსტი მოთხოვნილებაა, ხოლო გარეშე ბაზრისათვის დამზადებული ორგანოები მაზრაში არ არიან. ქალაქის წარმოების საგნების ნაკლებობა საანგარიშო თვეში არ ყოფილა შემჩნეული საერთოდ. იყო საგრძნობი მხოლოდ ნავთის ნაკლებობა, რომელიც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ცუდი ამინდისა და გზების გაფუჭების გამო შეუძლებელი გახდა აქ პროდუქტების შემოტანა მაზრაში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მაზრაში სწარმოებდა წარმატებით. გაწერილი 32.774 მანეთიდან პირველ თებერვლისათვის შეტანილია ხაზინაში 26,712 მანეთი, რაც შეადგენს 81 პროც.

სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელი ორგანოები, გარდა კოოპერატივებისა, მაზრაში არ არის. ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს პირველ თებერვლისათვის ჰქონდათ საწყობებში 105 ფუთი სიმინდი. მაზრაში არის დაგროვილი 3.500 ფუთი სიმინდი, რომელიც მიჩნეულია გლეხებზე გადასაცემად სათესლე სესხის სახით.

ოზურგეთის მაზრა

იანვრის პირველი სამი კვირის განმავლობაში იყო თითქმის განუწყვეტელი თოვა და ქარბუქი, ხოლო უკანასკნელ კვირაში იდგა მზიანი ამინდი და ყინვები. ცუდი გავლენა იქონიეს ყინვებმა განსაკუთრებით მანდარინის კულტურაზე. დანარჩენი კულტურების შესახებ, როგორიც არის ვენახები, ბაღები, ჩაი და სხვა ჯერ-ჯერობით ნაადრევია ლაპარაკი მათი დაზარალების ხარისხი გამოირკვევა მხოლოდ გაზაფხულზე. ხორბლეულობა ოზურგეთის მაზრაში არ ითესება.

საქონელი არ არის უზრუნველყოფილი საკვებით, რადგან ჩალა უამინდობის გამო გაფუჭდა მათ შესანახ ადგილში ე. ი. მინდვრად. საზამთრო საძოვრები მაზრაში არ არის. საქონლის გაწყვეტას ადგილი არ ჰქონდა. სურსათის ნაკლებობას ადგილი არ ჰქონდა, მხოლოდ აღმოსავლეთ გურიაში ვერ ახერხებდენ სიმინდის დაფქვას წისქვილების გაყინვის გამო და მოსახლეობა ძალიან შეწუხებული იყო.

სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია ძალიან შეფერხებული იყო. ამის მიზეზად ჩაითვლება უამინდობა და უგზოობა, რომელთა მეოხებით გლეხობას მოესპო საშუალება ბაზარზე საქონლის გამოტანის.

სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელი ორგანოები, მაზრაში არ არის. მაზრაში დიდი ნაკლებობაა ნავთის.

უამინდობის გამო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა იანვარში არ სწარმოებდა.

სენაკის მაზრა

იანვრის პირველ რიცხვებში იდგა კარგი ამინდი. უკანასკნელად კი ამინდი შეიცვალა: დაიწყო წვიმები, რომელსაც მოჰყვა თოვლი. 12 და 13 იანვარს ადგილი ჰქონდა ქარბუქს. 27 იანვრიდან კი ისევ თბილი ამინდები დადგა.

თოვლმა და სიცივეებმა დააზიანეს შემოდგომის ნათესები. ხარისხის და რაოდენობის გამოკვლევა შესაძლებელია გაზაფხულზე.

ყინვებისაგან დაზიანდა აგრეთვე ბაღ-ვენახები და განსაკუთრებით კი მანდარინის კულტურა. ზარალის რაოდენობა შემოდგომამდე ვერ გამოირკვევა.

საქონელი არ დაზარალებულა. საკვები საკმარისი იყო, ეპიზოოტიას და სხვა სნეულებას ადგილი არ ჰქონია.

ხორბლეულით მოსახლეობა უზრუნველყოფილია.

სასოფლო მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციას ხელი შეუშალა თოვლმა. შეუძლებელი შეიქნა ბაზარში გამოტანა ნაწარმოების უამინდობისა და გზების გაფუჭების გამო.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარმატებით აკრეფას ხელი შეუშალა სოფლის ნაწარმოების რეალიზაციის შეფერხებამ.

სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელ ორგანოებიდან აღსანიშნავია მხოლოდ კოოპერატივი, რომელიც იძენს გლეხობისაგან სიმინდს. დამზადებულ პროდუქტების რაოდენობის შესახებ ცნობები არა გვაქვს.

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ყრილობა

25 თებერვალს, დილის 11 საათზე პროფკავშირთა მცირე დარბაზში გაიხსნა საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა მესამე ყრილობა. ყრილობა გახსნა საოლქო პროფესიონალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ილ. ჭელიძემ.

ყრილობას მიესალმენ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. ათოევი, საქ. პროფკავშირთა სახელით ამხ. თოდრია, ს. კ. პ. ცენ. საკონ. კომისიის სახელით ამხ. სტურუა და სხვა.

პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში ყრილობა ერთხმად ირჩევს შემდეგ ამხანაგებს: ილ. ჭელიძემ, ჯანიბახჩიევი, დამენია, დუდაევი, კურუაშვილი, ციბაძე, ტაბიძე კაჭარავა, კუხულეიშვილი, ჯავახიშვილი და სანაძე.

ყრილობის საპატიო წევრებად არჩეული იქნენ ამხ. ამხ. ფ. მახარაძე, ვ. სტურუა, მ. ცხაკაია, სერგო ორჯონიკიძე, მიშა ოკუჯავა, მ. უბულაშვილი და სემკოვი.

დღის წესრიგის და რეგლამენტის მიღების შემდეგ, ყრილობა ისმენს პირველ მოხსენებას, რომელიც შეეხება საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავს და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას.

მოხსენებას აკეთებს ამხ. **ვანო სტურუა**, რომელიც იძლევა საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის ვრცელს მიმოხილვას სახელმწიფოებრივი ცხოვრების და სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში. მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. ვ. სტურუა ახასიათებს რა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ევროპასა და ამერიკასთან, დაასკვნის, რომ საბჭოთა კავშირი უკვე გახდა ისეთ სახელმწიფოდ, რომლის ყოველ ნაბიჯს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამხ. ვ. სტურუას მოხსენების შემდეგ სხდომა შეწყდა.

მეორე დღე

დილის სხდომა.

მოხსენებანი ადგილებიდან

მეორე დღის დილის სხდომაზე მოხსენებას აკეთებენ სახალხო კავშირის რაიონულ პროფესიონალურ გამგეობათა წარმომადგენელნი. ადგილობრივი პროფმუშაობის შესახებ ილაპარაკებს ქუთაისის, ბათომის, ხაშურის, ახალ ნაკის პროფ. კომიტეტების წარმომადგენლებმა, რომელთაც ყრილობას გააცნეს პროფმუშაობა სატარიფო ეკონომიურ და საორგანიზაციო დარგებში.

სახალხო კავშირის საოლქო კომიტეტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჯანიბახჩიევი.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა საოლქო კავშირი აერთიანებს სულ 3890 მუშა-მოსამსახურეს.

ამ რიცხვიდან ქართველები არიან წევრთა მთელი რაოდენობის 41,9 პროცენტი, რუსები—27,8 პროცენტი, სომხები—18,9 პროც., თათრები—6,0 პროც., გერმანელები—1,2 პროც., სხვა ეროვნება—4,2 პროცენტი.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საოლქო კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, სატარიფო, ეკონომიურ და საორგანიზაციო მუშაობას.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში **26 თებერვალს** დილის 7 საათზე იდგა შემდეგი დარები:

ფოთი. ზღვაზე ოდნავი ღელვაა, ქრის აღმოსავლეთის ძლიერი ქარი, მოღრუბლულია, სითბო უდრის 11 გრადუსს.

ქუთაისი. ძლიერი ქარი, მოღრუბლული დღე, სითბო 13 გრადუსი.

მუკუზანი. (კახეთი) მოწმენდილი წყნარი დღე, ტემპერატურა—0 გრადუსი.

გორი. მოღრუბლული დღე, სითბო უდრის 2 გრადუსს.

აბასთუმანი. წყნარი მოღრუბლული ამინდი, ყინვა უდრის 6 გრადუსს.

ბაქო. ზღვაზე ოდნავი ღელვაა, მოღრუბლული ამინდი, ქრის სამხრეთის ზომიერი ქარი. სითბო უდრის 5 გრადუსს.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობებით.

ფოთი	ცელსიუსით	სითბო	11 გრად.
ქუთაისი	„ „	სითბო	13 გრად.
მუკუზანი	„ „		0 გრად.
გორი	„ „	სითბო	2 გრად.
აბასთუმანი.	„	ყინვა	6 გრად.
ბაქო	„	სითბო	5 გრად.

რკინის გზებზე

ეროვნული ენების შესწავლის ვადა.

ა/კ რკინის გზებზე ეროვნული ენების შემომღები კომისიის დადგენილებით და საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სახ. კომის. ა/კ. რწმუნებულის ამხ. ელიავას დასტურით ეროვნული ენის შესწავლის უკანასკნელ ვადათ საქართველოს ხაზზე ითვლება პირველი ივნისი, ხოლო აზერბეიჯანის ხაზზე პირველი სექტემბერი. ეს ვადები საბოლოოა; ამასთანავე ის პირები, რომელნიც ვერ შეისწავლიან ამა თუ იმ ენას, ჩაითვლებიან თავის თანამდებობის შეუფერებლად და დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან.

ეროვნულ პროფტეხნიკური კურსების დამსრულებელთა უფლება

ა/კ. რკინისგზებზე ნაციონალიზაციის გამტარებელმა კომისიამ დაადგინა,—ყველა იმ პირებს, რომელთაც დაასრულეს ეროვნული პროფტეხნიკური კურსები, მიეცეთ უფლება ამა თუ იმ თანამდებობის სავალდებულო დაჭერისა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კვალიფიკაციის შესაფერი თავისუფალი ადგილი არ იქნება, კურსდამთავრებულთ უნდა მიეცეთ უფრო დაბალი თანამდებობანი.

შემთხვევები რკინისგზებზე

სამგზავრო მატარებლის ორთქლმავალთან შეჯახება.

25 თებერვალს სად. რიონზე სამგზ. მატარებელი № 8 დაეჯახა ორთქლმავალს, რომელიც სამანევროდ იყო გასული. ორივე ორთქლმავალი დაზიანდენ. შეჯახების მიზეზი არის სამგზავრო მატარებლის უწესო მიღება. მსხვერპლსა და გზის დაზიანებას ადგილი არ ჰქონია.

საბარგო მატარებლის და ორთქლმავლის შეჯახება.

25 თებერვალს მანევრებზე გასული ორთქლმავალი დაეჯახა მანევრებზე გასულ საბარგო მატარებელს. ლიანდაგს გადასცდა ორი ვაგონი, ორივე დაზიანდა. გზა არ გაფუჭებულა.

ზვავი.

25 თებერვალს დღით 12 საათზე ოცდამეცამეტე ვერსზე ქიათურა—სალიკის შუა ლიანდაგზე ჩამოეშვა მიწის დიდი ზვავი, რომელმაც გზა გააკავა. გზის გაწმენდა სწარმოებს ასაფეთქებელი ნივთიერებით.

მიწა-თოვლის ზვავი.

25 თებერვალს წიფა-მოლითს შუა ჩამოწვა მიწა-თოვლის დიდი ზვავი. გზა გაწმენდილ იქნა.

ქრონიკა

— **საბავშვო სანატორიუმი.** ქ. ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა კოჯორში გახსნას საბავშვო სანატორიუმი.

— **ცენტრ. საქარხნო-საფაბრიკო** სკოლაში მოწაფეთა რიცხვის სიმრავლის გამო და ამავე დროს სწავლის სათანადო დონეზე დასაყენებლათ, ქ. განათ. განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოვოს აღნიშნული სკოლა.

— **წითელი ჯვრის** საზოგადოების რევიზიონული გამოკვლევა უკვე დაასრულა მ.-გ. ინსპექციამ. შედეგები დამაკმაყოფილებელია.

— **მუშათა ჯანმრთელობა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ თავის ხვედრი სამი ადგილი კისლოვოდსკში მუშების გასაგზავნათ დაუთმო თბ. დამზღვევ სალაროს.

— **სახალხო მამულებში.** სახალხო მამულების ტრესტმა 1924 წ. შემოდგომაზე საკუთარ მამულებში დაამზადა 75 ათასი ვედრო ღვინო.

— **ვენახების სივრცე.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით ამ ჟამად ამ. საქართველოში ვენახებით გაშენებულ მიწების სივრცე უდრის 14,841 დესეტინას.

— **ზაჩესკომმა** „ნოვოროს-ცემენტს“ შეუკვეთა ნახევარი მილიონი ფუთი ცემენტის დამზადება.

— **საექიმო დახმარება ქსანის მუშებს.** თბ. დამზღვევ კასამ დაავალა საექიმო ქვეგანყოფილებას ქსანის მუშებისათვის ადგილობრივ მოაწყოს საექიმო დახმარება.

— **წარმოებების დაზღვევა.** თბ. კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა, დააზღვიოს განყოფილება განკარგულებაში მყოფი წარმოებები და ამ მიზნით მოახდინოს მათი გამოკვლევა.

— **სანიტარული პირობების დასაცავად.** თბ. ალმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ წინადადება მისცა სანიტარულ-ტეხნიკურ სექციას მიიღოს ენერგიული ზომები ბაზრების, მოედნების, ქუჩების და ბაღების მუდმივ გასაწმენდათ და მათში სისუფთავის ზედმიწევნით დასაცავად.

— **ელსადგურების მანქანების შეკეთება.** ახლო ხანში შეუდგებიან ქალაქის ელსადგურების მანქანების საფუძვლიან შეკეთებას.

— **წყალსადენის მილები** უნდა შეაკეთონ სახლის პატრონებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მდგმურები შეუძლიათ შეაკეთონ, შეკეთებაზე დახარჯული თანხა სახლის პატრონს უნდა გამოუბარონ ქირაში.

— **მუშათა ბინები.** დაარსდა ამხ. ტომსკის სახელობის ახალი მუშათა საბინაო ამშენებლობა.

— **ქიმიო-ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი.** ქ. ჯანმრთელობის განყოფილება ამჟამად აწარმოებს სათანადო მუშაობას ქიმიო-ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის გასახსნელათ.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** 27 თებერ. დაიწყება (4 სექცია) მეტყავეთა, მკერავთა და ფეიქართა კავშირების იმ დაზღვეულ უმუშევართა აღრიცხვა, რომლებიც ფულად დახმარებას არ ღებულობდენ.

— **დაზღვევის შეწყვეტა.** უდროობის გამო 27 თებერვლიდან 6 მარტამდე შეწყდა ახალი წევრების დაზღვევა.

დაჯარიმება

ქალაქის სასაკლაოს გარეშე საქონლის დაკვლის გამო დაჯარიმებული იქნენ თითო ხუთ-ხუთი ჩერვონეცით შემდეგი ყასბები:

1) დავიდოვი — პუშკინის ქუჩა, დარაბა № 3074.
2) წამალაშვილი — ბაზარი, დარაბა № 1596.
3) ცატუროვი მიკ.—დახურული რიგი, დარაბა № 4147.
4) სოიუნ სადიხ—ვორონცოვის ქ. დარაბა № 3088.
5) კოჩიაშვილი—პუშკინის ქ., დარაბა № 3088.
6) ვლასოვი—ლაზარევის ქუჩა, დარაბა 5716.
7) თახრამ ალასვ—მეჩეთის ქუჩა, დარაბა 4641.
8) წამალაშვილი—ბაზრის ნაწილი, დარაბა № 1586.
9) ზაქარია თურუზოვი—იგივე.

შემთხვევები

კიდევ „კაზინოს“ მსხვერპლი.

სისხლის სამართლის მილიციამ 25 თებერვალს შეიპყრო „ცეკავშირის“ თანამშრომელი ვასილ ქაჯაია, რომელსაც ბრალდება 1030 მან. გაფლანგვა. გაჩხრეკის დროს აღმოუჩინეს 300 მან. მხოლოდ. როგორც გამოირკვა, დანარჩენი წაუგია „კაზინოში“.

— **დახრჩობა.** 24 თებერვალს, შუადღის 12 ს., მეჩეთის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და თავი დაიხრჩო პეტრე სულხანოვმა მატერიალური გაჭირვების ნიადაგზე. გვამი იპოვეს იმავე დღეს.

— **ხანძარი.** 22 თებერვალს, დღისით, ხაშმის ტყეს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა სასწრაფოთ. სწარმოებს ძიება.

— **ცხვრების ქურდები** სოფ. ყართაგანში შეიპყრეს გულაჯი გიზალ ოღლი და მამედ ალი იბრაგიმ ოღლი, რომლებსაც ბრალდება სოფ. ყარაჯალაში მოქ. ტაგივერდისათვის 6 ცხვრის მოპარვა.

— **ჯიბგირი ქალი.** შეიპყრეს გაიანე გასპაროვი, რომელმაც ანნა ზაალიშვილისას ჯიბიდან ამოაცალა 20 მან.

— **ხურჯინის ქურდები.** შეიპყრეს რაფიელ დიდებაშვილი და მასრან იბრაგიმ ოღლი, რომლებსაც ბრალდებათ ბაზარში უმან ნაუმ ოღლის ურმიდან ხურჯინის მოპარვა სხვადასხვა ნივთებით.

— **ქურდობა.** 25 თებერ. დურგლის შესახ. № 1, გაქურდეს მიხეილ ანდრიანოვის ბინა.

— გაქურდეს გრიბოედოვის ქ. № 23, ივლიანე მესხის ბინა, წაიღეს 660 მან. ნივთები.

— **ქურდობა.** 24 თებერვალს, დღით, სიონის ქ. № 8, სასტუმრო „ბატიხში“ გაქურდეს მოქ. ტიგრან არუთინოვის ოთახი, წაიღეს 260 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ალექსანდროვის ქ. № 4, გაქურდეს გიორგი კახნიაშვილის ბინა, წაიღეს 157 მან. ნივთები.

ხელოვნება

— **ახალი ცირკი.** ძმ. ტანტებმა შუამდგომლობა აღძრეს თბ. ალმასკომის წინაშე, რათა მათ ახალი ცირკის ასაგებათ დაეთმოთ რუსთაველის პრ. № 36 მდებარე ყოფ. „პიკადილის“ მიწის ნაკვეთი.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ურიის ქალი“.

— **საოპერო წარმოდგენების შეწყვეტა.** სრ. საკავშირო ცაკის სესიის გამო, ოპერის თეატრში წარმოდგენები 1 მარტიდან აღარ გაიმართება. საოპერო წარმოდგენები გაიმართება რუსთაველის თეატრში.

დღეს კინოებში:

— **არფასტო**—„უცნობი ქალი, მისი ცოლი“.
— **მინიონ**—„ფარაონის ცოლი“.
— **სოლეი**—„ფარაონის ცოლი“.
— **აპოლო**—„სარდაფის ბავშვი“.
— **ოაზის**—„ცირკის მეფე“ უკანასკნელი სერია.
— **თვითმფრინავი**—„იფუხე მწუხარებავ, იფუხე“.
— **აის**—„სიყვარულის ბუდე“.

მუშათა ცხოვრება

როსკიპ ქალებმა აგვიქლეს.

(მილიციის საყურადღებოდ).

მთავარ ტელეგრაფის კანტორასთან (სამხედრო ქუჩაზე) არის კონანირსკის შესახვევი. ამ შესახვევში თავიდანვე გაჩენილი აქვს საბუდარი როსკიპ ქალებს. დაღამებიდან თითქმის ყოველ საღამოობით ისინი იწყებენ გამოსვლებს ბინებიდან და დათარეშობენ მახლობელ სამხედრო ქუჩაზე. მდებარეობით ეს ქუჩა ცენტრია, ამიტომ მათ (როსკიპ ქალებმა) ის გაიჩინეს თავის ბაზრად. სხვა უბნებიდანაც ასეთი ქალების ტალღა ძლიერ აწვება ამ „ბაზარს“. ხშირად ალაგი აქვს ისეთ გარემოებას, რომ მთელი ქუჩა დაკავებული აქვს ამნაირ ქალთა ხროვას და მოქალაქეს გზა ვერ უპოვნია თავისუფლად გასავლელი.

ამ ქუჩაზე სუფევს უნამუსო „ბაზრობა“, საშინელი ლანძღვა-გინება და სხვა.

იმავე ქუჩაზე მილიციონერის პოსტიც არის, მაგრამ თავაშვებული ქალები ამით სრულიად დაბრკოლებას არ გრძნობენ. ეს ალბად იმიტომ ხდება, რომ თვით მილიციელისაგან ალბად ისინი, გარდა „ხუმრობითი შენიშვნისა“ არავითარ წინააღმდეგობას არ გრძნობენ. ჩვენ კი მახლობელი მცხოვრებნი ყოველივე ამით შეწუხებულნი, მოვითხოვთ, რათა მილიციის მიერ დაშლილ იქნეს სამხედრო ქუჩაზე ასეთი „ბაზარი“ და მასთან იქნეს ზომები მიღებული, რომ დასახელებულ შესახვევებში არა ჰქონდეთ გარყვნილ ქალებს საცხოვრებელი ბინა.

მუშკორი ძველთაგანი.

მოგვაშორეთ ეს თავგასული მანტიორი

(ზაჰესკომის საყურადღებოდ)

თებერვლის შუა რიცხვებში ავჭალის წყალსადენში გამგის დავალებით ზეინკალი ცერცვაძე ორთქლის ქვაბებს უცვლიდა წყალსაზომ შუშებს. მუშაობის დროს მას მიუვარდა მანტიორი ვაშაკიძე, რომელიც ბევრჯერ იყო გამათრახებული თავისი თავხედურ საქციელისათვის ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე,—დაუწყო მას ყვირილი და მუშაობაში ხელს უშლიდა. ეს ყვირილი და ჩხუბი მას ჩვეულებად აქვს გადაქცეული, რასაც დაადასტურებს ყოველი აქ მომუშავე მუშა ასეთი საქციელი კი დასაშვები არ არის. უსარგებლო ლაყბობით მანტიორი ვაშაკიძე არღვევს მუშების საერთო ინტერესებს.

მიაქციეთ ყურადღება.

მუშა ი. ცერცვაძე.

მუშაკებიც ასეთი უნდა

მეოთხე სახელმწიფო („კარლ მარქსის“ სახ.) თუთუნის ქარხანასთან არსებობს ქართული დრამატიული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. გრიშა კოშკაძე. დრამწრეში ღებულობენ მონაწილეობას განსაკუთრებით მუშები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ამ კულტურული მუშაობით და ენერგიულად ეპყრობიან საქმეს. მიუხედავათ იმისა, რომ ისინი მუშაობენ 8 საათს, მაინც დაღალულნი და დაქანცულნი რჩებიან 3 საათის შემდეგ—კიდევ ოთხ-ხუთ საათს რეპეტეციებისათვის. უკვე ორი თვეა, რაც სისტემატიურად ორ კვირაში ერთხელ იდგმევა წარმოდგენები, რომელზედაც ესწრებიან ადგილობრივი მუშები ოჯახითურთ.

ამ ორი თვის განმავლობაში დაიდგა ოთხი პიესა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მუშები „სცენის მოყვარეები“, რომელნიც პირველად გამოდიან სცენაზე დამაკმაყოფილებლად ასრულებენ თავიანთ როლებს.

დრამწრეს განზრახული აქვს დადგას ფასიანი წარმოდგენა, რომლის შემოსავლიდანაც ნაწილი გადაიდება საშეფო სოფ. შიბლიანის (კახეთის მხარე) სკოლის საჭირო სამოსწავლო ნივთების შესაძენად და ნაწილი-კი წრისთვის „რევოლიუციონური“ პიესების შესაძენად.

მე-4 თამბაქოს ფაბრიკის მუშაკ.

გამოგზავნილი წერილებიდან

ეს საკითხიც მოაგვარეს

სამი თვის წინად ბათომის მუშა-მოსამსახურენი ოთხი-ხუთი დღის დაგვიანებით ღებულობდენ გაზეთებს, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა გამომწერლებში. აჭარისტანის პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობამ დაარსა ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია, რომელმაც შესძლო ამ საქმის მოგვარება. ეს ექსპედიცია თავის სიმაღლეზე სდგას.

უსურვებთ მომავალშიაც უფრო გაფართოვებულ ენერგიით მუშაობას.

ინფ. შ. მარგალიტაძე.

დიდი მადლობა ასეთ მასწავლებელს

მე-3-ე საქარხნო ქალთა სკოლის ა. ლ. კ. კ. უჯრედს ჰყავს მასწავლებელი ამხ. შალვა შეწირული, რომელიც ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობას. ის არ ზოგავს თავის ენერგიას და სცდილობს მშრომელ ხალხს შესძინოს მეტი ცოდნა. იგი ახლე დაარსებულ პოლიტ-წრესაც ეხმარება.

დიდი მადლობა ასეთ მუშაკს.

აჩკორი უხილავი.

მოსთხოვეთ პასუხი

(პროფსაბჭოს საყურადღებოდ).

გარე-კახეთის რაიონულ მილიციის თანამშრომელი **ჯანიაშვილი**, როგორც კავშირის წევრი, სისტემატიურად იხდიდა კუთვნილ საურავს კავშირის სასარგებლოდ. როდესაც სამსახურს თავი დაანება, კავშირის მდივანს **მ. გამცემლიძეს** მოსთხოვა კავშირის წიგნაკი, მაგრამ მან გამოუცხადა—„დამეკარგაო“. ეხლა ამხ. ჯანიაშვილი ითვლება უმუშევრად და კავშირის წევრად არ ითვლება.

საჭიროა კავშირის ასეთ მდივანს მოეთხოვოს პასუხი.

მუშა ჯ.—დი.

ასეთ მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

კავთის-ხევის თემალმასკომის დამლაგებელმა ამხ. **კელეპტრიშვილმა**, წელიწადნახევარ სამსახურისათვის მიიღო მხოლოდ ოთხი თვის ჯამაგირი. შემდეგ სამსახურიდან იქნა დათხოვნილი. თუმცა ნამდვილი პროლეტარი იყო. ამას გარდა ამავე ალმასკომის მდივანი ამხ. კოტეტიშვილი ქლექით არის შეპყრობილი. მიუხედავად ამისა, შველის მაგიერ მას გადაჭარბებით ამუშავებენ.

საჭიროა ასეთ მოვლენებს ბოლო მოუღოთ.

კავთის-პირელი.

მოუღეთ ბოლო უაზრო ხარჯებს

(ამიერ-კავკ. რკ.-გზების უფროსის საყურადღებოდ).

ა/კ. რკინის გზებს დიდი ხანია დეფიციტი აქვს. ეს იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო მთელ ხაზზე საქონლის მატარებლების მოძრაობა ბევრად შემცირდა, ხოლო მოსამსახურეების რიცხვი კი მოემატა.

ხარჯების შესამოკლებლად საჭირო და სასარგებლო იქნება ზოგიერთ დასებულებების სრულიად გაუქმება (გარდა უბნისა და ცენტრის პროფკავშირებისა), ხოლო საშემოსავლო და ეკონომიურ ნაწილების შეერთება კი სასურველია და მიზანშეწონილიც.

ა/კ. რკ.-გზ. უფროსმა უნდა მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება.

რკინისგზელი ვ. მ—ლია.

დაიცავით წესრიგი მუშათა კლუბში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშათა კლუბებს დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვთ ჩვენი მუშების თვითგანვითარების საქმეში.

მხოლოდ, სამწუხაროდ, ამ კლუბებში წესრიგი არ არის დაცული; ეწევიან პაპიროსს, თამაშობენ „ნარდს“, ხმაურობენ და ერთმანეთს ხელს უშლიან.

გამოასწორეთ ეს ნაკლი.

მუშა შენივარ

ჩვენი მუშების მადლობა ასეთ მუშაკებს

პრესაში ხშირად იწერებოდა რკინის-გზის ელექტრო სადგურის მუშა-მოსამსახურეების მცირე ხელფასის შესახებ. ამ საკითხის მოსაგვარებლად აღძრა პირველ რაიკომის თავმჯდომარემ ამხ. გოლდბაუმმა სათანადო შუამდგომლობა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მუშებმა უკვე მიიღეს წლიური ელექტრო-ენერგიის შემოსავლიდან **ერთ-დროული საჩუქარი.**

ინფ. კალამი.

შეაკეთეთ ქვაფენილი

(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ)

მე-8 სამილიციო უბანში, კარაკლისის ქუჩაზე ქვაფენილი ოთხ-ხუთი საჟენზე დაქცეულია. ეს ქუჩა აღმართიანია და მუშას თუ სჭირდება რაიმე ტვირთის დროგით ატანა, უნდა მოიაროს სხვა ქუჩიდან. ამაში კი დროც იკარგება და უბრალოდ იხარჯება ძალღონეც.

იმედია შეაკეთებთ ამ ქუჩას.

ინფ. კალამი.

ჩვენ არავის ხელს არ ვაფარებთ

არა ერთხელ და ორხელ იყო ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები მთავარ სახელოსნოს მოანგარიშე მოქ. **მარიამ მელნიკოვას** შესახებ, რომ თითქოს მას სამსახური ბოროტად გამოეყენებინოს და მისი გამოსწორება კი შეუძლებელი გამხდარიყოს. წერილების ავტორები მოითხოვდენ ამხ. მელნიკოვას სამსახურიდან მოხსნას. ამისათვის მთავარ სახელოსნოს ადგილკომმა სთხოვა როგორც „რაბოჩაია პრავდას“, ისე „მუშას“ და სხვა რედაქციებს გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები საქმის გამოსარკვევად. მოწვეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ ყველა ცნობების შეკრების შემდეგ იქონია მსჯელობა გამოქვეყნებულ წერილების შესახებ და გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც ამხ. მელნიკოვა ცნობილია, როგორც პატიოსანი და ენერგიული მუშაკი.

მუშკორი შხამი.

მუშკორის შენიშვნა დადასტურდა

ამით გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის № 11-ში მოთავსებული წერილი სათაურით: „ალაგმეთ ახალი რჯულის სპეკულიანტები“, დადასტურდა და საქმე გადაეცა მე-2 უბნის სახ. სასამართლოს, მოქ. წერეთელის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ალმ. საქ. პროკურორის მაგიერ—
ხარაბაძე
მდივანი სიმონიშვილი.

სად ათევს ღამეს გლეხი თბილისში

ქართლ-კახეთიდან მრავალი გლეხი შემოდის თბილისში ურმებით, სახედრებით, ტვირთით; მოაქვთ გასასყიდათ შეშა, ნახშირი და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოები.

სასტუმროში გლეხი არ გაჩერდება; ის ეტანება ბაკებს და დუქნებს; გლეხი რკინის გზის სადგურშიაც სცდილობს ღამის გათევას; ზოგი მათგანი ქუჩაშიაც დარჩება ხოლმე.

საოცარის წვალებით ათევს ღამეს გლეხი თბილისში.

დუქნებზე და სამიკიტნოებზე ლაპარაკი არ ღირს; ყველამ იცის, თუ რანაირის მეგობრობით ღებულობენ მიკიტნები და მედუქნეები მათ ხელში ჩავარდნილ გლეხს.

მე მსურს „კომუნისტი“-ს მკითხველების ყურადღება შევაჩერო ბაკებზე.

ბაკი! სიბინძურით სავსე, დახშული ჰაერით, სიბნელით.

სამწუხარო ის უფროა, რომ ბაკები ეკუთვნის ქალაქს; კომუნალური მეურნეობის განყოფილება ბაკებს აძლევს იჯარით კერძო პირებს.

ბაკი! გლეხის გამტყავებელი, სადაც გლეხი დიდის წვალებით ათევს ღამეს საქონელთან ერთად.

ბაკი გადაქცეულა კერძო პირისათვის შემოსავლის წყაროთ.

ბაკებიდან კვირაობით არ გამოაქვთ ნეხვი, არავითარი სისუფთავე შიგ არ არის, არავითარი დასადგომი ბინა გლეხებისათვის იქ არ არის; გლეხი იძულებულია საქონელთან მოიკუნტოს ბაგაზე აუტანელ დახშულ ჰაერში.

და ეს ხდება ჩვენს თვალის წინ.

— რას გახდევინებენ, ამხანაგო, ღამის გათევაში შევეკითხე გლეხს, რომელიც დასივებული პირისახით გამოვიდა ავლაბრის ერთ-ერთ ბაკიდან. მისი დაგლეჯილი ფარაჯა დაბურვილი იყო ნეხვით და ზედ ჩალაბული ეყარა; თმაზე ბზის მტვერი ეყარა, თუშური ქუდი მტვერში აღარ სჩანდა.

— ათ შაურს, ზოგს ორ აბაზს, მკვახეთ მიპასუხა უძილობისაგან დაღლილმა.

— მაჩვენე თუ ძმა ხარ სად გეძინა.

— რათ გნებავთ, რა სანახავია?

— მაინც მინდა ვნახო.

შემიძღვა გლეხი ბაკში; მძიმე შმორის ჰაერი, შიგ გავლა ძნელია, აუარებელია ხარ-კამეჩი შიგ და ნეხვი დიდი ხნის გაუტანელია, ბნელა.

— სად გძინავთ ამხანაგო? კიდევ შევეკითხე, რადგან მშრალი ალაგი არ იყო ბაკში, არც ტახტი, არც სხვა რამე მოწყობილი კაცის დასაწოლათ.

— აი ხან ბაგაზე ჩამოვჯდებით, ხან დაწოლილ საქონელს მივეყრდნობით ისე ვთვლემთ, ჩვენც ვწვალობთ და საქონელიც.

— ვისა სძინავს? წუხელის ერთი ცვარი არ დამძინებია, ჩამოგვერია ლაპარაკში მეორე გლეხი.

სხვა გლეხებმაც თავი მოიყარეს, შემომეხვიენ და დაკვირვებით ცქერა დამიწყეს.

— აი ამ ყოფაში ვართ; ვერც ეზოში გავსულვართ რომ ურემს ქვეშ წამოვწვეთ, რადგან საშინელი ყინვაა; აქ კი დაძვენება არ ხერხდება. რომ გამიჭირდა, ბაგაზე წავწვევი, დამძინებოდა და კამეჩმა კინაღამ გამჭყლიტა. ამბობს დაღვრემილათ სხვა გლეხი.

ბაკის პატრონი ვიკითხე.

— თქვენია ეს ბაკი? ვკითხე ჩასუქებულ, ქურქ წამოსხმულ მეპატრონეს.

— ჩემი რათ იქნება, ქალაქისაა და ჩვენ იჯარას ვიხდით. ხარჯი ბევრი გვაქვს; ხარ-ურემის გასათევში გლეხებისაგან ექვს შაურს ვიღებთ ღამეში.

— შე კაი კაცო, ბინა ღამის გასათევათ გლეხებისათვის უნდა გქონდეთ; ბაკში ძილი როგორ შეიძლება; რათ არის ასეთი სიბინძურე ბაკში?

— აი ოთახები ბევრია, მაგრამ არც კარები აქვს და არც ფანჯრები; მისი შეკეთება ვის შეუძლია? მიმითითა გარშემო ოთახებზე, რომელსაც ღია კედლებს მეტი არაფერი ჰქონდათ.

კერძო მოიჯარადრე, რა თქმა უნდა, ყოველგვარ ხარჯებს აერიდება, მაგრამ ქალაქი იმედია მოსთხოვს მოიჯარადრეს ბაკების დასუფთავებას და ოთახების შეკეთებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საამისო პირობა ექნება დადებული ბაკების მოიჯარადრეებს ქალაქის ქალაქის კომუნალურ განყოფილებასთან.

კოტე ბერეკაშვილი.

აბორტის საკითხი მუშებში

აბორტის საკითხი ფართოდ და მწვავედაა წამოჭრილი. მას მსოფლიო ეპიდემიის სახელი აქვს დამსახურებული.

აბორტმა—მუცლის მოშლამ ჩვენშიაც ფართო—მწვავე ხასიათი მიიღო; ის არის გავრცელებული როგორც სხვა წრეებში, ისე მუშებშიაც, განურჩევლად იმისა, საჭიროებენ მას თუ არა, სასარგებლოა ის თუ მავნებელი.

ეს მდგომარეობა კი მეტად დამაღონებელია, რადგან ის ორგვარი ბოროტებას უქადის საზოგადოებას, სახელმწიფოს: 1) ქალების ავადმყოფებათ გადაქცევას, აბორტის გამო, ჯანსაღ ელემენტების გამოცლას საზოგადოებისაგან და 2) დედათა სქესის ორგანიზმის—საშვილოს დაავადმყოფების გამო, ახალი ჩასახვის შეუძლებლობას, ეს კი იწვევს სახელმწიფოში დაბადებულთა რიცხვის შემცირებას და ამ გვარად საზოგადოება გადაშენების გზაზე დგება, ამიტომაც ეს საკითხი მოითხოვს სწორ შესწავლას და სათანადო ზომების მიღებას.

საჭიროა აგრეთვე ეს საკითხი გადატანილ იქნეს მშრომელ მასაში და განუმარტოთ მას, თუ როგორ პირობებში და როდის არის მისაღები მუცლის მოშლა—აბორტი.

აბორტს ხშირად მიმართავენ მრავალშვილიანობის გამო, სიღარიბის ნიადაგზე, მორალის თვალსაზრისით მშრომელის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და სხვ.

შეძლებულ წრეებში აბორტს მიმართავენ განსაკუთრებულ მიზნისთვის; მათი სურვილია რაც შეიძლება ცოტა შვილები იყოლიონ, ან კიდევ სულ არა, რადგან სცდილობენ მათი ქონება მათ ხელში იყოს სიკვდილამდე და აგრეთვე განუსაზღვრელ ნეტარება-სიამოვნებაში გაატარონ დრო, ხოლო შვილების გამო კი ყოველივე ეს არც ისე შესაძლებელი იქნება. სწორედ ამიტომ არის, რომ მუშას, გლეხს, ღარიბებს მეტი მრავალშვილიანობა ახასიათებს, ვიდრე შეძლებულებს.

მაგრამ აბორტი მუშებშიაც დიდ გასავალს ჰპოულობს. აქ კი მას სხვა გარემოების გამო მიმართავენ. აქაც ბევრი შვილიანობა ხდება ამის მიზეზად, ხოლო სხვა მიმართებით: ხელმოკლეობა ხელფეხს უბოჭავს მათ იყოლიონ მრავალი შვილი; მათ შვილებს ჩაცმა, დახურვა, ჭამა-სმა, სწავლა-გამოზრდა უნდა. ამის შესაძლებლობა მათ არა აქვთ და ამის გამო ისინიც ხსნას აბორტში ნახულობენ, ან კიდევ სხვადასხვა შინაურ თუ აფთიაქის წამლებში ეძებენ, რაიც განმანადგურებლათ მოქმედობს მათ ორგანიზმზე.

უნდა ითქვას, რომ შეძლებულ წრის პირები სპეციალისტებს მაინც მიმართავენ აბორტისათვის, ხოლო ღარიბნი კი უსაღსრობის გამო სრულიად უვიცებს, ან კიდევ „საშინაო“ საშუალებებს ხმარობენ, რითაც ნაყოფისაგან განთავისუფლებასთან ერთად სიცოცხლისაგან თავისუფლდებიან.

უნდა ვიცოდეთ, რომ აბორტის გაკეთებით ქალის ორგანიზმი, განსაკუთრებით საშვილო სასტიკათ ზიანდება. ის აბორტის განმეორებით, ჰკარგავს შემდეგში ყოველივე შესაძლებლობას ჩანასახის განვითარებისას და შემდეგში სრულიად უოპერაციოთ ხდება ჩანასახის მოშლა-წახდენა, მუცლის მოწყვეტა. სტატისტიკას თუ ყურს ვათხოვებთ, შემდეგს გვეუბნება: „ასი ქალიდან, რომელთაც აბორტით ისარგებლეს, ორმოცდა ათი დაავადმყოფდენ სასქესო ორგანოების დაჩირქიანების გამო და სრულიად შრომის უნარმოკლებულებათ, ნახევრათ „კალიკებათ“—ინვალიდებათ იქცენ, ხოლო მრავალი მათგანი მეორე-მესამე დღეს სიცოცხლესაც გამოესალმენ“.

დღეს უკვე მთელ რიგ განათლებულ ქვეყნებში განსაზღვრული კანონები აქვთ შემოღებული აბორტის შესახებ. ასევე უნდა იქნეს შემოღებული შესაფერი კანონი ჩვენშიაც. აბორტი აკრძალულ უნდა იქნეს ყველასათვის გარდა გამონაკლის შემთხვევისა, ის მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნაყოფი ზიანს უქადის დედის ჯანმრთელობას.

უნდა აეკრძალოს ბებია-ქალებს აბორტის ოპერაციის გაკეთება. აბორტის საკითხის მოგვარება უნდა დაევალოს განსაკუთრებულ ორგანოს, კომისიას, რომელიც გასცემს ნებართვას ამის შესახებ და სათანადო საბებიო საავადმყოფოში იწარმოებს ოპერაციები.

ქ. ც.

პროვინციაში

სოფ. ჭყონაგვერა

(გურია)

ს. ჭყონაგვერა მდებარეობს რკინის გზის ხაზზე. არსებობს აქ ოთხწლედი, კოოპერატივი, რომელიც მოიკოჭლებს. გვაქვს სამკითხველო, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შარშან აგვისტომდე გაზეთები გვქონდა გამოწერილი და ზოგი კერძო პირებმაც გამოგვიწერა, მაგრამ შემდეგ გამოწერა შეწყდა. საჭიროა ამხანაგებმა განაახლონ სამკითხველოსათვის გაზეთების გამოწერა.

სოფელს ჰყავს გლეხკომი, მაგრამ გლეხკომის ინიციატივით აქ არავითარი სოფელის სასარგებლოთ არ გაკეთებულა. (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირე დახმარებას ქვრივ ობლებზე). საჭიროა გლეხკომმა ამ სოფელში თავისი მუშაობა უფრო გააფართოვოს და ამით ნდობა და პატივისცემა დაიმსახუროს გლეხობაში.

ჩვენ სოფელში არ არსებობს სახალხო სახლი და ამისათვის სოფლის მოწინავე უპარტიო ახალგაზრდობამ, და კომკავშირელებმა განიზრახეს და გამართეს საღამო-წარმოდგენა. შემოვიდა 130 მ. ყოველივე ხარჯს გარეთ. ეს ფული გადაეცა გამგეობას მასალის შესაძენათ, რის შემდეგ სოფელი შეუდგებოდა სახლის აგებას.

მაგრამ მას შემდეგ განვლო 6—7 თვეემ და ნაყიდი კი არაფერი სჩანს.

რომ ახალგაზრდობამ მომავლისათვის უფრო მეტი ენერგიით დაიწყოს მუშაობა კულტურულ დარგში და გლეხობამაც ნდობის თვალით შეგვხედოს და შემდეგისათვის კიდევ გაგვიწიოს დახმარება კულტურულ საქმეში, საჭიროა გამგეობამ ეს ფული დაუყოვნებლივ მოახმაროს პირდაპირ დანიშნულებას.

დ. გოგეშვილი.

ტობანიერის თემის სკოლის შენობას დამთავრება უნდა

(ქუთაისის მაზრა)

ხსენებულ თემის ცენტრში არსებობს 4 წლედი, ხოლო დანარჩენი სოფლები მოფენილია დაწყებითი სკოლებით.

სკოლები დიდ სივიწროვეს განიცდიან ბინის მხრივ, განსაკუთრებით 4 წლედი სკოლა, რის გამო ამ უკანასკნელში დილა-საღამოს სწარმოებს მეცადინეობა.

სასწავლებლის ბინის საჭიროებას თავიდანვე გრძნობდა ადგილობრივი გლეხობა, რისთვისაც არა ერთხელ და ორხელ იყო აღძრული საერთო კრებებზე საკითხი სკოლის შენობის აგების შესახებ, მაგრამ ამ საქმეს არ ეშველა მოგვარება.

მენშევიკურმა ხელისუფლებამ დაიწყო შენობის აგება, მაგრამ შეუფერებელ ადგილას იქნა დაწყებული და ბალავრის ამოშენებას ის არ გასცილებია.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მორიგი საკითხად იქნა დასმული სკოლის შენობის აგება.

გლეხობამ ყოველივე შავი სამუშაო იკისრა, ადგილობრივ ხელისუფლების ხელმძღვანელობით დაწყებულ იქნა ორსართულიანი 38 ოთახიანი აგურის შენობის აგება.

აღმასკომმა სცადა აგური ადგილობრივ გაეკეთებია, რისთვისაც არა ერთი და ორი ქურა იქნა გაწყობილი, სადაც აგურის გამოსაწვავ შეშას გლეხობა ეზიდებოდა სახალხო ტყიდან, მაგრამ სპეციალისტების მიერ ადგილობრივი აგური დაწუნებული იქნა, რისთვისაც იძულებული გავხდით საკუთარ ხარ-ურმებით გვეზიდა 12 ვერსის მანძილიდან საჭირო აგური. შორეულ მანძლიდან ვეზიდებოდით აგრეთვე საკირე ქვას.

მესამე წელია წელს, რაც რომ ამ შენობის აშენება არის დაწყებული და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ პირველი სართული ფანჯრებამდი არის აშენებული. მიზეზი ამის ის არის, რომ გლეხობა დიდ სივიწროვეს განიცდის ეკონომიურად. ბაზარი გლეხის ნაწარმოებს არ აქვს და მეტი შემოსავალი წყარო მათ კი არ მოეპოებათ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი მთავრობა, რომლის მთავარი ყურადღება დღეს აღმშენებლობითი დარგზეა მიქცეული, ჩვენითემის გლეხობას და მის დაწყებულ საქმეს შესაფერის ყურადღებას მიაქცევს.

ხ. ყ.

საჭიროა გამორკვევა

(ლეჩხუმის მაზრა)

ქვეიშის თემის მცხოვრებთა რიცხვი უდრის არა ნაკლებ ხუთას კომლს. მცხოვრებნი კულტურულათ ძალიან ჩამორჩენილი არიან, შედარებით სხვა კუთხეებთან. ამ თემის მცხოვრებლებმა რამოდენიმე ხნის წინათ იყიდეს და მოიტანეს სახლი, რომ დაეარსებიათ თეატრი, მაგრამ ამ სახლის აგება-აშენებას არაფერი ეშველა. განვლო წლებმა. წლეებს თვეები და დღეებმი ისდევდენ, სახლის მასალა კი გაუკეთებელი უპატრონოთ ეყარა და ყურადღებას არავინ აქცევდა. მაგრამ ბოლოს კი გადაჭარბებული ყურადღება მიექცა და იმ ადგილიდან მასალა აალაგეს, მხოლოდ სად დაალაგეს და სად დაბნიეს გამოურკვეველია.

ეხლა კი დრო არის გამოირკვეს.

მეთვალყურე დიტო.

მადლობა სიღნაღის აღმასკომს

ოთხი თვეა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სასკოლო ჭასაკამდე აღზრდის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში თითო მაზრიდან მოვლინებულია ორ-ორი მსმენელი. სიღნაღის მაზრამაც გამოგვგზავნა ორი მსმენელი და თან ერთდროული დახმარებაც აღმოგვიჩინა. მაგრამ მარტო ეს არ გვაკმარა. მეოთხე თვეზე კიდევ მოგვიგონა ჩვენმა მაზრამ და კიდევ გაგვიწია ერთდროული დახმარება, რისთვისაც სიღნაღის მაზრიდან მოვლინებული მსმენელები უდიდეს მადლობას უძღვნით ჩვენს მაზრას.

ბ. თეგაშვილი.

ნ. ნატროშვილი.

ზომები წყალდიდობის წინააღმდეგ

სურამის სათემო აღმასკომი უკვე შეუდგა ზომების მიღებას წყალდიდობის წინააღმდეგ. სათემო აღმასკომის მიერ გამოყოფილ იყო სამი კაცისაგან კომისია. კომისია 18—19 თებერვალს გაემგზავრა ტეხნიკ ამხ. არმენაკ ბაბაევის ხელმძღვანელობით სოფელ იტრიაში. დათვალიერებულ იქნა მდინარის ნაპირები, ამასთანავე ხიდი სოფ. იტრიისა, რომელსაც დიდი საფრთხე მოელოდა წყალდიდობისაგან. მიღებულ იქნა ზომები ჯებირებისა და ნაპირების გამაგრებისათვის.

შემდეგ კომისიამ დიდი ყურადღება მიაქცია ყოფილ სურამის ძველ რკინის გზის ლიანდაგს სოფ. ჯაფინაურის მახლობლად.

დღეს სურამის მცხოვრებლები სრულიად დამშვიდებულნი არიან, ვინაიდან აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოველგვარი ზომები მიიღო წყლის ნაპირების და ჯებირების გამაგრებისათვის.

პ. გაგნიძე.

წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მსმენელების გამოცდები

საგარეჯო (გარე-კახეთი)

9 თებერვლიდან დაიწყო ლიკსკოლების მსმენელების გამოცდები—გამოცდები სწარმოებს ყოველდღე სისტემატიურად, თითქმის კვირა დღითაც. უკვე დამთავრდა გამოცდები—21 თებერვალს შემდეგ სოფლებში: ს. ბურდიანში, მანავში, ანთოკ-მარიამჯვარში, თოხლიაურში, საგარეჯოში—ყველა უბნებში და ს. ნინო-წმინდაში, გიორგიწმინდაში მხოლოდ ორი ჯგუფი და ს. ალბულაღში. შემჩნეულია, რომ ვისაც სისტემატიურად უვლია, ჩინებულად აბარებენ გამოცდებს, გამოცდებს ხელმძღვანელობს მასწავლებელი იერ. გულისაშვილი.

გ. გარსიაშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **სოფლის მეურნეობისთვის.** გასულ წლის განმავლობაში გამქირავებელ პუნქტებით 340 სოფელში ისარგებლა 4,500 მეურნემ.

— **სამხრეთ-ოსეთში** ამჟამად ითვლება 650-მდე დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **სათემო აღმასკომების მოხაწყობათ** გორის სამ. აღმასკომმა გადასწყვიტა ყველა ახლათ მოწყობილ სათემო აღმასკომს მისცეს ას-ასი მანეთი საჭირო ინვენტარის შესაძენათ.

— **ლეჩხუმის აღმასკომმა** დაადგინა ჩაატაროს მთელ მაზრაში კამპანია გლეხებში სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის შესახებ.

— **მილიციის საჭიროებისათვის.** ახალქალაქის აღმასკომმა გადადო 3.240 მან. ადგილობრივი მილიციის საჭიროებისათვის ტანისამოსის შესაძენათ.

— **ფართლეულობის გასაღება გლეხებში.** წარსული წლის ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში გორის სამაზრო გლეხკომმა მოიტანა და გლეხებში გაასაღა 52.802 მან. ფართალი.

— **გლეხების შუამდგომლობა.** ლეჩხუმის მაზრის სოფ. უცხერის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სამაზრო აღმასკომის წინაშე დეხვირის თემზე მიწერის შესახებ.

— **მერძევეთა არტელი.** სოფელ განძას (ახალქალაქის მაზრაშია) მერძევეთა არტელმა სამაზრო აღმასკომის დახმარებით შეიძინა სეპარატორი (ახალი ტიპის მანქანა).

— **გლეხკომის საქმიანობა.** საქაშეთის (გორის მაზრა) გლეხკომმა დაამზადა 1.500 ფუთი ზამთრის ხილი, რომლიდან აღებული ფულიდან შეაკეთა ადგილობრივი სამთვალიანი წისქვილი.

— **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** გორის აღმასკომმა დააკმაყოფილა სოფ. ბრილის მცხოვრებთა კოლექტიური შუამდგომლობა სურამის თემზე მიწერის შესახებ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ეკლესიების გახსნის წესი

კითხვა

1923 წ. ს. ჩხენიშის საზოგადო კრების (ოქმი № 2-ით) დიდი უმრავლესობის სურვილით იქნა ადგილობრივი ეკლესია გადაკეთებული სახალხო კლუბად, სადაც სისტემატიურად იმართებოდა ადგილობრივ და მოსულ დრამწრეების მიერ წარმოდგენები. მასთან აქ ხშირად იყო სხვადასხვა თემაზედ მოხსენებები, რასაც გონებრივი განვითარება შეჰქონდა ჩვენს ახალგაზრდობაში. ეხლა ეს კლუბი უკვე გამოგვაცალეს ხელიდან ახლად აღმოჩენილმა ღვთის-მორწმუნე რამოდენიმე სოფლის კულაკებმა ადგილობრივ მღვდლის და ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარის დახმარებით.

გთხოვთ განგვიმარტოთ, აქვთ თუ არა ნება რამოდენიმე მორწმუნეს—მოისურვონ და ჩამოართვან ახალგაზრდობას გადაკეთებული ეკლესია; თუ აქვთ, რომელ კანონის ძალით. მასთან ჩვენ არამორწმუნეებს გვაქვს თუ არა უფლება—გამოვიტანოთ ჩვენი წილი ეკლესიიდან და ჩვენთვის მოვახმაროთ რაიმე დაწესებულებას.

აკაკი მეჯღანძე.

პასუხი

თანახმად საქართ. საბჭოთა ცენტ-აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. 21 ნოემბრიდან დადგენილება № 124—მუხლი—2-ის—აბზაცი ა, ბ. და გ-ესი საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეებს შეუძლიანთ მიიღონ უსასყიდლოდ და უვადოდ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით და მასთან სათანადო ხელშეკრულების დადებით—სარწმუნოებრივი სარგებლობისათვის თავისი სარწმუნოების ტაძრები და სამლოცველო სახლები, აგრეთვე ღვთის მსახურებისა და რელიგიურ წესებისათვის მიკუთვნებული ქონება, რისთვისაც მათ (მორწმუნეთ) უნდა დაარსონ რელიგიური საზოგადოება, რომლის დამფუძნებელთა რიცხვი შვიდზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ყველა საკლუბო ქონება: რეკვიზიტი, დეკორაციები და სხვა, რაც კლუბის, როგორც ასეთის, (გარდა ყოფ. ეკლესიის შენობისა) საკუთრებას წარმოადგენდა, თქვენ გაქვთ უფლება გაიტანოთ და სხვა რაიმე კულტურულ საქმეს მოახმაროთ.

ვინ უნდა გადაიხადოს?

კითხვა

ვცხოვრობთ ერთად ორი სტუდენტი ქალი, ერთიც პროფ-კავშირის წევრი, უმუშევარი. სახლის ქირას ვიხდით თვიურად ექვს მანეთს. ამ ყინვების დროს გატყდა წყლის საზომი. სახლის პატრონი წყლის საზომის გასაკეთებელ ფულს გვახდევინებს მდგმურებს და ჩვენ თვითვეულს შეგვხვდა 1 მანეთი და 80 კაპეიკი. სულ კი სამივეს 3 მ. 80 კაპ.

აქვე საჭიროდ ვთვლი ავღენიშნო, რომ არცერთ. ჩვენგანი არსად არ ვმსახურობთ. გთხოვთ შეგვატყობინოთ: ვინ არის ვალდებული, რომ გადაიხადოს აღნიშნულიფ ული—ჩვენ თუ სახლის პატრონი?

სტუდენტი ქალი ან. ღვალაძე.

პასუხი

წყლის საზომის შეკეთებისთვის ხარჯებს იღებს მხოლოდ სახლის პატრონი. თქვენ ასეთები არ გადაგხდებათ მით უმეტეს, რომ ბინის ქირას თქვენ იხდით მასთან შეთანხმებით, საგრძნობ თანხას.

ბიბლიოგრაფია

ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?

გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“

თბილისი, 1925 წ., 269 გვ. ფასი 1 მ. 25 კაპ.

ამას წინათ გამოსული წიგნი ზემოთ ამოწერილი სათაურით წარმოადგენს კრებულს წერილებისას, სხვა და სხვა დროს წარმოთქმული სიტყვებისა და რეზოლიუციებისას ტროცკიზმის შესახებ.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც ეკუთვნის ამხ. სტალინს, შემდეგი სწერია: „რაშია ახალი ტროცკიზმის საშიშროება? იმაში, რომ ტროცკიზმს მთელი თავისი შინაგანი შინაარსით აქვს ყველა შანსები გახდეს ცენტრათ და შესაკრებ პუნქტათ არაპროლეტარულ ელემენტებისათვის, რომლებიც სცდილობენ შეასუსტონ, დაშალონ პროლეტარიატის დიქტატურა... ტროცკიზმი ახლა გამოდის იმ მიზნით, რომ სახელი გაუტეხოს ბოლშევიზმს და შეარყიოს მისი საფუძვლები. პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ **დაასაფლავოს ტროცკიზმი, როგორც იდეური მიმართულება**“ (ხაზგასმულია ავტორის მიერ).

რა გაკეთდა დღემდე ჩვენში ამ მიმართულებით? სამწუხაროთ, ჯერჯერობით ცოტა რამ. მაშინ, როდესაც რუსეთში დიდი ლიტერატურა შეიქმნა ამ საკითხის (ტროცკიზმის) გასარკვევათ, ჩვენში, საქართველოში, შედარებით ცოტა ითქვა და კიდევ ნაკლები დაიწერა. ხოლო რაც ითქვა და დაიწერა, ისიც გაბნეულია ყოველდღიურ გაზეთებში. „საბჭოთა კავკასიონის“ მიერ გამოცემული ზემოხსენებული წიგნი არის პირველი (ჩვენში) სერიოზული ცდა, რომელიც მიზნათ ისახავს ქართველ მკითხველებს მისცეს ერთად შეკრებილი მრავალმხრივი მასალა ტროცკიზმის ისტორიულათ განვითარებისა და მის დღევანდელ ზრახვათა შესახებ.

როგორც ცნობილია, რუსეთის კომპარტიის ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა დაადგინა კამათი ტროცკიზმის ირგვლივ ჩაითვალოს დათავებულათ. მაგრამ მან საჭიროთ სცნო გაძლიერდეს პარტიაში მუშაობა, რათა დაბალ საფეხურიდან უმაღლესამდე სავსებით იქნეს განმარტებული ტროცკიზმის ანტიბოლშევიკური ხასიათი, დაწყებული 1903 წლიდან, დამთავრებული „ოქტომბრის გაკვეთილებით“. ამ მიზნით განზრახულია სხვათა შორის პოლიტიკური მეცადინეობის პროგრამაშიც დაეთმოს ამ საკითხს სათანადო ადგილი. პარტიის შიგნი საკითხის ახსნაგანმარტებასთან ერთათ ხელმძღვანელმა ორგანომ საჭიროთ ალიარა მუშათა და გლეხთა ფართო მასებისათვის ადვილათ გასაგები განმარტება ტროცკიზმისა და მისი მრუდე გზების, რომლებიც დარღვევით ემუქრება მუშათა და გლეხთა შორის არსებულ კავშირს.

ასეთია დავალება, რომელიც მისცა შესასრულებლათ ცეკას პლენუმმა ადგილობრივ ორგანიზაციებს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „საბჭოთა კავკასიონის“ მიერ გამოცემული წიგნი, იქ მოთავსებული მასალები: ჩვენი პარტიის ბელადების წერილები, პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების რეზოლიუციები, გარდა ამისა, თვით ამხ. ტროცკის წერილი („ოქტომბრის გაკვეთილები“, რომელიც შეიქნა გამოსავალი წერტილი მთელი დისკუსიისა), და ტროცკისვე კერძო წერილები ჩხეიძისა და ამხ. ოლმინსკისადმი—ყოველივე ეს დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენში ადგილობრივ ორგანიზაციებს და პარტმუშაკებს პარტიის დავალების შესასრულებლად. ხოლო ეს დავალება ფრიად მნიშვნელოვანია. მას გვერდს ვერ აუხვევს ვერც ერთი ორგანიზაცია ჩვენი პარტიის, ვერც ერთი მუშაკი და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ეს იქნებოდა დარღვევა ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების და შელახვა დისციპლინის. ეს იქნებოდა კიდევ მეტი. პარტიის განვითარების, მისი პოლიტიკური გავლენის გაღრმავების და გაფართოების ინტერესები, ე. ი. ინტერესები პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირისა და, ამნაირათ, საბოლოო ანგარიშით, არსებული წესწყობილების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ კატეგორიულათ, გადაჭრით, რომ დაძლეულ იქნას ტროცკიზმი როგორც ძველი (თუ სადმე კიდევ მას გავლენა აქვს), ისე, რაც უთავრესია, ახალი ფორმაციის, რომელიც წარმოადგენს ცდას ლენინიზმის უარყოფისა და შეცვლისას, ცდას მუშურ-გლეხური კავშირის დარღვევისას (პერმანენტული რევოლიუცია და გლეხობის როლის ღრმათ შემცდარი შეფასება, უკეთესათ რომ ვთქვათ, შეუფასებლობა ჩვენ რევოლიუციაში).

ის ამხანაგები ჩვენ პარტიაში, რომლებიც ფიქრობენ და, რაც უმთავრესია, ხმამაღლა ლაპარაკობენ, თუმცა ჯერ-ჯერობით ერთნაირი მოკრძალებით, რომ ბოლშევიზმი, როგორც ასეთი, ოქტომბრის (1917 წელს) შემდეგი ხანის ნაყოფია, ამხანაგები, რომლებსაც, ამნაირათ, გამოეპარათ ლენინიზმის მენშევიზმთან და საზოგადოთ საერთაშორისო ოპორტიუნიზმთან ბრძოლით განვითარების ხუთმეტი წლის ისტორია (1903-დან 1917-მდი)—უშვებენ ღრმა შეცდომას, რომელსაც შეუძლია საბედისწერო შეიქნეს პარტიის, ხელისუფლებისა და რევოლიუციისათვის. შეუძლია შეიქნეს-თქო—ვამბობთ ჩვენ. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ უცნაურ „იდეოლოგიის“ მსმენელი და დამჯერი ეყოლა, თუ ეს „იდეა“ შეიქნა პარტიულ მასების კუთვნილებათ, თუ მან დაიპყრო ეს მასები. მაგრამ ის ერთსულოვანება, რომლითაც მთელი პარტია შეხვდა ტროცკიზმის ამ ცდას, იძლევა გარანტიას, რომ ამ „გადახრასაც“ ის ბედი ეწევა, რომელიც არა ერთხელ სწევვია სხვა მსგავს შემცდარ მიმდინარეობათ ჩვენი პარტიის ისტორიის დიდ მანძილზე. მაგრამ ჩვენ ვერ დავმალავთ, რომ წვრილბურჟუაზიული სტიქიით გარემოცვის პირობებში, ყოველ ცდას (და ამ შემთხვევაში ტროცკიზმსაც), მიმართულს ჩვენი პარტიის რევოლიუციონური იდეოლოგიისა და ტაქტიკის წინააღმდეგ, რომლებიც გამოკვეთილია გენიალური ბელადის მიერ, აქვს შანსები შეიქნეს, როგორც ამხ. სტალინი სწერს, არაპროლეტარული ელემენტების ცენტრათ, შესაკრებ პუნქტათ. ამიტომ ჩვენს წინ გარკვეული ამოცანაა, რომლებზეც ზემოთ ვლაპარაკობდით.

წიგნი „ლენინიზმი თუ ტროცკიზმი“ უნდა შეიქნეს აუცილებელ კუთვნილებათ ყველა პარტიული ამხანაგის ბიბლიოთეკისა. მან უნდა ჰპოვოს ფართო გავრცელება.

ნ. კ—ძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

შაბათს, 28 თებერვალს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

თბ. კომიტ. პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

— მე-2-რე ქართულ მსროლელ ტერ. დივიზიის პარტ-კომისიაში შემოსულია განცხადებები კომპარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ შემდეგი ამხ.: 1. წითელ-მეთაური—ივანოვი ელიზბარ ლევანის ძე (მე-2-რე ბატ.), 2. წითელ არმიელი—კილაშვილი ვალერიან მიხეილის ძე (არტ. ლეგ.), 3. ბატარეის მეთაური—კვანტრიშვილი გრიგოლ ანტონის ძე (მე-2-რე ბატ. მეთაური), 4. წითელარმიელი—თვალაძე ირაკლი დიმიტრის ძე (არტ. ლეგ.), 5. ბიბ. გამგე—კოპლატაძე ზაქარია სილოვანის ძე (არტ. ლეგ.), 6. წითელ არმიელი—ხარშილაძე გიორგი დარისპანის ძე (ცალკე საკავშირო ასეული).

პარტ-კომისია სთხოვს ყველა პარტ-ორგანიზაციებს, პარტ-წევრებს და მოქალაქეებს, თუ რაიმე იციან უარყოფითი ზემოხსენებულებზე, აცნობონ მას ერთი კვირის განმავლობაში დღიდან გამოქვეყნებისა შემდეგი მისამართით: ქუთაისი მე-2-რე დივიზიის შტაბი, პარტ-კომისია.

პარტ. კომისიის მდივანი: **ტიგიშვილი.**

ვინ არის წინააღმდეგი

საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომი იტყობინება, რომ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. თუ ვინმეს აქვს მამხილებელი საბუთები ამ ამხანაგების წინააღმდეგ, უნდა შემოიტანონ რაიკომში (ჩერქეზიშვილის ქ. № 145). უსახელო წერილები არ მიიღება.

რკინისგზის მოძრაობის ნაწილი: ბუგაძე ივანე, ნონიკაშვილი ესტატე, ხასიევი სიმონ, მელაძე ივანე, ლუხუტაშვილი ვასილ, ხაჩაიძე ვლადიმერ, გელოვანოვი გიორგი, ნოზაძე დიმიტრი, გოგოშვილი აბრამ, ჯანეზაშვილი ისაკი, დანელია ისაკი.

გზათა სახალხო კომისარიატის დამცველი რაზმი: გოჩალიეშვილი აპოლონ.

რკინისგზის მუშაკი: მაჩაიძე მარკოზ, სიხარულიძე ლუკა, პაიჭაძე ლადო, მუზაშვილი ნიკოლოზ, მახნიაშვილი მიხეილ, ცისკარიძე ზაქარია.

ტიპოლიტოგრაფია: სარაჯევი რუბენ.

დეპო: ბაბაევი არსენ, ამბრიევი არმენაკ, ხუციშვილი იორდან, ფირცხალავა ისაკი.

შამშა: მურადოვი ოგანეს, ზედგინიძე გიგო.

გადასახადთა ნაწილი: ხუდიაკოვი ნიკოლოზ.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის—8 მარტის წინასწარი კამპანიის ჩასატარებლად მობილიზაციით იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

ლენინის რაიონი: 1) ორახელაშვილი მარიამ, 2) მეძმარიაშვილი, 3) ქავთარაძე ლადო, 4) გუდავაძე, 5) მთვარელიძე, 6) ვირაპი, 7) გიორგაძე ნადეჟდა, 8) ბიბინეიშვილი ელენე, 9) გერმან ნ., 10) ლიპგარტ კ., 11) გეგეშიძე ფ., 12) ო. შპაკოვიჩ, 13) ბიბილაური მ., 14) გლაზერ ი., 15) გაბაევა.

არსენალის რაიონი: 1) მელაძე, 2) ცინცაძე, 3) გალკინ, 4) მდივანი, 5) კიდაიშ, 6) მაჩაიძე, 7) აბრამიან, 8) ტუსიევა, 9) რახმანა კ., 10) მიხაილოვა ე., 11) ჯალაგანიძე ლ., 12) მახარაძე ი., 13) მახარაძე გოცო.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონი: 1) რასულ-ზადე, 2) ვართაპეტიან, 3) ქაცარავა, 4) ფანცხავა, 5) სემკოვი, 6) ბუხნიკაშვილი, 7) ნასარიძე, 8) კიკნაძე ნ., 9) ოვანესიან ლ., 10) აგაბაბოვა-ტუტი, 11) ედიგაბიან ს., 12) ესაიან ა., 13) ჩიხლაძე ზინა, 14) ტოროსიან ს., 15) ბაბაიან, 16) ალაჯალოვა ი.

ქალაქის რაიონი: 1) სტურუა გ., 2) რახმან, 3) აკოპოვ სტ., 4) ოკუჯავა შ., 5) ლიოზნანსკაია, 6) გრიშჩენკო, 7) ამატუნი, 8) ბელიავცევა, 9) ოვანიან, 10) ცინცაძე, 11) სეროპიან, 12) თალაკვაძე, 13) ოკუჯავა, 14) გაბულია, 15) ბერძენიშვილი, 16) შავერდოვა, 17) ალავერდოვა.

თბილისის კომიტეტის მდივანი ახრიბეკოვი.

— თ. კ. მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყ. 28 თებერვალს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში იწვევს უჯრედების ქალთა ორგანიზატორებს, საშეფო კომისიის და უჯრედების წარმომადგენლებს საინსტრუქციო მოხსენების მოსასმენად საერთაშორისო ქალთა კომუნისტური დღის 8 მარტის შესახებ. მოხსენებას გააკეთებს ამხ. მარია ორახელაშვილი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწ. განყოფილება სთხოვს ამხ. კუპატაძეს ივანეს და მაკარჩუკს გამოცხადდნენ ამხ. კოჩყაიანთან.

თბ. კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწ. განყოფილება.

განცხადებები

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 27 თებერვალს

ურიის ქალი

ნ. 870—1—1

რუსთაველის თეატრი ოპერა

შაბათს, 28 თებერვალს

დაისი

ნის. 870—1—1

სახელმწიფო დრამა

რუსთაველის თეატრი

კვირას, 1 მარტს

შპიგელმენშ

ნ. 871 1—1

გაზ. „კომუნისტი“-ს თებერ. 22-ის № 44 დაბეჭდილ

თბილისის კომუნალურ ბანკის გამგეობის

განცხადებაში აღმოჩნდა შემდეგი შეცდომები: 1) მე-3 რიგში დაბეჭდილია: „მახმუდ-გუსეინ-ზადეს მამედ ალიევისა და მირზალი მამედ ალიევისა, მე-2 უბ. წყლის საზიდ ქუჩ. № 3 ძირ. ვალი 5459 მან. 14 კ.“—უნდა იყოს: „მახმუდ-გუსეინ-ზადესი, მამედ მამედ ალიევისა და მირზა ალი მამედ ალიევისა, მე-2 უბ. წყლის საზიდ ქუჩ. № 8, ძირ. ვალი 5449 მან. 14 კ.“ 2) მე-4 რიგში დაბეჭდილია 312 მ. „გადასახადი 93 კ.—უნდა იყვეს: „გადასახადი 322 მ. 93 კ.“ და 3) მე-14 რიგში დაბეჭდილია „აღმასკომს ცნობით“—უნდა იყვეს „აღმასკომის ცნობით“

ნ. № 868—1—1

კინო აისი

(კონსერვატორია)

თებერვალს 27, პარასკევიდან

პირველად ტფილისში

ეხლახან მიღებული საზღვარგარეთიდან

გამოჩენილ პაულ ვეგენერის მონაწ.

გუდე სიყვარულის

პირველი სერია

სიმფონიური ორკესტრი.

მონოპოლია მხოლოდ ჩვენთან. () 2 სერია 12 ნაწ. () კასა 5 ნახ. ს. () დასაწყისი 6 ნახ. ს.

ნ. 869 1—1

სააქციონერო საზოგადოების „ავტო“-ს თბილისის განყოფილების სალიკვიდაციო კომისია

(სოლოლაკის ქ. № 1)

ამით მიმართავს ყველა დაწესებულებებს, წირმოებებს და სხვადასხვა პირებს, რომელთაც რაიმე პრეტენზიები აქვთ აღნიშნული განყოფილების მიმართ, წარმოადგინონ ასეთები [illegible] დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა.

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ვალ.ლინდას.

ნის. 866.

ექიმი ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

№ 202.

25—15

მედიცინის დოქტორი

კ ე რ ძ ო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს. ამბულატორიული მიღება შენობაში და გინკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13

ცნობების მიღება: ექიმ შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4

ნის 372 —100—61

მხატვარი და გრავიორი ვ. ჭებეიანი

ასრულებს იარლიკებს, სურათებს ლითოგრაფიისა და კლიშეებისათვის და აგრეთვე საბჭოთა მოღვაწეების

სურათებს, პლაკატებს და დროშებს

სოლოლაკი, ვოზნესენის ქუჩის ბოლოში, კრაპის აღმართი № 8.

372 5—5

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—16

ექიმი

ალექსანდრე კორკია

შეანობა და ქალთა სნეულებანი

მიღ. ავადმყ. 4—6 ს. სალ.

პლეხანოვის პრ. № 65.

25—11.

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ

25—11

გადავიდა კამოს ქუჩაზე № 17 (დიდი მთავრის ქ. ვორონცოვის ხიდის ახლოს)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა 25—11.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

№ 3203. 25—15

შეღავათიან ფასებში ვიძლევი

მათემატიკის

გაკვეთილებს: (არით. ალგ. გეომეტრ.. და ტრიგონ.) და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5) ნახვა 9—1 ს. 3—7 ს.

ნის. 854. 5—3

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 სათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—25

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25 —22

დავკარგე პირადი წიგნაკი № 39 მოცემული რაჭის მაზრის გამწვევ უბნიდან, ილარიონ კერესელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

476 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობები №№ 12—725, არჩილ და ალექსანდრე ზაქარიას ძე სტეფანინცების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

477 1—1

დავკარგე სარეგისტრაციო ბარათი არუთინ გიორგის ძე ლიანოზოვის სახელზედ № 3248. ჩაითვალოს გაუქმებულად.

475 1—1

დავკარგე უვადო პასპორტი გიორგი ყარამანის ძე ია-შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

474 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2096, ალექსანდრე ივ. ახალმოსულიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

473 1—1

დავკარგე ა. ქ. რკინისგზელთა სამომხმარებლო საზოგადოების (Закtпо) წევრობის წიგნაკი № 19468, ივანე სერგოს ძე ბაბუაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

472 1—1

დავკარგე პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 8407, სიმონ კონსტანტინეს ძე ლეჟავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

471 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ახალ აბაშის რაიაღმასკომიდან გაცემული, პლატონ გვადას ძე გვაზავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

478 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა სპირიდონ ალექსის ძე გოგოლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

479 1—1

დავკარგე ბეჭდვითი კავშირის წიგნაკი, ფრანც ალექსანდრეს ძე მეფისაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1

ტირაჟი—18.057

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სიზა წულუკიძის ქ. № 4